# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 17 (2796) გამოდის მე-60 წელი, 1991 26 აპრილი ფასი 40 კაპ.




## ივანე ჯავახიშვილი — 115

საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია. უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი. გაზვიადებულ-ადვოკატური ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას. ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დაიკმაყოფილოს. ხოლო ამგვარი საფუძველი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰფიქრობს.

ამგვარი მოქმედება ხალხს ბაქიობას, უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს.

**ივანე ჯავახიშვილი.**
**1904 წ.**

## „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის განცხადება

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „ქართულ ქრონიკაში" (№1, 1991 წ.) მერაბ მამარდაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორის ჯანრი კაშიას წერილი „საქართველოს ეროვნულ კონგრესს". წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ღრმა რწმენით, ტრაგედია (მ. მამარდაშვილის გარდაცვალება — „ლ. ს." რედ.) არის შედეგი იმ დევნისა, „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე რომ აწარმოვა სიბნელემ სტალინური მეთოდებით, დიდი ტერორის შხამიანი სუნთქვით, და სამართლისა და ეთიკის ყოველგვარი ნორმების დარღვევით, ეროვნული კონგრესის წევრისა და ქართველი მოაზროვნის წინააღმდეგ..."

როგორც ვხედავთ, ძალზე მძიმე ბრალდებას გვიყენებს ჯანრი კაშია. დაბეჯითებით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მერაბ მამარდაშვილის არავითარ „დევნას" ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ ერთხელ, შარშან ოქტომბერში, რუბრიკით „ალტერნატიული გვერდი" დაიბეჭდა მასზე მწერალ გურამ პეტრიაშვილის კრიტიკული წერილი, რომელსაც, მიუხედავად მკაცრი ტონისა, ვერა და ვერ მივიჩნევთ პიროვნების დევნად, ან თუნდაც შეურაცხყოფად, რადგანაც ქვეყნად არავინ გვეგულება, ვისი გაკრიტიკებაც არ შეიძლებოდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ გ. პეტრიაშვილის აღნიშნულ წერილს თან ახლდა სარედაქციო მინაწერი, რომელიც ობიექტურ და სერიოზულ მკითხველს ზოგადი შთაბეჭდილების შესაქმნელად აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა.

მოვიყვანთ ერთ ადგილს ამ მინაწერიდან, რომელშიც მკაფიოდაა გამოხატული რედაქციის პოზიცია: „ფაქტია, შესანიშნავი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ცნობიერება რუსული კულტურითაა ნასაზრდოები, მისი მოღვაწეობის გარემოც უმეტესწილად რუსული იყო, — ასეთი ბედი არგუნა წერამწერელის განგებამ, — მაგრამ მას არასოდეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია თავისი კავშირი ქართულ ეროვნულ ფესვებთან..."

ასე რომ, ჯანრი კაშიას ბრალდება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აშკარა ცილისწამებაა, რისთვისაც ცივილიზებულ ქვეყნებში პასუხს აგებინებენ.

დაბოლოს, უნდა დავსძინოთ: ცნობილია, რომ ჯანრი კაშია უცხოეთში მცხოვრებ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულესთან ერთად კარგახანია გამაგებით „აწარმოვებს" ბრძოლას საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. ისინი იმპერიის საინფორმაციო საშუალებებისა თუ სხვა სამსახურების მსგავსად, ყოველგვარი ხერხითა და მეთოდით ცდილობენ საჩელი გაუტეხონ საქართველოს ხელისუფლებას და მის საქმიანობას. სწორედ მათი „დამსახურებაცაა", რომ დღეს დასავლეთის ცალკეული პოლიტიკური წრეები თუ ოფიციოზი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას იჩენენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, უნდობლობას უცხადებენ ქართველ ერს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ჰოდა, რა გვექნა, ამგვარი ანტიქართული საქციელისათვის უცხოეთში მოღვაწე ეს ჩვენი თანამემამულენი ერის მტრებად გამოგვეცხადებინა, ანათემა შეგვეთვალა და მათი სახელისა და საქმიანობისათვის ტაბუ დაგვედო?! ჯანრი კაშიას წერილის ლოგიკით ასე უნდა მოვქცეულიყავით, თუმცა, პირიქით კი არის: მარტო მიმდინარე წლის ოთხ თვეში ქართულ-ევროპული ინსტიტუტის საქმიანობაზე, რომელსაც სწორედ ჯანრი კაშია ხელმძღვანელობს, ჩვენს გაზეთში ოთხჯერ დაიბეჭდა ინფორმაცია.

გვინდა გვჯეროდეს, რომ არ შევმცდარვართ.

# ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ

პოდპოლკოვნიკი ა. ხემენიაკა „კრასნაია ზვეზდაში" სისტემატურად აქვეყნებს „ინფორმაციას" ქ. ცხინვალში და მის მიმდებარე რაიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 18 აპრილს პოდპოლკოვნიკის დახამარებლად „გადაისროლეს" მაიორი პ. იაკოვლიჩენკო, რომელიც უკვე საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ მსჯელობს. რით უნდა ავხსნათ „კრასნაია ზვეზდას" დაუცხრომელი ინტერესი ქ. ცხინვალში მიმდინარე მოვლენების მიმართ, როცა საბჭოთა კავშირში ბევრი ცხელი წერტილია?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ორგანო ან ცუდად არის ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ან შეიარაღებული ძალების სამხედრო-პოლიტიკური მომზადების თემატიკა ამოწურა. ან არა და, გადაწყვიტა, რომ ლოზუნგი: „ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!" აუცილებლად ცხინვალში უნდა განხორციელდეს. გვექმნება აზრი, რომ ა. ხემენიაკა და მისი კოლეგები ენერგიულად ალვივებენ ე. წ. „ეთნოკრიზისის" (თუმცა ის პოლიტიკურია) მინელებულ ნაკვერჩხალს; იმედით, რომ მისგან ალი აინთება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ნაწილობრივ მიზანს მიაღწიეს კიდეც (ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მათ დიდ გამოცდილებას ამგვარ საქმეებში).

მას შემდეგ, რაც ამ რაიონში შედარებით სიმშვიდე დამყარდა და შეიმჩნევა პოზიციური ძვრები, მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, უხეშად დაირღვა რესპუბლიკის სუვერენიტეტი; მისი უმაღლესი ორგანოების დაუკითხავად და თანხმობის გარეშე, როკის უღელტეხილით საქართველოში შემოიყვანეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ჯარის ნაწილები. ეს ქმედება ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს, ისე სსრკ კონსტიტუციას, რადგანაც არმია შემოყვანილია საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელ „სამართლებრივ სახელმწიფოს" შექმნაზე და „რესპუბლიკების რეალურ სუვერენიტეტზე" ლაპარაკი? ამის თაობაზე ა. ხემენიაკას პუბლიკაციებში არაფერია თქმული. მაგრამ არის სხვა ყურადღებამისაქცევი გარემოებაც. „კრასნაია ზვეზდა" ჯარის დამატებითი ნაწილების შემოყვანამდე ბევრს წერდა ცხინვალის „ბლოკადაზე", იმაზე, რომ ქალაქი გარშემორტყმულია 15 ათასი ქართველი „ბოევიკით", რომლებიც აპირებენ იერიში მიიტანონ ქალაქზე. შინაგან საქმეთა ჯარმა ქალაქ ცხინვალის მიდამოების ჩხრეკის შემდეგ, ისინი ვერ აღმოაჩინა. რატომ? იმიტომ, რომ ქალაქ ცხინვალის შესასვლელთან იყო რესპუბლიკის მილიციის საგუშაგო. გაზეთი აგრეთვე არაფერს წერს ისეთ ანტისამართლებრივ და ანტიკონსტიტუციურ ქმედებებზე, როგორიცაა ცხინვალის კომენდატის გადაყენება და მილიციის თანამშრომლების განიარაღება-დაკავება. პოდპოლკოვნიკი ა. ხემენიაკა არ თაკილობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მიაწეროს სიტყვები, რომლებიც მას არასოდეს წარმოუთქვამს: „მე მოვიყვანე 50 ათასიანი არმია, და მოვიყვან 200 ათასიანსაც. ერთი ოსიც აღარ დარჩება სამაჩაბლოს მიწაზე (სამხრეთ ოსეთში). მოვითხოვ ჩამოხსნან საბჭოთა დროშები". არც ზვიად გამსახურდიას და საქართველოს მთავრობის არცერთ წარმომადგენელს არ მოუწოდებია ვინმესთვის ოსების განადგურებისაკენ და არმიის გაგზავნისაკენ. ერთადერთი, რაც ა. ხემენიაკას პუბლიკაციაში სიმართლეს შეესაბამება, ისაა, რომ „სამხრეთ ოსეთს" სამაჩაბლო ჰქვია. ამასთან იგი შიდა ქართლიცაა. სამხედრო კორესპონდენტები, თავისი საქმიანობის გამო, უნდა ერკვეოდნენ გეოგრაფიასა და ისტორიაში. მათ რომ რუკაზე დაეხედათ, დაინახავდნენ, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთი მდებარეობდა და მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ამიერკავკასიაში. ისტორია კი ერთმნიშვნელოვნად გვიხსნის, რომ ავტონომია ხელოვნურად შეიქმნა მხოლოდ 1922 წელს. ცარიზმმაც, რომლის პოლიტიკა „დაყავი და იბატონე" კარგადაა ცნობილი, ეს ვერ მოიფიქრა.

დიახ, ავტონომია გაუქმდა. მაგრამ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი საბჭოს, მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, მის სახელმწიფოებრივ საზღვრებში გამოცხადდა ახალი მოკავშირე რესპუბლიკა ერთადერთი მიზნით — გაერთიანებულიყო ჩრდილო ოსეთთან. ბუნებრივია, ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ირღვეოდა. ა. ხემენიაკას რომ პოპულარულად ავუხსნა, ეს იგივეა, რომელიმე კომპაქტურად დასახლებულმა მოსახლეობამ, მაგალითად, დიდი ნოვგოროდის მიწა გამოჰყოს რუსეთიდან. არც ამის შესახებაა ნათქვამი პუბლიკაციებში. ა. ხემენიაკას „კრასნაია ზვეზდაში" გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაცია, რომლებიც საქართველოს ეხება, გაჟღენთილია ბოღმითა და დეზინფორმაციით. ერთ-ერთი ასეთი დეზინფორმაციაა, რომ ქართველები თითქოს თავიანთ მიწიდან სხვა ერებს დევნიან, ძალიან უნდათ, რომ ასეთ ფაქტს მართლა ჰქონდეს ადგილი! ეს ხომ მისცემდა მათ საშუალებას, შეექმნათ ინტერფრონტი, ეროვნული ხსნის კომიტეტი, მაგრამ ამგვარი რამ არ ხდება. ამას რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგებიც ადასტურებს. რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (იმ რაიონებშიც კი, სადაც ქართველები მცირერიცხოვანნი არიან) ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. რესპუბლიკის ხელისუფლებამ, უზენაესი საბჭოს სესიაზე მადლობა გამოუცხადა მთელ არაქართველ მოსახლეობას და სრული თანასწორობის გარანტია მისცა. ამის შესახებაც არც ერთი სიტყვა.

მიხეილ გორბაჩოვი ხშირად ამბობს „მოდით ვკითხოთ ხალხსო". აი, ჩვენც ვკითხეთ და დამაჯერებელი პასუხიც მივიღეთ. რატომ არ ჰკითხავენ ა. ხემენიაკა და მისი უფროსები იმ 100 ათას ოსს, რომლებიც საქართველოში „ავტონომიის" გარეთ ცხოვრობენ, რატომ მისცეს მათ ხმა თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს? ა. ხემენიაკას, ისტორიასა და გეოგრაფიასთან ერთად სახელმწიფო სამართალზეც რომ მცირედი წარმოდგენა ჰქონდეს, არ ისურვებდა ავტონომიის გაუქმებას. ავტონომიური ოლქი არ წარმოადგენს სახელმწიფო წარმონაქმნს, ხოლო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა რესპუბლიკის უფლებას წარმოადგენს მხოლოდ.

რაც შეეხება ერის თვითგამორკვევის უფლებას. მკითხველთათვის, რომელთაც ცუდად იციან რესპუბლიკის ისტორია (ახლებით კი ბევრია კავშირში და ესეც გეგმიური პოლიტიკის წყალობით ხდება). სახელწოდება სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი ახოცირდება ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეასთან ან ვიეტნამთან. ე. ი. ერთ დროს ერთიან და შემდეგ გახლეჩილ სახელმწიფოსთან. ოსეთი, რომელიც შეიცავდა კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობს, არასოდეს არსებობდა. რუსეთსა და საქართველოს არასოდეს უომიათ ოსეთისათვის და არ გაუყვიათ ის სამხრეთად და ჩრდილოეთად.

ბევრი რესპუბლიკა ვერ დაიკვეხნის სხვა ერთათვის შექმნილი კულტურის კერათა ისეთ სიმრავლეს (თეატრები, სკოლები, გაზეთები, რადიო, ფაკულტეტები). მაგრამ, ერის თვითგამორკვევის უფლება? საუბრობდა რა ამის თაობაზე, ლენინი გულისხმობდა ერს — ლიტველს, ქართველს, რუსს, უზბეკს. რა არის ერი, იმედია, ა. ხემენიაკამ იცის, თუნდაც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფის კურსიდან მაინც. ჩვენ დროში კი მარქსიზმი „შემოქმედებითად" ვითარდება. მაგალითად: თუ ლიტველი ერი რეფერენდუმის გზით და თავისი მთავრობისა და უზენაესი საბჭოს სახელით მოითხოვს დამოუკიდებლობას, მათ იმ წუთში ეუბნებიან, რომ თავისი ნება უნდა გამოხატოს ლიტვის მთელმა ხალხმა. (ხდება ტერმინების „ერისა" და „ხალხის" აღრევა). მაგრამ, როცა ლიტველი ხალხის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას, მაშინ ამ საკითხის გადაწყვეტა მთელ საბჭოთა ხალხებს მიანდეს. კვლავ ახალი აღრევა „ხალხის" და „ხალხების" მაგრამ ისადება ელემენტალური, ლოგიკური კითხვა — რა კავშირი აქვს შუა აზიის მოსახლეობის უმრავლესობის აზრს, რომელმაც ხმა მისცა კავშირის შენარჩუნებას, საქართველოსთან ან სხვა რესპუბლიკებთან, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ რეფერენდუმის ჩატარებისაც კი, ირკვევა, რომ — პირდაპირი. ამ აზრის საფუძველზე ჩვენ გვთავაზობენ ახლავე დავდოთ სამოკავშირეო ხელშეკრულება. ამ დროს, სრულიად დავიწყებულია, რომ კავშირი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი. არგუმენტი ასეთია: „თქვენ ჯერ არ გიცხოვრიათ ახალ ფედერაციაში, მაგრამ უარს ამბობთ მასზე". დაპირებები, საბჭოთა ხელისუფლების დროს საკმაოზე მეტი იყო. აი, ამიტომ, ვისაც სურს იცხოვროს ახალ ფედერაციაში, ჩვენ კი შევხედავთ, თუ ეს მართლა ერთა თანამეგობრობა იქნება ჩვენც შემოგიერთდებით. მსოფლიო თანამეგობრობასაც გვსურს შევუერთდეთ — გავხდეთ გაეროს წევრი, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ სურთ გვაიძულონ კვლავ ერთ ოჯახად ვიცხოვროთ. ივიწყებენ სადამდე მიგვიყვანა ამან, თანაც დაუფარავად მიმართავენ შანტაჟს: არ გააკეთებთ — აი, თქვენ ეკონომიკური ბლოკადა, აი, თქვენ ცხინვალი.

მაიორმა იაკოვლიჩენკომ, რომელმაც ხელი მიჰყო საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზს, თავისი სტატია დაასათაურა ასე: „ბლოკადა... საღი აზრი" („კ. ზ." 18. 4. 91 წ.). ამ პუბლიკაციის თანახმად, ქართველებს უღალატა საღმა აზრმა და მათ მოულოდნელად, უცებ გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, ეს ხომ „თვით რესპუბლიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება". ცხადია, სამხედრო კორესპონდენტებს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ სპეციალურ ტერმინოლოგიას, ისინი ხან ცხინვალის „ბლოკადას" არღვევენ, ხან საღი აზრის „ბლოკადა" ელანდებათ. ამასთან, ამ სტატიის ავტორიც დუმს გაფიცვის პირველმიზეზის თაობაზე — გაფიცვა საქართველოში გამოიწვია რესპუბლიკის სუვერენიტეტის უხეშმა შელახვამ; გაფიცულები ითხოვენ ცხინვალში შეყვანილი სსრკ შინაგანი ჯარის დამატებითი კონტიგენტის გაყვანას. საღი აზრი დამსჯელი აქციის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შედეგების განსაზღვრას ითვალისწინებს.

სწორედ საღი აზრისაკენ მოუწოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა საკავშირო მთავრობას თავის განცხადებაში: „გამოვთქვამთ რწმენას, რომ სსრკ მთავრობა, ამ კრიტიკულ მომენტში გამოიჩენს საღ აზრს და არ გამოვა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის ინციატორად, როგორც სამოქალაქო ომისა, თავისსავე ქვეყანაში". ამ მიმართვის შესახებაც არც ერთი სიტყვა.

დავუბრუნდეთ პოდპოლკოვნიკ ხემენიაკას ბოლო პუბლიკაციას („კ. ზ." 18. 4. 91 წ.), რომელიც ასეა დასათაურებული: „რა მოხდა სოფელ დვანში". ხემენიაკა უსწორებს გაზეთებს „კურანტს" და „ნეზავისიმაია გაზეტა", რომ ორი — წმინდა გიორგისა და წმინდა სამების ტაძრის გადაწვის აქციაში მონაწილეობდა არა 12 ჯავშანტრანსპორტიორი და 4 ვერტმფრენი, არამედ 6 ჯავშანტრანსპორტიორი და 2 ვერტმფრენი. და, თურმე „ტაძრები დგანან იმ სახით, როგორითაც „გადმოეცათ" ქართველი „ბოევიკებისაგან" სპეცდანიშნულების რაზმებს". შემდეგ აგრძელებს: „24 მარტს ზუსტად აქედან გაუხსნეს ცეცხლი მანევრებზე გამოსულ შინაგან საქმეთა ჯარის სპეც ნაწილებს, რომელთაც დანაშაულის ადგილზე 5 ქართველი „ბოევიკი" დააკავეს. მათვე გაუცამტვერებიათ ოსური სოფელი ველევი".

მოდით ერთად განვსაჯოთ: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ეროვნული წმინდა ადგილების გადაწვაში 12 ჯავშანტრანსპორტიორი მონაწილეობდა, თუ 6, 4 ვერტმფრენი, თუ 2. ხემენიაკა წერს, რომ „ბოევიკები" სწორედ ამ ტაძრებში იმალებოდნენ. ე. ი. ეს ტაძრები არსებობდნენ და ისინი ბრძოლით იგდო ხელთ სპეციალური დანიშნულების რაზმმა.

რესპუბლიკის ტელევიზიის მაყურებლებმა ვნახეთ რა დარჩა ტაძრებისაგან, ერთერთისაგან — მხოლოდ კედელი. ხემენიაკა წერს, რომ „ბოევიკები" ტაძრებში იმალებოდნენ, კი მაგრამ იმ ერთერთი კედლის იმედად ხომ არ იქნებოდნენ იქ თავშეფარებულნი. ხემენიაკა აცხადებს, რომ 5-მა ექსტრემისტმა საფუძვლიანად დაარბია ოსური სოფელი ველევი. მაინც რა დრო დასჭირდება ხუთ კაცს, რომ დაანგრიოს თუნდაც ერთი ქვის სახლი? მაგრამ რა დრო დასჭირდებათ მათ, თუკი სოფელში ასზე მეტი სახლია? თანაც რატომ დაარბია ხუთმა ქართველმა „ბოევიკმა" არა ოსური, არამედ ქართულ-ოსური სოფელი ველევი?

ცხინვალიდან მივიღეთ ცნობა, რომ იქ შეიქმნა ეროვნული ხსნის კომიტეტი. ყველა კარგად ვიცნობთ ამგვარი კომიტეტების საქმიანობას. იქნებ უარი გვეთქვა სხვა ერთა „გადარჩენაზე" თავად ამ ერებისა და მათი ხელისუფალთა ნების საწინააღმდეგოდ? საეჭვოა, რომ საკუთარი წესდებით, სხვის მონასტერში „წესრიგის" დამყარება შეიძლებოდეს.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ**

ეს წერილი ახლახანს გაეგზავნა გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" რედაქციას, მაგრამ იქ არ დაბეჭდეს.

За нашу Советскую Родину!

КРАСНАЯ ЗВЕЗДА

ЕНТРАЛЬНЫЙ ОРГАН
ИНИСТЕРСТВА ОБОРОНЫ СССР

# ᲙᲣᲠᲡᲘ – ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲙᲔᲜ!

## ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

18 აპრილს სოხუმში ჭანბას სახელობის აფხაზურ დრამატულ თეატრში ჩატარდა აფხაზეთის მწერალთა მე-8 ყრილობა. ყრილობის დღეს — 18 აპრილს — გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში" დაიბეჭდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ალექსი გოგუას ინტერვიუ, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

„აფხაზეთის მწერალთა კავშირის ყრილობის წინ ჩავატარეთ პლენუმი, რომელზეც განვიხილეთ ყრილობაზე წარსადგენი ჩვენი ახალი წესდება. ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ, რაც შეიძლება კარგი დამოკიდებულება სსრკ მწერალთა კავშირთან. აფხაზეთის მწერალთა კავშირი არსებობს 1936 წლიდან, მერე რამდენიმე ხანს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილება. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ჩვენ მთლიანად თბილისზე ვართ დამოკიდებული. ეს არის ურთიერთობა ლიტფონდთან, შემოქმედებითი მივლინებების საკითხი და მწერალთა კავშირის წევრთა მიღებაც კი..."

მკითხველებმა ალბათ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ალექსი გოგუა ლაპარაკობს ურთიერთობის შენარჩუნებაზე სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან, მაგრამ არაფერს ამბობს მომავალში საქართველოს მწერალთა კავშირთან ურთიერთობაზე.

ჩვენ მივმართეთ ბატონ ალექსი გოგუას. მან თქვა, რომ მომავალში შესაძლებელია, მხოლოდ შემოქმედებითი ურთიერთობა და კონტაქტები საქართველოს მწერალთა კავშირთან, გამორიცხული არ არის პირადი კონტაქტებიც. მაგრამ, აღნიშნა ა. გოგუამ, აფხაზეთის მწერალთა კავშირი მომავალში არ დაექვემდებარება საქართველოს მწერალთა კავშირს, რადგან ამიერიდან ჩვენ მთლიანად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ბიუჯეტზე ვართო.

რაც შეეხება 18 აპრილს სოხუმში გამართულ აფხაზეთის მწერალთა მე-8 ყრილობას. იგი შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო პოეტმა ბაგრატ შინკუბამ. მოხსენებით ყრილობაზე გამოვიდნენ აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. გოგუა და გამგეობის მდივანი ვლადიმერ ზანთარია.

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ჟურნალ „ალაშარას" რედაქტორი ნიკოლოზ კვიწინია, ალმანახ „ლიტერატურნაია აბხაზიას" რედაქტორის მოადგილე იური ლაკერბაი, პოეტები ბაგრატ შინკუბა, ბორის გურგულია, ნადეჟდა ვენედიქტოვა და სხვები. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე თურქეთში მცხოვრები აფხაზი პოეტი შიინასი ტრაპში, რომელმაც თავისი ლექსებიც წაიკითხა.

ყრილობამ მიიღო აფხაზეთის მწერალთა კავშირის წესდება, რომელშიც აღნიშნულია, რომ აფხაზეთის მწერალთა კავშირი ფედერაციულ საფუძველზე დაამყარებს ურთიერთობას სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან.

ყრილობამ აფხაზეთის მწერალთა კავშირის ბიუროს და გამგეობის ნაცვლად აირჩია საბჭო, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ალექსი გოგუა, მდივნებად — ნიკოლოზ ჰაშიგი და ვლადიმერ ზანთარია.

არჩეულ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მეცხრე ყრილობის დელეგატები.

ყრილობას არ ესწრებოდნენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მწერლები და პოეტები, რომლებიც, როგორც გვაცნობა აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა პოეტმა გენო კალანდიამ, არც კი იყვნენ მიწვეული ამ ყრილობაზე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აფხაზეთის ქართველ და აფხაზ ლიტერატორებს შორის თითქმის არ იყო არავითარი ურთიერთობა, არავითარი კონტაქტი (სხვათა შორის, ალექსი გოგუამაც აღიარა კონტაქტების უქონლობის ფაქტი და თქვა, რომ ასეთი დაძაბული ვითარების გამო არ დავპატიჟეთ ყრილობაზე ქართველი მწერლები, რადგან ისინი მაინც არ მოვიდოდნენო.).

ბატონმა გენო კალანდიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ აფხაზეთის მწერალთა მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებები მაჩვენებელია იმისა, რომ აფხაზეთის მწერალთა კავშირი ფაქტიურად გამოეყო საქართველოს მწერალთა კავშირს. ამას, რასაკვირველია არ ეთანხმებიან აფხაზეთის ქართველი მწერლები და პოეტები.

ამიტომ ბუნებრივია, თქვა გ. კალანდიამ, რომ აფხაზეთის ქართველი ლიტერატორები გამოვიდნენ აფხაზეთის მწერალთა კავშირიდან და საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე დაისვას საკითხი — აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული განყოფილების საფუძველზე შეიქმნას საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილება.

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ**

ქ. სოხუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ კვდება, რაც ლამაზია

## როსტომ ჩხეიძე

გახსოვთ გალაკტიონი?!

კვდომა ბუნების წესია,
მაგრამ ჩემს გულში ასეა:
ნუ კვდება, რაც უბრძნესია,
ნუ კვდება, რაც ლამაზია.

ეს მართლაც აღუსრულებელი წადილი, ამაო ოცნება ამ წუთისოფელში...

ვითომ ამაო და აღუსრულებელი?

განა ეს წადილი და ოცნება არ არის ლიტერატურის, საერთოდ, ხელოვნების არსებობის საწყისი და გამართლება?.. მერე რა, რომ კვდომა ბუნების წესია — ამ წესთან ადამიანის შინაგანი უთანხმოება და ამბოხი ჰქმნის სწორედ მეორე ცხოვრებას, გამოხატულს ხელოვნებით, ამ მეორე სამყაროს, ხილული რეალობის შემავსებელს და ყრანაკლებ დაუცილებელს კაცობრიობის სულიერი არსებობისათვის.

აქ დროის მარადისობაა დაპერილი: ამიტომ არ კვდება უბრძნესიც, არ კვდება ლამაზიც, არ კვდება კეთილიც...

ოღონდ... არ კვდება ბრიყვიც, არ კვდება მახინჯიც, არ კვდება ბოროტიც...

და მათი შეურიგებელი ჭიდილი მწერლობასაც ისევე მოჰყვება უხსოვარი დროიდან, როგორც რეალურ ყოფას. ამ ჭიდილში ბრუნავს ცხოვრება, ამ ორ რკალს შუაა მოქცეული — სიკეთის, სილამაზის, სიბრძნის და სხვა სიქველეთა გადარჩენის იმედსა და დაღუპვის საშიშროებას შორის.

ერთ მხარეს ეს სიქველენია.

მეორე მხარეს სასტიკი, დაუნდობელი, ტლანქი გარემო, ამ სიქველეთა არსებობის პატიება არაფრისდიდებით რომ არ შეუძლია და შურისძიებასაც ამიტომ არ ერიდება.

განა ეს ჭიდილი მძაფრად არ არის გამოხატული, თუნდაც... რომელი ერთი გავიხსენო... თუნდაც გიორგი ლეონიძის „მარიტაში“ ანდა ბესიკ ხარანაულის „ხვედრში?“

ესეც ნიშანდობლივია:

ეს ორი თხზულება — ერთი ნოველა და მეორე ლექსი — ისეთნაირად წარმოგვიდგება და ისეც მთავრდება, როგორც მათ შემოქმედთა მსოფლხედვასა და ხზროვნების მხატვრულ-ესთეტიკურ მანერას შეეფერება.

ერთი: ამაღლებული, ჰიპერბოლური ხილვებითა და შთამბეჭდავი სიმბოლიკით.

მეორე: ყოველგვარი მეტაფორისა და სიმბოლური ხატების გარეშე.

ჟანრობრივად თითქოს უფრო პირიქით იყო მოსალოდნელი, მაგრამ აქ ასეა: ნოველა რომანტიული ყაიდის ქმნილებაა და ბუნებრივადაა გახვეული ამგვარ ხილვებში, ისევე, როგორც ლექსის მკაცრი რეალისტური წარმოსახვანი სხვანაირად ვერ ამეტყველდებოდა.

და თუმც ბევრგვარად განსხვავდებიან, ერთნაირად არიან განმსჭვალულნი უზომო სევდით და ამ სევდას მსგავსი მოტივი, საერთო ტკივილი იწვევს — სილამაზის განწირულება წუთისოფელში, მისი კრთომა და უმწეობა ბულქვა გარემოში.

ეს ტკივილი ორივეგან შეფარულია და თითქოს სხვა სოციალურ-ზნეობრივი მოტივები უფრო წამოიწევს, მაგრამ მოვლენათა დრამატულ მდინარებაში მშვენიერების განწირულებაც სახიერად წარმოგვიდგება.

მარიტა — თითქოს მზის ჩამონათალი და მთვარის გამოახლება, ხეობის თვალი და დედოფალი — ბედისწერადქცეული სილამაზის მსხვერპლია: წრფელსა და უმანკო გულისძგერას, უნებლიედ გამჟღავნებულს, მხოლოდ ამიტომ ჩაუთვლიან ცოდვად — „მირონი დაჰქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ!“ — და სოფლის ულმობელი მრისხანებაც ამიტომ დაატყდება.

რისთვის ასეთი სასტიკი განაჩენი? — პერანგისამარა ქალის ვირზე უკუღმა შესმა და სოფლად ჩამოტარება, სატანჯველი, რაც მსხვერპლს სიკვდილს მოანატრებს, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანს.

რისთვის ასეთი დაუნდობლობა? — სოფლის განაჩენს წინ ვერავინ გადაუდგება, რადგან ბრბო ჩუმად, უჩინრად მოიჭყუხს, როგორც ლვარცოფი და მის წინაშე უძლურია თვით ღმერთი!

ნუთუ გედიას (მარიტას ადრინდელი, უბედო სიყვარულისა და ამჟამად კი ოჯახის ნათლიის) სტუმრობას, შინ მარიტა სრულიად შემთხვევით რომ დახვდება მარტო, ასეთი განაჩენი უნდა მოჰყოლოდა?

განა ამით მართლა შეიბღალა სოფლის ადათი და პატიოსნება?!

თავკაცნი — და უპირველესად, ციციკორე — მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ სოფლის შელახულ ღირსებას ცოდვილის დასჯით თუ ეშველება, ხოლო მიტევება, უბრალოდ თვალის არიდება კიდევ უფრო გააღრმავებს, კიდევ უფრო გარდაუვალს გახდის ზნეობის რღვევას; და სოფელი მათ გადაწყვეტილებას უყოყმანოდ და მონდომებით ახდევს, რადგან სწორედ ეს იყო მისი ფარული ლტოლვა, გაუმხელელი, ოღონდ მიზანდასახული წადილი, საბაბის გამოჩხრეკახლა რომ ელოდებოდა: და რადგან შინაგან ლტოლვას ადრე თუ გვიან ვერავინ და ვერაფერი გადაელობებოდა, ამიტომაც გამოიძებნა ნაძალადევი საბაბი.

მხოლოდ მერელა მიხვდება სოფელი თავის შეცდომასა და ბოროტებას, თავის დანაშაულს, რაც მარიტა გაიწირება — მორალურად განადგურებული ქალი ზეზეურად დადნება და უთქმელად გაეცლება ამ ქვეყანას; მერელა გაიცნობიერებს თავის ნამხეცარსა და ნაპიროტყვალს, მერელა იგრძნობს მარიტას უმანკოებასა და უნაკლულო პატიოსნებას... მხოლოდ კუბოში მწოლიარე და ხამარეში ჩაშვებული მარიტას ცხედარს შეხედავენ უბოროტო და უშურველი მზერით და მისი სახება, ღვთაებრივი სილამაზე ისე დათრგუნავთ, ერთი მუჭა მიწის მიყრას ვერავინ გაბედავს და კინაღამ ერთმანეთს გადათელავენ და გადათქერავენ.

და როცა მთელს წელიწადს ზეცა წვიმის ცვარს არ გაიმეტებს და ყანები და ვენახები ჩაეწვებათ და გადაუხმებათ, ამ უბედურებას მარიტას უსამართლო სიკვდილს დააბრალებენ.

თითქოს ღმერთი განრისხებულა და შურს იძიებს: გვალვა ადამიანთა სულიერი გაბერწების და გახრიოკების წილ მოუვლენია, როგორც მათი შინაგანი ყოფის გარეგნული გამოხატულება.

ასე გაზვიადდა მარიტას სახება, ისეთ წარმოსახვებს შეერწყა, რომ სოფლის ეს რწმენა სავსებით რეალური ჩანს: ბოლო წარმოსახვანი მარიტას სიკვდილთან ერთად ჩნდება და მართლაც გრანდიოზულ გაზრებამდე მაღლდება — არამარტო ხეები ტირიან, არამედ მთები გადაბნელდება, ქვეყანა დაცარიელდება, ქვა დადნება, კლდე დაიშლება...

ეს ამაღლებული მეტყველება, თხრობის პათეტიკური მდინარება — სულ უფრო და უფრო რომ ალეგზნის — ის აუცილებელი სტილური მანერაა, რამაც უშუალო ძაფები უნდა გააბას მიწიერ ცხოვრებასა და ზეციურ სამყოფელს შორის; და ამ პოეტურ განცდებს ხალხური ლექსის სურნელი პკვებავს — „მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო!.. ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო, — მარიტა მოდისო!... სამოთხეში ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილხარო“ — რათა ძალდაუტანებლად მოჰყვეს და შარავანდედად დაადგეს სრულიად უჩვეულო, ოღონდ ღრმა მხატვრული ლოგიკით ბოლომდე სარწმუნო და სრულყოფილი ხილვები.

— ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარო!

— იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...

თამაზ ბიბილურის დაკვირვებისა არ იყოს: ასე „...ფართოვდება საზღვრები ერთი სოფლელი გოგოს სიკვდილისა და ეს სიკვდილი თითქოს კოსმიურ მნიშვნელობას იძენს — მახში უკვე წარსულიც მონაწილეობს და ადამის მოდგმის მთელი ცოდვაც ბორგავს. და თუ რამ სამყაროში წმიდათაწმიდაა, მარიტას სულის სიწმინდესთან გროვდება“. და სწორედ ამიტომაა მარიტას სიკვდილი ამ წიგნში, „ნატვრის ხეში“, ყველაზე სიდიადით შემოსილი და ტრაგიკული კათარზისის ძალისა. აქვე კიდევ ერთი საგულისხმო გარემოებაცაა გამოკვეთილი: „როცა მარიტას სიკვდილის სიდიადეზე იწყებს მწერალი თავის საბოლოო სათქმელს, გვაფრთხილებს, როგორც ხალხი იტყოდაო, ხალხური ლექსი იტყოდაო, ხალხმა მოულო თავისი სისასტიკით ბოლო უწმინდეს სილამაზეს და ხალხივე ტირის ამ სილამაზის დაღუპვას, რადგან ხალხს ერთიც ძალუძს და მეორეც“.

წუთისოფელი ეს ყოფილა — და თუმც მარიტას გაწირვას ნანობენ, მშვენიერება კვლავ თუ მოევლინებათ, ხორცშესხმული არსების სახით გამოეცხადებათ, იმასაც დაუნანებლად გაიმეტებენ, რათა მერე ცრემლი აფრქვიონ.

ამ წინააღმდეგობაშია გახლართული კაცობრიობის ცხოვრება და თუ ულმობელ ბუნებას ვერ მორევია, ცრემლისა და გლოვის უნარსაც ამიტომ მოიძიებს გაუდაბურებულ სულში, რათა ამით თავი გადაირჩინოს და ერთხელ და სამუდამოდ არ ამოიხრჩოს სისხლსა და სისასტიკეში. თორემ მრისხანებისას აკი თვით ღმერთსაც არ ეპუება, რადგან ბრბოდ ქცევისას ყველაზე მწვავედ ამოხეთქავს ბნელი ინსტინქტები. და გიორგი ლეონიძის ის ფრაზაც რაოდენ ღრმა და ტევადია. „...მის წინაშე უძლური იყო თვით ღმერთიო“.

ეს ფრაზა მარტო მხატვრულ გაზვიადებას არ უნდა გულისხმობდეს — და მისი ნამდვილი შინაარსი მკაფიოდ მაშინ ცნაურდება, როცა მარიტას სულს ზეცაში ასე განსაკუთრებულად შეეგებებიან: კონტრასტი მეტად სახიერია ამ ორ პასაჟს შორის, სიმძაფრით აღვსილი, და შთამბეჭდავად წარმოგვიდგება ამქვეყნიური ყოფის ტრაგიზმი — ბნელ ვნებათა სათარეშოდ გადაქცეულ ასპარეზს თვით ღმერთიც რომ ვეღარ განაგებს.

ცხოვრების ეს ტრაგიზმი გარეგნულად ასე სახიერად არ არის გამოხატული „ხვედრში“, ადამიანები აქ ისე ყოვლისწამლეკავად არ მრისხანებენ, არც არავინ ილუპება, მაგრამ მშვენიერება აქაც ულვთოდაა გამეტებული — უბრალოდ, სილამაზის ჯვარცმა მთლიანად სულიერსა და ფსიქოლოგიურ სფეროშია გადატანილი და დაპირისპირება ამ კუთხითაა გააზრებული, ტევადი პოეტური ფორმულებით და სურათებით გაცხადებული.

ლექსის საერთო ფონი უაღრესად პირქუშია, მკაცრი და უხასიათობით გაჟღენთილი, როგორც ნიშანდობლივია ბესიკ ხარანაულის პოეტური მრწამსისათვის. ესაა სასოწარკვეთილი მსოფლხედვა, ისეთი მხატვრული სამყარო, რომელიც მოწყვეტილია რწმენას და ლირიკული გმირი ყოველმხრივ დახშულ, დახუფულ გარემოში გოდებს და იტანჯება, მჭიდრო სარქველი უხშობს ზეცისაკენ ლტოლვას და დაკარგული ღმერთის ძიებას და სიმრუმესა და სიპირქუშეში იმედის სხივიც არსად ჰიატებს. ამ თვალსაზრისით, ბესიკ ხარანაულის განსხვავებული პოეტური ხილვები და წარმოსახვანი ნიკო სამადაშვილის მხატვრულ ცნობიერებას ენათესავება, მისი სულიერად გაორებული ლირიკული გმირის მონოლოგებს აგრძელებს (ახალ გარემოში) და ეს ორი შემოქმედი განცალკევებით ამიტომაც წარმოგვიდგება ჩვენი საუკუნის ქართულ პოეზიაში.

„ხვედრშიც“ ისევე ანათებს ქალის მშვენიერება, მიუწვდომელი და ამაღლებული, და ისეთი გამორჩეულობით წარმოსდგება მთელს იმ არე-მარეზე, როგორც მარიტასი... და სასაცილო და ულიმღამო გარემოსაც მასავით ამაღლებს...

აქაც უნებლიე შეცოდება ამძაფრებს ვნებებს და შურისგების ფარულ განცდას: ვისაც უნუგეშოდ შესტრფოდნენ და თვით თვალის მოკვრა, განათებული ფანჯრების იქით სანატრელი ლანდის დანახვა სიხარულით აღავსებდათ, მოულოდნელად განიძარცვება იდუმალებისა და ამაღლებულობისაგან — ქალაქში ჩასული პირველივე იდიოტს (ეს სიტყვა ორჯერაა საგანგებოდ გამოკვეთილი) გაჰყვება და ცოტა ხანში კიდეც მოუწევს გაწბილებულ მშობლებთან დაბრუნება. სულ ესაა მისი დანაშაული.

ბედის ეს გაწყრომაა დასაწყისი მისი სულიერი ტანჯვისა და სიმარტოვის, რადგან გამორჩეულობა სწორედ ასეთ ხვედრს უმზადებდა.

...ჯერ სილამაზის გამო ამოიღო
სოფელმა თვალში,
ახლა კიდევ გამრუდებულ
ცხოვრების გამო
ჯერ შურდათ, ახლა კი
ეჯავრებათ.

თითქოს მკაფიოდაა გაყოფილი ერთმანეთისაგან შურისა და გულისწყრომის მიზეზები, მაგრამ ეს მხოლოდ ნიუანსობრივი დაზუსტებაა: არსებითად, ეს ერთი მთლიანი განცდაა, ერთმანეთში გადახლართული, ურთიერთშემავსებელი. ნათელია, რომ კვლავ სილამაზე აღვივებს მდაბალ ინსტინქტებს, მორალისტურ შეგონებებს ამოფარებულს და „გამრუდებული ცხოვრება“ მარტოდენ საბაბია მათ გამოსახატავად. თითქოს ოჯახის გადამეტებული სიმკაცრე არა კმაროდეს („სიმართლეს რომ შეალიეს მთელი ცხოვრება, ახლა საკუთარ შვილის მიმართ იყვნენ უსამართლონი; მამამისმა ძმლილი გაიჩინა — კაცისმჭამელი, თუმც ქალიშვილთან უბრად არის, დღისბოლოსათვის შვილით იბარებს მის ყოველ ნაბიჯს“), თანასოფლელნი მწარედ დათრგუნავენ და დაამცირებენ სულიერად და სამაგიეროს ასე მიაგებენ. ამიტომაცაა ეს სავსებით ყოფითი სცენა შინაგანად ასეთი დამუხტული, უაღრესი სიძულვილით გაჟღენთილი და გადამწყვეტი.

ნაცნობ-ტოლ-მეზობლები კედელს აშენებენ, ოფლიანები, აჩეჩილნი, ცემენტით და კირით დასვრილნი, ქალი კი უცხოსავით შედის ეზოში და მიესალმება:

მე ისე არ გამაკვირვა ჩემი
გულის აბაგუნებამ,
როგორც ამათმა სიმშვიდემ და
გულგრილობამ — როგორ
შეხვდნენ
ირემივით შემოხეტებულს!...
მაგრამ, ეტყობა, ისინი არც
მშვიდნი იყვნენ და
არც გულგრილნი,
ისინი ამ ქალს ძველი ჯავრით
უსწორდებოდნენ,
ვითომ ვინ ხარ და რას დადიხარ,
რას დაეძებო,
ხომ ხედავ, როგორ არაფრად
არ მიგვაჩნიხარო....

ამიტომ არ შეხედავს არცერთი სწორად, ამიტომ არ გაუღიმებენ თუ გაწითლდებიან, ამიტომ შეხალისდებიან და კაცურობას სიტყვითაც, საქმითაც ამიტომ მოუმატებენ... და ესაა შურისგების აღსრულების ჩუმი ზეიმი...

ამ შემთხვევამ — სიტლანქისა და აბუჩადამგდები უარყოფის ხილვამ — საბოლოოდ უნდა გადაუშალოს ქალს თვალწინ თავისი უნუგეშო ხვედრი, სიწრფელისა და მიამიტობის მკაცრი განაჩენი, უნაკლულო პატიოსნების საზღაური, სრულიად წარუკვეთოს სასო და მისი რომანტიული სწრაფვანი გაუხარელ ყოველდღიურობასა და ყოფითობაში გათქვიფოს.

და შენ კი არა, შენი ხვედრი
იქცევა შენად,
მას ერქმევა შენი სახელი.
იმით შეალებ ყველა კარს და
იმით დაწვები...
ღმერთო ჩემო... ცხრაათასჯერ
პერანგი რომ გამოიცვალო,
იმით დაწვები...

ასე იძირება ყველაფერი სრულ უსასოობასა და სასოწარკვეთაში.

აკი სხვაგვარად არც მოველოდით: აქ იმედი არ უნდა კრთოდეს.

ცხადია, არ უნდა კრთოდეს თვალნათლივ, თორემ ბესიკ ხარანაულის პოეზიას (ისევე, როგორც ნიკო სამადაშვილის ტრაგიკულ მსოფლშეგრძნებას) ფარული იმედი რომ არ ასულდგმულებდეს, ეს პოეზია ხომ არც შეიქმნებოდა.

ხოლო ნოველის ფინალში იმედოვნება ახლად აყვავებული, ცეცხლისფრიანი ბროწეულის ყვავილის მეტაფორითაა გამოხატული, მარიტას გაუკაცრიელებულ ეზოში, სადაც არცერთი ხე არ გადარჩენილა და ყველაფერი მტვერს და ნაგავს დაუფარავს, ბროწეული თავისით ამოვარვარებულა და მის მოლიმარ, მხიარულ ყვავილში მარიტას სახე ილანდება. ეს ორი ხატი — ბროწეულის ყვავილი და მარიტა — ნოველის დასაწყისშივე გადაეჯაჭვა და გაუიგივდა ერთმანეთს მზისადმი უსაზღვრო და განსაკუთრებული ლტოლვის, მზიური სინათლით აღვსების გამო; და, აი, ახლა ეს გაიგივება სრულყოფილი სიცხოვლით წარმოგვიდგება: ასე განზოგადდა ბროწეულის ყვავილის ხატი და მშვენიერების მარადიულობისა და წუთისოფელში მისი ტანჯული არსებობის სიმბოლოდ ამაღლდა.

საბრალო მშვენიერება... განწირული მშვენიერება... უძლეველი, წარუვალი მშვენიერება...

და იმ ფიქრსაც ძალაუნებურად მოიყოლებს, მისი იდუმალებით მოცული კარიბჭის წინაშე მობორიალეს: „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე: ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!“.

არ კვდება კია... არ კვდება ლამაზი არსი ჩვენი ცხოვრებისა.

და კიდევ კარგი, იდუმალებას რომ მოუცავს სილამაზის, მშვენიერების წარმომავლობა. მისი კვდომა-გაცოცხლების, განახლების მარადიული ბრუნვა, თორემ ტლანქსა და გაშმაგებულ ხელს ვერაფრისდიდებით ვერ გადაურჩებოდა, და სიცოცხლე გაუსაძლისი გახდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა ზვიად გამსახურდიას მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", რომელიც მიზნად ისახავს ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების შესწავლას, რაც გულისხმობს პოემის ფაბულის, სიუჟეტისა და მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგორიულ ინტერპრეტაციას. თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევათა გათვალისწინებით, ნაშრომში მოცემულია ახლებური გააზრება რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა და მსოფლმხედველობისა, ინიციაციური სიბრძნის ძირითადი იდეებისა, რომელნიც არეკლილნი არიან ვეფხისტყაოსანში ქართული სალვთისმეტყველო აზროვნებისა და მითოლოგიისათვის დამახასიათებელი ფორმით.

წიგნი გათვალისწინებულია ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისათვის და პრობლემათა ამ წრით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

# სად იშვის თავისუფლება

მერაბ კოსტავას 1978 წელს საპატიმრო საკანში დაუწერია ერთი ეტიუდი, რომელსაც „თავისუფლება" ეწოდება. ეტიუდის ლირიკული გმირი საკნის ცხაურიდან ფირუზისფერ ცაში მონავარდე ფრინველს შეჰყურებს და მას თავისუფლების სიმბოლოს გამოვლინებად განიცდის. თუმცაღა, თავისი შინაგანი სამყაროსაკენ პირმიქცეული პატიმარი მოულოდნელ დასკვნას აკეთებს და ფრინველს მიმართავს: „ვერ მომატყუებს ეგ შენი თავდავიწყებამდე დაუცხრომელი ნავარდი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფლება, არამედ მარტოოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლება აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის, ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი... ვუმზერ სივრცეში შენს დაუსრულებელ ნავარდს, როგორც ჩემი სულის პროექციას გარე სამყაროში და ვტკბები მშვენიერი სიმბოლოთი, რომლის ჭეშმარიტმა არსმა ჩემშივე იწყო ალმოცენება".

რომ არ ვიცოდეთ მერაბ კოსტავას გმირული ცხოვრების ამბავი, რომ არ გვსმენოდეს იმ ზლაპრული ჭირთათმენის შესახებ, რომელიც მას გადაუტანია ტყვეობაში, ან რომ არ წაგვეკითხოს მისი ლიტერატურულ-მეცნიერული ოპუსები, შეიძლება ეს ეტიუდი ავტორის პოეტური თავისუფლების მხოლოდღა ორდინარულ გამოვლინებად მიგვეჩნია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ ეტიუდში ჩადებულია მთელი კონცეფცია, რომლის სათავე ფილოსოფიური სისტემის სიმაღლიდან გამომდინარეობს.

მერაბ კოსტავა თავის სტატიებში ხშირად ახსენებს გერმანელ ფილოსოფოსს რუდოლფ შტაინერსა და მის მოძღვრებას. როგორც ჩანს, ანთროპოსოფია და თავისუფლების ფილოსოფია, რომელსაც შტაინერი ქმნიდა, ძალზე ახლოს მივიდა მ. კოსტავას სულიერ სამყაროსთან.

რუდოლფ შტაინერის ფილოსოფია, რომელშიც გაერთიანდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის რელიგიურ-მისტიკური მოძღვრებები, ებრძვის „მასის ადამიანის" არასულიერებას, მისი მიზანია, გამოავლინოს ადამიანში ახალი სულიერი ძალები, უფრო მეტიც — ადამიანის სხეულის შიგნით ჩამოაყალიბოს ახალი სულიერი ორგანოები.

ამ ლირიკულ ეტიუდში აშკარად მოჩანს შტაინერის ფილოსოფიის გავლენა. როგორც ირკვევა, მერაბ კოსტავას მებრძოლ სულს ღვთისა და ქვეყნის სიყვარულთან ერთად ანთროპოსოფიის ჰუმანური პრინციპებიც განამტკიცებდა.

იოანე პეტრიწი წერს, ფილოსოფოსობა არის სულზე ზრუნვა, სულიერ საქმეთა მარად აღსრულება და იმავდროულად — სულიერი სიკვდილის დათრგუნვა, ანუ „წურთაი სიკუდილისაი"-ო. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული ლირიკული ეტიუდი მერაბ კოსტავას, როგორც პიროვნებისა და როგორც მოღვაწის, ფილოსოფიური ავტოპორტრეტია.

და აი, ამ ავტოპორტრეტის ერთი საყურადღებო შტრიხი: ჩვენს ხელთაა რუდოლფ შტაინერის შრომა „ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით", რომელიც გერმანულიდან უთარგმნია მერაბ კოსტავას.

რატომაა შერჩეული სათარგმნელად მაინცდამაინც ეს ტექსტი?

ალბათ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ შრომაში შტაინერი მეტად სასარგებლო პრაქტიკულ რჩევებთან ერთად იძლევა თავისი ოკულტური მოძღვრების ერთგვარ კვინტესენციას.

შტაინერი ამბობს, რომ აღზრდის პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია მოზარდის შინაგანი ბუნების საიდუმლო თვისებათა შესწავლა. ამიტომაც ადამიანში უნდა გავარჩიოთ მისი ბუნების შემადგენელი ოთხი წევრი: ფიზიკური სხეული, ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეული, ასტრალური ანუ გრძნობათა სხეული და „მე" ანუ „მე-სხეული".

ეთერული სხეული ადამიანის ტემპერამენტსა და ხასიათს განსაზღვრავს, ასტრალური სხეული — გრძნობებს: მწუხარებას, სიხარულს, სურვილებს; „მე" კი სამივე სხეულზე ზემდგომი სუბსტანციაა.

„მე"-ს შეგნება მიწიერ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანს აქვს. „მე" ყველა სხვა სახელისაგან განსხვავებული სახელია. შეგვიძლია ზოგადად მაგიდას „მაგიდა" ან სკამს „სკამი" ვუწოდოთ, მაგრამ სახელით — „მე" ვერ განვსაზღვრავთ სხვა საგანს, გარდა საკუთარი თავისა, სახელი „მე" ვერასოდეს წარმოითქმება ჩემს გარეშე. არსება, რომელიც თავის თავს „მე"-ს უწოდებს, სამყაროა თავის თავში. „მე"-სთან ერთად ადამიანის წიაღიდან გამოვლენას იწყებს ღვთაება.

დასახელებული ოთხივე სხეული ევოლუციურად ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთს მოსდევს, ხდება მათი ურთიერთზემოქმედება, მაგრამ ყოველივეს განმსაზღვრელი მაინც „მე-სხეულია".

შტაინერის ანთროპოსოფიის მიხედვით, ადამიანის მთელი კულტურული ევოლუცია დაიყვანება „მე"-ს მუშაობაზე მისი დაბალი სხეულების — ასტრალური, ეთერული და ფიზიკური სხეულების მიმართ. „მე"-ს ზეგავლენით იცვლება ადამიანის ფიზიონომია, ჟესტიკულაცია, მოძრაობა და ტანის მთლიანი გამომეტყველებაც. ასე რომ, ადამიანს შეუძლია გარდაქმნას თავისი არა მარტო სხეული, არამედ ხასიათი, ტემპერამენტი, მეხსიერება და ა. შ.




ძალზე საინტერესოა ბავშვის აღზრდის ანთროპოსოფიული სისტემა, რომლის საფუძველს წარმოადგენს აღნიშნული ოთხი სხეულის ევოლუციური მონაცვლეობა და ურთიერთზემოქმედება. „მე-სხეულის" განვითარებისათვის ყველაზე მძლავრ იმპულსად მიჩნეულია რელიგიური განცდები. შტაინერი ამტკიცებს, რომ ადამიანის ნება და ხასიათი ვერ მიაღწევენ ჯანსაღ განვითარებას, თუ მას უკვე შვიდი წლის ასაკში არ შესწევს უნარი განიცადოს რელიგიური იმპულსები. თუკი ადამიანი არ გრძნობს თავს ღვთივსულიერთან კავშირში, მაშინ მისი ხასიათი და ნებელობა მერყევი რჩება...

რუდოლფ შტაინერის ეს შრომა საკმაოდ მცირე მოცულობისაა, მთარგმნელს მის გადმოსაღებად განსაკუთრებული გარჯა არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ ყოველმხრივ ჩანს, რომ მერაბ კოსტავას საგანგებოდ უმუშავია. ეს არის არა მხოლოდ ცდა თარგმანის უზადოდ შესრულებისა, არამედ თანაშემოქმედების ერთგვარი წყურვილი, ერთგვარი მცდელობა ფილოსოფიური ნააზრევის გათავისებისა: ზოგჯერ მთარგმნელი კომენტარის მსგავს შენიშვნებს იძლევა, თავისი მოხაზრებისამებრ ხაზგასმით თარგმნის ზოგიერთ სიტყვასა თუ ფილოსოფიურ „სინტაგმას".

რაღა თქმა უნდა, მომავალში აუცილებლად ითარგმნება შტაინერის სხვა, უფრო ვრცელი შრომები და ქართველი მკითხველი ახლოს გაიცნობს ამ „თავისუფლების ფილოსოფოსს", ეზიარება ანთროპოსოფიის საიდუმლოს. და ერთობ სიმბოლურია, იქნებ ნიშანდობლივიც, რომ თავისუფლების ფილოსოფიისაკენ თავისუფლების რაინდი მიგვიძღვება.

**ივანე ამირხანაშვილი**




# „ლექსები პროზად"

საფრანგეთში, მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გაჩნდა ლირიკული სტილი, რომელიც სწორედ ბოდლერის შემოქმედებიდან იღებს სათავეს.

ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს შარლ ბოდლერის ქართულად შესრულებული ახალი კრებული — „ლექსები პროზად". ლექსები ფრანგულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ (გამომცემლობა „საქართველო", 1991 წელი).

როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ: „ლექსები პროზად" — პოეტური პროზის თვალსაჩინო ნიმუშებია, რომლებშიც გაცხადებულია დიდი ფრანგი მწერლის პოეტური მიმართება გარემომცველ სინამდვილესთან, მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი კრედო".

კრებული იხსნება შარლ ბოდლერის წერილით არსენ ჰუსსესადმი, სადაც პოეტს ახსნილი აქვს თავისი ნაწარმოებების მსოფლმხედველობა. სტილის ერთიანობა, რაც, როგორც ცნობილია, როდი ნიშნავს მის ერთფეროვნებას.

მოვუსმინოთ თავად ბოდლერს: „ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით მცირე ნაწარმოებს. ნუ იტყვით, რომ მას არ გააჩნია არც კუდი, არც თავი, ვინაიდან, პირიქუ, მის თითოეულ ნაწილს ძალუძს გახწიოს ხან კუდის მაგივრობა, ხანაც თავისა. დაუკვირდით, გეთაყვა, რაოდენ ხელსაყრელია ასეთი კომბინაცია ყოველი ჩვენთაგანისათვის: თქვენთვის, ჩემთვის და მკითხველისათვის. ჩვენ ყოველ წუთს ძალგვიძს შევწყვიტოთ, მე — ჩემი ოცნება, თქვენ — ხელნაწერის გადათვალიერება, ხოლო მკითხველმა — კითხვა; რამეთუ მე არ შემიკრავს მისი თვითარსული ნება რთული ინტრიგის ძაფით. ნებისმიერი მალა ამ ხერხემლისა რომც ამოიღოთ, ამ ნატიფად წნული ფანტაზიის სხვა ნაწილები კვლავ შეერთდება..."

ამ კრებულით ქართველმა მკითხველმა შარლ ბოდლერის უზადოდ თარგმნილი ლექსები მიიღო (შესულია 50 ლექსი და ეპილოგი), რაც უდავოდ ძვირფასი საჩუქარია ყოველი ჩვენგანისათვის.

გთავაზობთ კრებულიდან ერთ-ერთ ლექსს — „უცხო".

— იდუმალებით მოცულო კაცო, მითხარ, ვინ გიყვარს ყველაზე მეტად: დედა, მამა, დაჲ თუ ძმა?

— არა მყავს დედა, არც მამა, არც ძმა და არცა დაჲ.

— მაშ მეგობრები?

— მაგ სიტყვის აზრი დღემდე უცნობია ჩემთვის.

— იქნებ სამშობლო?

— არც კი ვუწყი, რომელ განედზე მდებარეობს იგი.

— მშვენიერება?

— მე მზად ვარ შევიყვარო მშვენიერება, თუ იგი ღვთაებრივი იქნება და უკვდავი.

— ოქრო?

— მე მძულს ოქრო, ისევე, როგორც თქვენ გძულთ ღმერთი.

— მაშ რაღა გიყვარს, ბოლოს და ბოლოს, საოცარო უცხოელო?

— ღრუბლები მიყვარს... ჰე, ცის ტატნობზე რომ მისცურავენ... ის საოცარი ღრუბლები.



# წერილები რუს მწერლებს

## გურამ პეტრიაშვილი

### წერილი მეორე

პატივცემულო კოლეგებო!

რომ იცოდეთ, რამდენი რამ მაქვს სათქმელი თქვენთვის.

თან ყველაფრის თქმა მეჩქარება.

მინდა რაც შეიძლება ჩქარა გიჩვენოთ, რომ დიდი რუსული ლიტერატურა სინამდვილეში ორი ლიტერატურისგან შედგება: ერთია საკუთრივ ლიტერატურა, მეორე კი — ერთადერთი მარტივი აზრის უთვალავ ლიტერატურულ-მხატვრულ ვარიაციათა ჯამი.

ხოლო ის მარტივი აზრი წინა წერილში გაგახსენეთ:

„რანო ლი პოზდნო ლი, ა კონსტანტინოპოლ დოლჟენ ბიტ ნაშ"...

მინდა რაც შეიძლება მალე გიჩვენოთ, იმავე ბორშჩაგოვსკის წერილის მაგალითზე, რომ ეშმაკის მიერ ჩაგონებულ იდეას, — რუსებმა სხვა ხალხებზე უნდა იბატონოთო, — ეშმაკისეული ხერხებითვე იცავენ იმპერიის ერთგული მწერლები...

მინდა რაც შეიძლება მალე გიჩვენოთ, თუ რა განსხვავებაა რუსულ და ქართულ ლიტერატურას შორის. გიჩვენოთ, რომ ქართული მწერლობა ვერ აცდუნა ეშმაკმა. ქართული ლიტერატურა მონოლითური და ურყევია. და კონსტანტინოპოლების დაპყრობაზე მას არასოდეს უოცნებია...

უამრავი რამ მინდა გითხრათ მაგრამ ჯერ წინა წერილის თემა მოითხოვს განვითარებას.

ეს ვეება იმპერია ბოროტების იმპერიად იწოდება და უბედურია მასში მცხოვრები ყველა ერი. უკლებლივ ყველა.

მაგრამ ერთ-ერთი უბედური ერის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება სხვების მდგომარეობისაგან.

დანარჩენი ერები უბედური იმიტომაა, რომ დაპყრობილები არიან. რუსი ერის უბედურება კი ისაა, რომ მისია ეს იმპერია. რუსეთს ჰყავს სხვა ქვეყნები დაპყრობილი.

ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია, რომ რუსმა ადამიანებმა გააცნობიერონ, თუ რაშია მათი უბედურება.

როდესაც რუსების უმრავლესობა მიხვდება, რომ იმპერიაზე უარის თქმა არის ერთადერთი გზა მათი ერის გადარჩენისა, წინსვლისა და ბედნიერებისა, მაშინ მათაც ეშველებათ და ჩვენც.

დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოხდება.

ახლა ხომ უკვე გარბიან თითო-თითოდ რუსის ჯარისკაცები საბჭოთა არმიიდან. — არ გვინდა ოკუპანტები გვერქვასო, — მალე იქამდე მივა საქმე, რომ მთელი ოცეულები და ასეულები იტყვიან, აღარ მივუშვერთ თოფებს ქართველს, ლიტველს, აზერბაიჯანელს, ესტონელს, მოლდაველს და სხვა „უმცროს ძმებსო".

მეცნიერულად თუ ვიტყვით, პროცესი დაწყებულია.

სოლჟენიცინის, აფანასიევის და სხვა ბრძენი და პატიოსანი რუსების მიერ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ რუსეთის ხსნა მხოლოდ იმპერიის დაშლითაა შესაძლებელი, აიტაცეს რუსებმა და დღითიდღე იზრდება მათი რიცხვი.

პროცესი დაწყებულია.

ახლა მთავარია, რომ პროცესი დაჩქარდეს.

საჭიროა, რომ სწრაფად გარდაიქმნას მპყრობელი ერის წარმომადგენელთა ცნობიერება, სწრაფად მიხვდეს მთელი ერი, რომ იმპერია მათთვისაც ცუდია.

რა უშლის ხელს ამა თუ იმ რუსს, რომ დაიჯეროს ეს ჭეშმარიტება?

არ გაგიკვირდეთ, თუ გეტყვით, რომ დანამდვილებით ვიცი ამ კითხვის პასუხი.

რა უშლის და — იმპერიული სიამაყე.

აი, რას ჩასჩურჩულებს იმპერიული სიამაყის გრძნობა ადამიანს:

განა ბევრი ყოფილა ქვეყნად იმპერიები? ხოლო ერთ-ერთი მათგანის მფლობელი შენა ხარ. ერთ-ერთისა კი არა — ყველაზე ძლიერისა. მთელ მსოფლიოს აზანზარებს შენი „სვერხდერჟავა", ყველა შენ შემოგციცინებს თვალებში. და ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ შენი ერი ღვთისგან რჩეულია. შენ რჩეული ერის შვილი ხარ.

ჩასჩურჩულებს, ჩასჩურჩულებს, ჩასჩურჩულებს...

ჩასჩიჩინებს, ღვთისგან რჩეული ერის შვილი ხარო და ადამიანი იჯერებს, რომ მართლაც რჩეულია და ამიტომაც აქვს უფლება სხვებზე ბატონობისა.

ხოლო ბატონობა, რანაირ ფერად-ფერადებშიც უნდა შეახვიო, ძალადობაა.

ამგვარად იკვრება წრე:

ძალადობით მოპოვებული მდგომარეობა იმპერიის მფლობელობისა იმპერიული ერის წარმომადგენლებს სიამაყის გრძნობით ავსებს, რჩეული ვარო, ხოლო ამ „რჩეულობით" მართლდება შემდგომი ძალადობა — ბატონობის გაგრძელება დაპყრობილ ერებზე.

ხამაყო ერმაკი ნამდვილ კონკისტადორად მიგვაჩნია, იკივლა: სად ხარ, ჩემო მილიციავ, დაიჭირე ეს ანტისოვეტჩიკებიო.

საწყალი ერმაკი, არა?! განმანათლებლური მისიით ჩასულა უბირ ხალხთან, იმათ კი მუხანათურად მოუკლავთ.

ვაი, საყვარელო!

იმ ქალის აზრები ძალიან ჰგავდა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" იმ პერსონაჟისას, რომელიც ავტორს ეუბნებოდა:

„...თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია... მგონი, თქვენ არც კი იცით — რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოღია"-ო.

ბნელები ხართო, გვეუბნებოდა, მაგრამ იქვე გვამშვიდებდა:

„...ეგ არაფერი, წარმავალია.

ჰკლავს ერის კულტურასაც და თვით ერსაც.

რუსეთის იმპერიის კულტურტრეგერობა თვით ამ იმპერიის მიერვე გამოგონილი მითია.

ტალახიანი ჩექმებით კარს რომ შეუნგრევ კაცს და ხიშტს რომ დაალირებ მკერდზე, დატყვევებული შეიძლება დაგეთანხმოს, ჰო, ძალიან გამაბედნიერე შენი კულტურითო, მაგრამ ვერ შეერგება, ვერა!

ალბათ იცით, თუ რა დაემართა იმათ, ვისაც რუსულმა საზოგადოებრივმა აზრმა „მალიე ნაროდი" დაარქვა.

თავისი მცირერიცხოვნობის, ცხოვრების წესისა და ხასიათის გამო ისინი წინ ვერ აღუდგნენ თავსმოხვეული კულტურის დამანგრეველ ზემოქმედებას და ახლა ძლივსღა ლაფავენ სულს საწყლები.

ოღონდ აქ ერთი უნდა დავამატოთ: ძალადობით ამაყობა იმპერიული ერის წარმომადგენელთა ქვეცნობიერებაში რჩება.

გაცნობიერებულად ამ აზრს „დიახაც სხვებზე ძალადობის უფლება მაქვსო", — იშვიათად თუ გაბედავს ვინმე, რომ გაივლოს გულში.

მაშ რითი ამართლებს მპყრობელი ერის წარმომადგენლის ცნობიერება იმას, რომ სხვისი ქვეყნები მის არმიას ჰყავს დაპყრობილი?

რითი ამართლებს და იმით, რომ ძალიან ამაღლებულ სფეროში გადაჰყავს ყველაფერი.

ხომ გახსოვთ, წინა წერილში რომ დაგპირდით, როდისმე გესაუბრებით ეპითეტ „დიკაია"-ზე მეთქი.

პუშკინი გენიოსი იყო.

მან გენიალურად მიაგნო იმ ეპითეტს, რომლითაც სინდისის ქენჯნისგან და ასე ვთქვათ სულიერი დისკომფორტისგან იხსნა მთელი რუსეთი.

ეს ხალხები „დიკი"-ები არიან ანუ ველურები, ველურებს კი კულტურა არა აქვთ. უკულტურო კაცი უბედურია. ამგვარად ჩვენ კი არ ვიპყრობთ მათ, არამედ კულტურის შესატანად შევდივართ ანუ გასაბედნიერებლადო.

ერთხელ მე და ჩემს ამხანაგებს ხანდაზმული ინტელიგენტი რუსის ქალი დაგვემგზავრა მატარებლით. ეს იმ დროს იყო, ამერიკასთან ურთიერთობები ძალიან რომ ჰქონდა გართულებული რუსეთის იმპერიას.

ლანძღა და ლანძღა იმ ქალმა ამერიკელები.

შეერთებულ შტატებს სამხრეთ ამერიკაც მიაყოლა.

—ეგ კონკისტადორები, ეგენი, მაგათი სისხლი კი გაშრაო, — იძახდა კორტესზე და მის რაზმზე.

ძალიან რომ შევლონდით, ერთმა ჩვენგანმა ჰკითხა:

— უკაცრავად, თუ იცით ერმაკი ვინ იყოო.

ქალი ვერ მიხვდა, საით უკაკუნებდნენ, და გულუბრყვილოდ უპასუხა:

— „ონ ბილ პერვოპროხოდცემ"-ო.

ჩვენ სიცილი აგვიტყდა.

— რა გაცინებთო, — გადაირია.

— უკაცრიელი მიწები რომ ეპოვა, „პერვოპროხოდეცი" მაშინ იქნებოდა, იქ კი ხალხი ცხოვრობდაო, — ვუთხარით ჩვენ.

— ჰოდა, იმ ხალხში კულტურის შეტანა იყო საჭირო და რადგან ამ მისიით იქ პირველი სწორედ ერმაკი მივიდა, ამიტომაც იყო „პერვოპროხოდეც"-იო, — ამაყად განგვიცხადა ქალმა.

ხოლო როცა გაიგო, რომ მისი თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად"-ო.

შევაჯამოთ:

ადამიანი, რომელსაც ეამაყება თავისი სვერხდერჟავა, პირდაპირ ვერ იტყვის, მინდა და გჩაგრავთ სხვა ერებსო, ის სხვასაც და თავის თავსაც ეუბნება, კულტურა შეგვაქვს ამ ქვეყნებშიო.

სამწუხარო ისაა, რომ რუსული მწერლობაც კვერს უკრავს ამას.

რუსმა მწერლებმა აიტაცეს თავიანთი წინამძღოლის, პუშკინის ლოზუნგი, სხვა ხალხები ველურები არიანო და თავისი თავიც დააჯერეს, დიდი მისია გვაკისრია, კულტურულები უნდა გავხადოთ ყველანიო.

ეს ხომ საშინელი თვალთმაქცობაა, პატივცემულო კოლეგებო!

მწერლებს არ გეკადრებათ თავის მოტყუება.

ერთი ქვეყანა მეორეს მხოლოდ იმიტომ იპყრობს, რომ ასე სჭირდება. ფიქრობს, ასე ჩემს კეთილდღეობას გავიუმჯობესებო.

წაიკითხეთ, თუ როგორა წუხს თავის „მოხსენებით ბარათში" გრიბოედოვი, უკვე ოცდაათი წელია კავკასია ჩვენია და ჯერ ისეთი მოგება ვერ მიგვილია, როგორიც საჭიროაო.

პატივცემულო კოლეგებო, ცხადზე ცხადია, რომ ტყუილია, თითქოს გასაკულტურულებლად დაიპყრო უამრავი ერი რუსეთის იმპერიამ, მაგრამ რადგან იგი გამუდმებით ამას ჩაგვჩიჩინებს ყველას, გაგანათლეთ, ადამიანებად გაქციეთო და რა დასამალია, თქვენც ეთანხმებით, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ერთხელ და სამუდამოდ გაგიფანტოთ კულტურტრეგერული ილუზიები.

დავსვათ ასეთი მარტივი კითხვა:

მთელმა მსოფლიომაც კი რომ გადაწყვიტოს, ერთი ერი მეორე ერზე კულტურულიაო, აქვს პირველს უფლება, რომ მეორეს თავს მოახვიოს თავის კულტურა?

ამ კითხვას მე ჩემებურად ვუპასუხებ და, თუ არ დამეთანხმებით, დამიმტკიცეთ, რომ მართლები თქვენა ხართ.

ყველა ერს ისეთი აქვს კულტურა, როგორიც მას სჭირდება იმისათვის რათა თავისთავადობა შეინარჩუნოს.

სხვისი კულტურიდან ერი იმას გადმოიღებს ხოლმე, რაც მის ხასიათს შეესაბამება.

და, რაც მთავარია, როცა რამე გადმოაქვს, თავისი ნებით უნდა გადმოჰქონდეს ერს. სხვის მიერ ძალით თავსმოხვეული კულტურა

საჭიროა, რომ თქვენ, პატივცემულო კოლეგებო, და რუსული კულტურის სხვა მუშაკებმა ერთხელ და სამუდამოდ აიღოთ ხელი სხვა ერების გაკულტურულებაზე.

ვიცი, რაც გიშლით ამაში ხელს და შევეცდები დაგეხმაროთ.

იმპერიის კულტურტულეგრული ილუზიების მიზეზთა მიზეზი იცით, რა არის?

ტანკები, პატივცემულო კოლეგებო, ტანკები!

ანუ სამხედრო ძლიერება.

როცა ტყვე ხელფეხშეკრული გდია შენს წინ, ეტყობა, ძნელია წარმოიდგინო, რომ მას შეიძლება შენზე არანაკლები აქვს კულტურა.

და შენ იწყებ მის გაკულტურულებას.

რას გულისხმობს იმპერია გაკულტურულებაში?

რადგან ნამდვილ კულტურად მხოლოდ თავისი კულტურა მიაჩნია, ამიტომ იმპერიისთვის გაკულტურულება ნიშნავს გარუსებას.

ერთი სიტყვით, რაც უფრო

გაივანვასილიჩებული ხარ, მით უფრო კულტურული ხარ ტანკებრაკეტებიანი იმპერიისთვის.

იმპერია იმპერიად, მას შეუძლია დაპყრობილი ერი უკულტუროდ მიიჩნიოს, მაგრამ მწერალმა ხომ იცის, რომ ყველასა აქვს თავისთვის საჭირო კულტურა, რატომ არ იტყვის რუსი მწერალი, მოდით, თავი დავანებოთ სხვების გაკულტურულებასო?

იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, იგი ერთგულია იმპერიისა.

და რომ შეინარჩუნოს, კულტურტრეგერის მანტია, ამისთვის მოიგონა მეტად მარტივი ხერხი.

ამ ხერხს შეგვიძლია დავარქვათ რუსული სახელი:

„ნე ვიჟუ".

— არ მინდა დავინახო შენი კულტურა და ვერც ვხედავ, ხოლო რადგან ვერ ვხედავ, ამიტომ არც არსებობს. და თუ შენი კულტურა არ არსებობს, ესე იგი უკულტურო ხარ და მე უნდა გაგაბედნიერო ჩემი კულტურითო.

ვინმე იკითხავს, კი, მაგრამ როგორ უნდა ქნას ადამიანმა ეს „ნე ვიჟუ", როგორ უნდა მოახერხოს, რომ ვერ დაინახოს მთელი ერის კულტურაო.

— ძალიან უბრალოდ, — ვუპასუხებ მე, — ამისთვის საჭიროა ერთადერთი რამ: არ უნდა ისწავლოს იმ ერის ენა,

ესაა და ეს.

ენა და მასზე დაფუძნებული ეროვნული ლიტერატურა არის ყოველი კულტურის სული და გული.

თუ არ იცი რომელიმე ხალხის ენა, მაშინ მისი კულტურაც და, საერთოდ, ცხოვრებაც შენთვის მუდამ იქნება მხოლოდ და მხოლოდ რაღაც ცალკეული, აქა-იქა ფაქტების უწესრიგო გროვა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. იმპერიის ერთგული რუსული მწერლობა განგებ უწყობდა ხელს იმას, რომ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხების ენები არ ესწავლათ რუსებს, რადგანაც ამ გზით იოლად გამოვიდოდა გრანდიოზული „ნე ვიჟუ": რუსი ერი ვერ დაინახავდა დაპყრობილი ხალხების კულტურებს, და ამიტომ მუდამ ექნებოდა ილუზია, რომ უკულტუროებს აკულტურულებდა.

ნუ გაგიკვირდებათ, პატივცემულო კოლეგებო, და... „ნე ვიჟუ"-ც პუშკინიდან იწყება.

გადავშალოთ „პუტეშესტვიე ვ არზრუმ".

თბილისიდან ყარსში რომ მივემგზავრებოდი, ერთი სახლი დავინახეო, — წერს პუშკინი.

**«Я стал стучаться в дверь. Вышел хозяин. Я попросил воды сперва по-русски, а потом, по-татарски. Он меня не понял. УДИВИТЕЛЬНАЯ БЕСПЕЧНОСТЬ! В тридцати верстах от Тифлиса и на дороге в Персию и Турцию он не знал ни слова ни по-русски, ни по-татарски».**

(ხაზგასმა ჩემია — გ. პ.).

პატივცემულო კოლეგებო, თუ რამეა „უდივიტელნი" და მართლაც გასაოცარი ამ ამბავში, ისაა, რომ პუშკინს აქ ნამდვილად უმტყუნა მისთვის ჩვეულმა იუმორის გრძნობამ და ვერა ხვდება თავისი პათოსის კომიკურობას.

დალოცვილო, ეს გლეხი თავის მიწაზე ცხოვრობს, ხნავს, თესავს, ცოლ-შვილს უვლის, შენ კიორი ათასი კილომეტრის იქიდან ჩამოსულხარ და წყალი მოგწყურებია. წესითა და კანონით ვინ ვისი ენა უნდა იცოდეს, გლეხმა — შენი თუ შენ — მისი?

კაი, და ხვალ ღამით რომ ფრანგი მიადგეს, ზეგ იტალიელი, მაზეგ მოზამბიკელი, ყველას ენა უნდა იცოდეს ამ საწყალმა ქართველმა?

რატომ უმტყუნა იუმორის გრძნობამ პუშკინს?

ამის ახსნა სულაც არაა ძნელი. იმპერიულმა ინსტინქტმა უკარნახა პუშკინს, დაივიწყე, რომ ქართველებს თავისი ენა აქვთ და თუ მათ წყალი გინდა სთხოვო, მადლიერების გრძნობის გამო მაინც უნდა ისწავლო: „ცკალი დამალევინეტ"-ო.

იმპერიული ინსტინქტი შეუმცდარია:

თუკი ქართულს ისწავლი, მერე ქართულ სიმღერებსაც გაიგებ, „ქართლის ცხოვრებას", „ვეფხისტყაოსანს" და „დავითიანსაც" — წაიკითხავ, ამის მერე როგორღა შესძლებ იმის თქმას, ქართველებს კულტურა არა აქვთ და იმიტომ შემოვბრახუნდით ჩვენი ჩექმებით, რომ კულტურულები გავხადოთო?

ხოლო თუ ჩვენ თქვენგან კულტურის სწავლა არ გვჭირდება, ხომ გეტყვით, აბა, რა გინდათ აქ ბიძია, მიბრძანდით, თუ შეიძლებაო.

(დასასრული მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

პუშკინმა საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, რომ რუსმა პოეტმა არავითარ შემთხვევაში ქართული არ უნდა ისწავლოს და ეს, რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე ტრადიციაა.

ვინ მოსთვლის, რამდენი რუსი მწერალი ჩამოსულა საქართველოში, რამდენს უბაგუნებია მკერდში ხელი, მიყვარხართ, თქვენი ძმა და მეგობარი ვარო. მათი რიცხვი ათასებს აღწევს.

მაგრამ ამდენ ჯამაათში მხოლოდ ერთმა კაცმა ისწავლა ქართული.

უდროოდ გარდაცვლილ პოეტზე, ვლადიმერ პოლეტაევზე მოგახსენებთ.

გაანათლა მისი სული ღმერთმა!

მიყვარხართო, ხომ ბევრი გვეფიცებოდა, რამდენიმე რუსი მწერალი მაინც განსაკუთრებით ხშირად ჩამოდიოდა სტუმრად და ზოგი ამათგანი წლობით თუ არა, თვეობით მჯდარა ჩვენს სუფრაზე ჩვენი სიყვარულით გულაჩუყებული.

პირდაპირ საოცარია ის სიჯიუტე, რომლითაც ეს მწერლები თავს არიდებდნენ ქართული ენის შესწავლას.

ეჭვიც კი გამიჩნდა, აქეთ წამოსვლისას ფიცს ხომ არ სდებდნენ პუშკინის სურათთან, არც ერთ ქართულ სიტყვას არ შევუშვებთ ჩვენს ცნობიერებაშიო.

აი, მაგალითად, ამ სამ პოეტს: ბელა ახმადულინას, ევგენი ევტუშენკოს და ანდრეი ვოზნესენსკის თითო ჩამოსვლაზე თითო სიტყვა რომ ესწავლათ, აქამდე ქეც შემოესწავლებოდათ საყველპურო ქართული.

ეჰ, ესწავლათ კი არა, ქალბატონმა ბელამ თეორიული ბაზისიც კი შექმნა იმის გასამართლებლად, თუ რატომ არ ისწავლა ქართული ენა.

**«...по ночам мне снится грузинская речь. Соблазн чужого и милого языка так увлекает, так дразнит, немые губы, но КАК ПРИМИРИТЬ В СЛАВЯНСКОЙ ГОРТАНИ БУРНОЕ НЕСОГЛАСИЕ СОГЛАСНЫХ ЗВУКОВ, КАК УМЕСТИТЬ ДОЛГОТУ ГЛАСНЫХ? Разве что, во сне сумею я преодолеть косноязычие и издать этот глубокий клекот, который все нарастает в горле, пока не станет пением».**

(ხაზგასმა ჩემია — გ. პ.)

აქ ისეთი ფატალური შეუთავსებლობაა დახატული ბელა ახმადულინასა და ქართულ ენას შორის, რომ აგეტირება ადამიანს.

მაგრამ მოდით, ცოტა კრიტიკულად შევხედოთ პოეტის სიტყვებს.

ქალბატონი ბელას ცხოვრებასა და შემოქმედებას პათეტიური მანერა ახასიათებს და, სამწუხაროდ, ხშირად მისი პათეტიკა ვერაა ხოლმე მთლად გულწრფელი.

თუ ლამაზი სიტყვების ჩალაბულას შემოვაცლით, დაგვრჩება აზრი, რომ თურმე ბელა ახმადულინას სლავური ხორხიდან ქართული თანხმოვნები და ხმოვნები ვერაფრით ვერ ამოვა.

ჯერ ერთი, ქალბატონი ბელას ხორხი მთლად სლავური არაა. როგორც მისი ერთი პოემიდანაა მკითხველისთვის ცნობილი, ბელა ახმადულინას ბებიები და ბაბუები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ყოფილან.

ნუთუ რომელიმე მათგანის ჯიშმა მაინც ვერ მიანიჭა ახმადულინას ხორხს ქართული ბგერების გამოთქმის უნარი?

„ახმადულინა“ ხომ თათრული გვარია. აქამდე რაღაც არ მახსოვს, თათრებს დაეჩივლოთ, ჩვენი ხორხი ქართულ სიტყვებს ვერა ჰგუობსო.

მეორეც, მთლად ბაჯაღლო სლავურიც რომ ჰქონდეს ხორხი ქალბატონ ბელას, ვინ დაადგინა, რომ სლავური ხორხიდან ვერ ამოდიან ქართული ბგერები?

რუსი მეცნიერები იგორ ბოგომოლოვი და სერგეი სერებრიაკოვი მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად და ხორხის ტკივილს არ უჩივიან.

ერთი სიტყვით, ხორხი არაფერ შუაშია.

ჩვენ გული უნდა ვიკითხოთ, პატივცემულო კოლეგებო, გული!

ქართული ენა მიყვარსო, ამბობს ახმადულინა.

უცხოა, მაგრამ საყვარელიაო.

ჩვენც გვატყუებს მაღალფარდოვანი სიტყვებით და ვითომ-მღელვარე ინტონაციებით და თავსაც იტყუებს.

ვინმეს ენა თუ შეგიყვარდა, ხორხიც დაგავიწყდება და თავიც. და იმ ენის სტიქიაში, როგორც მორევში, ისე გადაეშვები.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, ბელა ახმადულინას მსჯელობა „სლავური ხორხის“ თაობაზე ფარისევლობაა და მეტი არაფერი.

ახმადულინა ერთგულად იცავს პუშკინის ნაანდერძევ „ნე ვიჟუ“-ს მეთოდს და მხოლოდ და მხოლოდ ესაა მიზეზი, რომ არ ისწავლა ქართული.

პატივცემულო კოლეგებო, მინდა შეგახსენოთ: ამ წერილებს იმიტომ არა ვწერ, რომ ვინმე რამეში ვამხილო.

წინა წერილში გიჩვენეთ, რომ სხვებზე ბატონობის იდეამ რუსულ მწერლობაში გაორებული მორალი დაბადა: ერთი პაწია ჩიტის გათავისუფლებით გაბედნიერებული მწერლები ათობით და ასობით ერის დამონებას უკრავენ ტაშს.

— დათმეთ იმპერია და გაგიმთლიანდებათ მორალი-მეთქი, — გირჩიეთ.

ამ წერილით კი იმას გეუბნებით, რომ სხვისი კულტურის არდანახვის სურვილმა რუსული კულტურა აქცია უცნაურ კულტურად, რომელსაც გაორებული მიდგომა აქვს მსოფლიო კულტურისადმი.

ეს კულტურა ღრმად იკვლევს და ხწვდება იმ ერების კულტურასა და სულს, რომლებიც ვერ დაიპყრო რუსეთის იმპერიამ.

ხოლო კულტურასა და სულს იმ ერებისა, რომლებიც ამ იმპერიას დაპყრობილი ჰყავს, ზერელედ უცქერის და, შეიძლება ითქვას, აბუჩად იგდებს.

მაგალითისთვის კვლავ სათავეს მივუბრუნდეთ.

აბა ვნახოთ, პატივცემულო კოლეგებო, თუ რასა წერს პუშკინი ჩვენზე, ქართველებზე:

**«Грузины народ воинственный. Они доказали свою храбрость под нашими знаменами».**

თითქოს კმაყოფილი უნდა დავრჩენილიყავით ქართველები. თითქოს შეგვაქო პუშკინმა.

მაგრამ, აბა დაკვირვებით წაიკითხეთ.

განა მართლა შექებაა?

ინგლისელებზე ან ფრანგებზე რომ ყოფილიყო ლაპარაკი, პუშკინი უთუოდ გაიხსენებდა იმათ მიერ მოგებულ დიდ ბრძოლებს.

ჩვენ კი თურმე მანამდე ვერ დავამტკიცეთ სიმამაცე, ვიდრე რუსული დროშები არ გაგვიძღვაწინ.

აი, ამას ჰქვია ზერელობა!

ქართველებს, პატივცემულო კოლეგებო, ორმოცი ათას-კაციანი ლაშქრით მტრის ნახევარმილიონიანი არმია დაგვიმარცხებია ხანდახან.

ამიტომაც არავისა აქვს უფლება, ეგრე რომ წამოგვიტყაპუნოს მხარზე.

არც პუშკინს!

აბა, ახლა ისიც ვნახოთ, თუ რას ამბობს პუშკინი ჩვენს ცხოვრებაზე.

**«По праздникам мужчины пьют и гуляют по улицам. Черноглазые мальчики поют, прыгают и кувыркаются; женщины пляшут лезгинку».**

კვლავ ზერელეა პუშკინის მზერა.

ქართველები ღვინოს მაშინა ვსვამთ, როცა მოგვინდება და ცხადია, დღესასწაულებს არ ველოდებით. არც ისაა აუცილებელი, რომ მერე ქუჩებში ვისეირნოთ. ხოლო რაც შეეხება „ლეზგინკა“-ს, ქალებიცა ცეკვავენ და კაცებიცა ვცეკვავთ.

აი, რას ამბობს პუშკინი ჩვენს სიმღერებზე:

**«Голос песен грузинских приятен. Мне перевели одну из них слово в слово; она, кажется, сложена в новейшее время; в ней есть какая-то восточная бессмыслица, имеющая свое поэтическое достоинство. Вот вам она...».**

შემდეგ პუშკინი გვიჩვენებს იმ ქართული სიმღერის ტექსტს, როგორც თვითონ ამბობს, „სლოვო ვ სლოვო“ რუსულად თარგმნილს.

მართლაც დიდი ვერაფერი ბრინჯაოა ის ტექსტი.

მაგრამ განა შეიძლება ქართულ სიმღერაზე ასე უპასუხისმგებლოდ ლაპარაკი?

ჩვენ, ქართველებს წაგვიკითხავს პუშკინის აზრები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე და ვიცით, რომ იგი ხელოვნების უფაქიზეს ნიუანსებში ერკვევა, როცა საქმე ევროპულ კულტურას ეხება.

ჩვენი კულტურისა კი ვერაფერი გაუგია და ისე მსჯელობს, როგორც იმსჯელებდა ის დრაგუნი, რომელზეც იქვე წერს, კახური ღვინის ქვევრში დაიხრჩოო.

ქართულ სიმღერას დიდ ქართულ კულტურაში გამორჩეული ადგილი უკავია. და ერთ კონტექსტში მისი და „ვოსტოჩნაია ბესსმისლიცა“-ს ხსენება შეურაცხმყოფელია ჩვენთვის.

თუკი ქართულ სიმღერაზე აპირებ რამე თქვა, ჯერ სერიოზულად უნდა შეისწავლო იგი.

ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უნდა გაარკვიო, რომ ქართული სიმღერა, ისევე, როგორც სხვა ხალხების სასიმღერო ხელოვნება, სხვადასხვა სახეობებს აერთიანებს.

არის ქალაქური რომანსი, არის აღმოსავლური ბაიათების მსგავსი მეიდნის სიმღერა და, რაც მთავარია. არის ქართული ხალხური სიმღერა.

განა შეიძლება ქართულ სიმღერაზე იმ სიმღერის მიხედვით იმსჯელო, რომელიც გუშინწინ დაუწერია ვიღაცას?

ესეც არ იყოს, განა პუშკინს ესწავლება, რომ მელოდიის გარეშე სიმღერის ტექსტი ხშირ შემთხვევაში კარგავს თავის ღირსებებს?

დაბოლოს, „სლოვო ვ სლოვო“ ლექსის თარგმანი ლექსზე რომ ვერაფერს გვეუბნება, ეს არ იცის პუშკინმა?

ახლა, კი პატივცემულო კოლეგებო, წარმოიდგინეთ, რომ თქვენს სამშობლოში, რუსეთში ჩამოვიდა რომელიმე ქვეყნის დიდი მწერალი და შემდეგ რაღაც დაწერა თქვენს კულტურაზე.

ვისი სახელის ძებნას დაიწყებთ იმ ნაწერში?

რასაკვირველია, პუშკინისას.

ეგრეც უნდა იყოს. ადამიანს მუდამ გაინტერესებს, თუ რას იტყვის სხვა ქვეყნის დიდი მწერალი შენს დიდ მწერალზე. გაინტერესებს იმიტომ, რომ გინდა დარწმუნდე, შენი დიდი მწერალი მხოლოდ შენი არაა, ის მთელი მსოფლიოსიცაა.

ხომ მიხვდით, თუ რომელი სახელი გვინდოდა ქართველებს რომ ყოფილიყო პუშკინის ჩანაწერებში?

დიახ, დიახ, რუსთაველისა.

მაგრამ არც რუსთაველი და არც სხვა ქართველი პოეტი არაა მოხსენიებული ამ ჩანაწერებში.

აი, ეს გახლავთ ნამდვილი „ნე ვიჟუ“!

რატომ ვერ დაინახა საქართველოში პოეტი პუშკინმა?

იმიტომ, რომ წინასწარ ჰქონდა განზრახული, არ უნდა დავინახოო.

ის დაპყრობილ ქვეყანაში ჩამოვიდა. ხოლო ეს ქვეყანა დაპყრობილი ხომ სწორედ იმიტომ იქნა, რომ კულტურა შემოეტანათ.

ესე იგი, წესით აქ არც კულტურა უნდა ყოფილიყო და არც პოეტები უნდა ყოფილიყვნენ.

ბოლოს კი დესერტად ერთი მოსაზრებაც ვნახოთ პუშკინისა:

**«Их умственные способности ожидают большей образованности».**

რას ნიშნავს ეს?

რას და იმას, რომ ჩვენი შექება სწადია ალექსანდრე სერგეის ძეს.

ჰო, მაგრამ, „იხ უმსტვენნიე სპოსობნოსტი“ ისეთი სიტყვებია, იფიქრებთ, რაღაც ცხოველებზე მოახდინა დაკვირვებაო.

ამიტომაც მიმაჩნია ქართველი ერის ღირსების შეურაცხმყოფელად ეს „შექება“.

მხოლოდ იმპერიულად მოაზროვნე ოფიცერს შეუძლია ასე ილაპარაკოს რომელიმე ერზე.

გახსოვთ, ილია ჭავჭავაძეს რას ეუბნებოდა ერთი კაცი?

„თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად“-ო.

ის კაციც პუშკინივით რუსის ოფიცერი იყო.

ერთმა ოფიცერმა ზემოდან გადმოგვხედა და თქვა: მგონი მთლად გონებაჩლუნგები არ უნდა იყვნენ ქართველები, ოღონდ განათლება აკლიათო, მეორემ კი დასძინა: ჩავლენ ჩინოვნიკები და ჩვენნაირი ოფიცრები და გაანათლებენო.

არცერთს ღერი სიტყვა არ უსწავლია ქართული, არცერთი არ ცდილა შეესწავლა ქართული კულტურა. შეესწავლა კი არა, ისინი აპრიორულად უარყოფენ ამ კულტურის არსებობას. და ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ რადგან ამ ქვეყანაში რუსის ჯარი დგას, კულტურა და განათლება რუსეთიდან უნდა შემოვიდეს.

ჩვენ ავიტანთ ამ შეურაცხყოფას, ან სხვა რა გზა გვაქვს უტანკო-ურაკეტოებს. მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ჭეშმარიტად უბედურია ის ერი, რომლის უპირველესი პოეტიც უბირი ოფიცერივით მსჯელობს სხვა ერზე და იმ ერის კულტურაზე.

უბედურია, რადგანაც ასეთი მსჯელობა უფრო მეტად თვით მას აყენებს შეურაცხყოფას.

პატივცემულო კოლეგებო, კვლავ გთხოვთ. მოუწოდეთ თქვენს ქვეყანას, რომ გაიყვანონ ჯარები „მოძმე რესპუბლიკებიდან“.

გაათავისუფლეთ ერები და თქვენც გათავისუფლდებით იმპერიული უბედურებებისაგან.

აღარ დაგჭირდებათ, რომ „ნევიჟუ“ ეთამაშოთ ქართველების, ლატვიელების, მოლდაველების და სხვების კულტურებს.

და გამთლიანდება რუსული კულტურის დამოკიდებულება მსოფლიო კულტურისადმი.

ერთნაირად ყურადღებით შეხედავთ ინგლისელს და ქართველს, გერმანელს და ლიტველს, ფრანგს და ესტონელს, ესპანელს და ბაშკირს, იტალიელს და იაკუტს...

და ამით თვითონ გაბედნიერდებით, რადგან თავს იგრძნობთ თანასწორთა შორის.

და ბოლოს:

ყოველ თქვენგანს ხშირად კი დაუსვენია საქართველოში, მაგრამ თქვენ არ იცით, თუ რა საუნჯის მფლობელი შეიძლებოდა გამხდარიყავით, ერთ-ერთ ჩამოსვლაზე ქართული წერა-კითხვის სწავლა რომ დაგეწყოთ.

ასე თქვენ შეაღებდით ქართულ კულტურაში შესასვლელ კარს.

და ყოველ ახალ კულტურასთან შეხვედრა ხომ ბედნიერებაა.

უბრალოდ შეგეკითხებით:

რა უფრო სასიამოვნოა, დადიოდე შენი ჯარის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში, ზემოდან დაჰყურებდე „უკულტუროებს“ და პუშკინივით ფიქრობდე „...ნას ნე ლიუბიატ“-ო, თუ თავისუფალ ქვეყანაში ლაღად მიმოდიოდე და იქაური გენიოსის ლექსებს დედნის ენაზე იზეპირებდე თუმცა უცხო, მაგრამ უკვე ნამდვილად საყვარელი ბგერებით მოჯადოებული?

ის, ვისაც სხვისი კულტურის დანახვა არ უნდა, ალარიბებს თავის კულტურას ანუ უნებლიეთ მტერი ხდება თავისი კულტურისა.

# კვლავ უმაღლესი საატესტაციო კომისიის შესახებ

გასული წლის 23 თებერვალს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე (№8) გამოქვეყნდა ჩემი წერილი „პროტესტს ვაცხადებ!“, რომელშიც გამოვთქვი აზრი უმაღლესი საატესტაციო კომისიის (უსკ) შესახებ. იქ ნათქვამს აღარ გავიმეორებ, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემმა გამოსვლამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უმეტესობამ საქციელი მომიწონა, უმცირესობა არ დამეთანხმა, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ეს იაფფასიან კეკლუცობაში ჩამითვალეს.

უსკ ცენტრის ბატონობის უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში. არცერთმა მოწინავე ქვეყანამ და ერმა არ მიიღო მისი იდეა. ძნელია მოიძებნოს სამეცნიერო საბჭო, რომელსაც იმდენად ექნება დაკარგული ღირსების გრძნობა, რომ საკუთარ გადაწყვეტილებას ვინმეს „დასამტკიცებლად“ გახდის. ზოგიერთ დარგში (მაგალითად მათემატიკა) უსკ-მ ვერ მოახერხა მასზე დაკისრებული იდეოლოგიური ჟანდარმის როლის შესრულება. სამაგიეროდ, უმძიმესი დარტყმა მიაყენა იმ დარგებს, რომლებშიც მეტნაკლებად შეაღწია კომუნისტურმა იდეოლოგიამ. რაც შეეხება პედაგოგიურ მეცნიერებას, იგი ფაქტიურად აბსურდული თეორიების დანამატი გახდა.

მინდა მოგაწოდოთ რამდენიმე ციტატა უსკ-ს წესდებიდან მცირე კომენტარებით.

„სამეცნიერო ხარისხი შეიძლება მიენიჭოთ იმ პირებს, რომლებიც ფლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას... მისდევენ კომუნისტური მორალის ნორმებს... თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებით“.

დისერტაცია? ის რაღას უნდა აკმაყოფილებდეს? ინებეთ:

„დისერტაცია უნდა პასუხობდეს ამოცანებს: მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება-სიწმინდე, ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება, მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირება, ასევე მსოფლიო რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხების გაშუქება“.

თბილისის უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე უკვე მიღებულია დადგენილება სამეცნიერო ხარისხების და წოდებების მინიჭების შესახებ. ახლა სიტყვა რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის.

**როსტომ ხომერიკი**



## გიორგი ხუხაშვილი

# ბორის პასტერნაკს

უკვე გასრულდა საუკუნე, შენ ასი წლის ხარ,
ვინც ვერა ძალამ ვერ გაგტეხა, ვერვინ გიყიდა.
კვლავ თიხად იქცა, რაც იყო თიხა
და უკვდავ სულად, რაც გადარჩა იმავ თიხიდან.
რაც შეუერთდა სხვა სიცოცხლედ გარდაქმნილ წიგნებს,
რის გადარჩენაც სამუდამოდ ბედმა ინება.
თუმცა ვინ იცის, უკვდავებას გერჩია იქნებ
კიდევ ერთი დღის შენს ფანჯრებში შემობრწყინება.
ის, რაც ილვიძებს გაზაფხულად ბალახში, ხეში.
ღია სარკმელში ისახება, როგორც სურათი.
დილის ცვარივით პოეზია მოგქონდა პეშვით
და ფერადებში ყვავილების წვენად წურავდი.
მე ახლა გხედავ ასი წლის ბავშვს და ბრძენს ასი წლის,
როგორც მახსოვხარ, ისეთივე მინდა მიყვარდე.
შენს ჩუმ ოთახში ფანჯარასთან როცა განიცდი
თოვლიან ბურუსს პირველსა თუ მემილიარდეს.
იყო ცხოვრება, სიყვარული, ბევრი რამ იყო,
შენ პატიოსნად სანთლით ხელში იდექ გამჩენთან...
და ვხედავ საბეჭდ მანქანაზე იმ ბოლო სტრიქონს,
რომელზეც შენი გული გაჩერდა.
შენ ასი წლის ხარ, მწიგნობარი მხნე და მშრომელი,
დრო ისევ გადის, არ ჩერდება შენი საათი.
ის ყვავილები ახლა მოაქვთ შენთან, რომელიც
უნდა მოეძღვნათ, როცა იყავ ორმოცდაათის.
მაგრამ შენ განა ამბობ საყვედურს,
ვერც გამარჯვებას დაიქადებს ბედი ვერაგი,
რადგან პოეტი სიცოცხლიდან ისე წახვედი,
რითაც შობილხარ, კვლავ იგივე გაგყვა პერანგი.
მე შენზე ვფიქრობ, სურვილი მაქვს განა შექების,
თითქოს მუსიკას შენ სახლიდან ახლაც ვუსმენდი.
უქმად აწყვია სატალახო შენი ჩექმები,
ზედ შეხმობიათ უსასრულო მიწა რუსეთის.
ეწევი თუთუნს ფანჯარასთან და თან შეჰყურებ,
როგორ ჩუმად თოვს, აპრილამდე მიწას ეფინოს.
თოვლი შლის თითქოს პარმაღამდე შენს ნაფეხურებს
და ბურუსებში გახვეულა პერედელკინო.
ეს წუთი არი ლოგინიდან თითქოს ადექი,
თოვლი მოსულა, კვლავ ზამთარი რომ მოგახაროს.
შენ ვინ გიწოდებს ცხოვრებიდან პირქუშ განდეგილს,
როდესაც შენს სახლს მოდგომია მთელი სამყარო.
თითქოს შეიკრა დარღვეული დროთა კავშირი,
უუდიადეს საიდუმლოს გიმხელს ბუნება.
აღებ ფანჯარას და კითხულობ დიდი ბავშვივით,
„ნეტავ რომელი საუკუნეა?“
უნაზეს ფიფქით იფარება ქერქი უხეში,
შენ გაგიხარდა, რა ლამაზად ისევ მოთოვა.
უზიხარ ლექსებს, თუმცა ჩვენს მკაცრ საუკუნეში,
იქნებ ლექსების წერა იყოს ავადმყოფობა.
შენ გაჯადოებს საოცარი ფერთა თამაში,
ფანჯრის მინები უცნაურად რომ მოუხატავს.
მოგეჩვენება წისქვილები შორი ლამანჩის,
მოგზაურ რაინდს გასათბობად იწვევ ბუხართან.
შენ თითქოს უსმენ მარადიულ ბრუნვას პლანეტის,
ბედნიერებად ესეც გეყოფა,
რომ შენი სახლის სტუმარია პრინცი ჰამლეტი
და რას დაგაკლებს მძლავრთ უკმეხობა?
გინდ შეგაჩვენონ, ხომ გექნება პური და წყალი
პოეტს, მწიგნობარს, მხნეს და ახოვანს,
მარადისობა, როგორც გული საყვარელ ქალის,
როცა შენ გულთან ასე ახლოა.
შორს მოსკოვია ძვირფასიც და ცივიც, მრისხანე,
და რა სიმშვიდე შენს გარშემო ახლა იგრძნობა,
გაშმაგებულნი მწერლობიდან როცა გკიცხავენ
და შეჩვენებას გიგზავნიან პოეტს, მწიგნობარს.
შენ სულ სხვა გამცნო ამ ნაღვლიან ზამთრის ამინდმა,
ზართა რეკვაში შემოგესმა სხვა პარაკლისი.
პოეტებს მუდამ ასე კლავდნენ დასაბამიდან,
ურცხვად ბრალს დებდნენ და არც შენ ხარ გამონაკლისი.
სულისხუთვამდე ვიწროვდება სადღაც საკანი,
ბრაზის და ბოღმის ხმები ისმის რკინისმკვნეტელთა.
შემართულია მოლაპლაპე შავად ნაგანი
და დახვრეტილი პოეზია კვლავ დგას კედელთან.
რა დაცინვაა, ბედისწერის რა ირონია,
რა ძალა გინდა, რომ გალიო ფიქრის გვირაბი.
შენ მიუჯდები მშვიდად როიალს
და შთაგონებით უკრავ სკრიაბინს.
რას იზამ, ბედი ასე სდევნის უკეთეს შვილებს,
მოჭრილი გზები ერთ გზად შეერთდა.
თუ მოახერხე, ხვალ უთუოდ აიღებ ბილეთს,
საქართველოში სტუმრად მოხვალ ტაბიძეებთან.
აქ შენ უყვარხარ, პოეტებმა ძმობა იციან,
თბილისის მზეში გახვეული დილა გაღვიძებს.
უწინდებურად ვერ შეხვდები თუმცა ტიციანს,
სუფრას გაგიშლის ნინო ტაბიძე.
განა შემთხვევით მიენდობი ასეთ არჩევანს,
შენ აქ მიელტვი დღეებს უშფოთველს,
სადაც ცოდნიათ პოეტების გამოსარჩლება,
რუსეთის სუსხს და მრისხანებას რომ გაურბოდნენ.
შენ დამშვიდებით საქართველოს ცისქვეშ იცხოვრებ,
თვალებს ასვენებ ფიროსმანის ნახატ ტილოზე.
გაჰყვები არაგვს, მიადგები მშვიდ სვეტიცხოველს
და მოყვასისთვის მარტო ილოცებ,
მერე თბილისის ღამეებში მიწიდან ცამდე,
ატკივებულ სულს პოეზიის მადლით იოსებ,
როცა თბილისის ღამეებში იფიქრებ რამდენს
მტკვრის პირას გაზრდილ ოცდაშვიდი წლის გენიოსზე.
„რისთვის?“ ეს კითხვა არ შორდება ფიქრიან თვალებს,
შენთან არიან შექსპირი და ბახის ფუგები.
ასე ყოფილა, სამშობლოში პოეტებს კლავენ,
სიკვდილის მერე ძეგლებს უგებენ.
განა ითხოვდი დაფნის გვირგვინს, თუნდაც მადლობას,
ჩრდილოურ ზამთრებს შენ სამხრეთში უნდა გადარჩე.
არ გაპატიეს შენი ჯიშის წარმომავლობა,
თუნდ მოინათლო ათიათასჯერ.
რუსეთის მიწის დაგაყვედრეს პური და წყალი
და მაინც გიყვარს გულგოროზი და ულმობელი, -
სად არ გქონია ცხოვრება წყნარი,
სად ხელებიდან გამოგტაცეს ჯილდო ნობელის.
პერედელკინო ისე არი, როგორც დატოვე,
შენს სახლს, ცარიელს, მასპინძელი არ ჰყავს გულღია,
ნაფეხურები არ ეტყობა ეზოს დათოვლილს
და როიალიც რა ხანია, რაც წაუღიათ.
შენ კარგად იცი ისტორია ვის უპატრონებს,
თუმცა სივრცეებს განიცდიდი დენთით გატენილს.
ისინი ახლაც შეუვარდნენ ლიტერატორებს
და სასიკვდილოდ დაემუქრნენ ავტომატებით.
ისინი, ვისაც შენი ლექსი არც წაუკითხავთ,
ან შურის გამო არ ასვენებთ შენი აჩრდილი.
ისევ ბოროტად გაჰყვირიან მღვრიე ქუჩიდან:
„დავცხოთ ებრაელს და რუსეთი გადავარჩინოთ“.
ვინც სიძულვილი აალზევა რუსის სახელით,
ვინც ვერასოდეს დაგაჩოქა და შეგირიგა,
შენი პერანგის აცოფებდა თეთრი საყელო,
დიდი რუსეთის მტრად მიაჩნდა შენი ლირიკა.
შენ კი საფლავიც არ ირჩიე ნოვო დევიჩის,
უბრალო, მცირე სასაფლაო გერგო სადგურად.
მაინც დიადი სიყვარული დარჩა დევნილი,
იმისი, ვინაც ამოდენი ტანჯვა გარგუნა.
და იმ უბრალო სიმშვიდეში, სად განისვენებ,
სად ნაზამთრალი თოვლი ისევ ქლენთავს ნიადაგს,
მოაქვთ ვარდები სინანულით თაყვანისმცემლებს,
რადგან იციან, მეტისმეტად დაუგვიანდათ.
ვინ მორევია ქვეყანაზე ამაყ სიყვარულს,
საფლავიდანაც გასაგონად ახლაც იძახის.
რადგან შეგეძლო ბედნიერი ყოფილიყავი,
პურის ნატეხით, ერთი ვარდით, ერთი პიჯაკით.
პოეტს კლავენ და უძლეველი გადის ოპიდან,
ახლა რამდენი გადგას თავზე თანამოკალმე.
ამ ქვეყანაზე არ არსებობს ტყვია, რომლითაც
პოეტის სულს და გადარჩენილ ლექსებს მოკლავენ.
კვლავ თოვლიანი სივრცე მარტმა შემოანგრია
და თოვლს ვყრით შენი საფლავიდან, თავზე გევლებით.
შენს სამარეზე, ტიციანის ცრემლის მაგიერ,
კვლავ გაზაფხულად ყვავილობენ ნინოს ცრემლები.

1990, თებერვალი

## მიხეილ ჩაჩუა

# ბედნიერება ისე ახლოა

„რაც ჩვენ ხალხს უბედურება გადახდომია, საკვირველი ის არის, კიდევ რომ ახსოვს თავი, მშობლის ხახელი, პირჯვრის გადაწერა... ფეხებს უნდა ვბანდეთ, მადლობას უნდა ვწირავდეთ ერთმანეთს ყველანი — მოთმინებისთვის, გაძლებისთვის“.

ოთარ ჭილაძე

კარს მოგვდგომია ნანატრი
დღენი,
წყალობით ღვთის და წმინდა
სულების.
ვხარობ ქართული მოდგმით და
გენით
და საქართველოს
უსასრულობით.

ეს რა ლამაზი წუთი მეახლა,
ვგრძნობ მთელი ძალით უფლის
სუფევას.
მესმის გალობა: „შენ ხარ
ვენახი“...
შენ ხარ ვენახი, თავისუფლებავ.

უზენაესის ნათლით შემოსილს
დღეს არად მიჩანს
ტანჯვა-წვალება.
ალალი იყოს საქართველოსთვის
ჩემი ჯვარცმაც და
გარდაცვალებაც.

მაგრამ სიკვდილი ახლა ბრალია,
როცა ნანატრი დგება წამები
და კოცონივით აბრიალებულ
თავისუფლებას მივესალმებით.

ახლა ერთმანეთს უნდა
ვეფეროთ,
შევიტკბოთ ჩვენი მზეც და
ღრუბელიც.
ერთმანეთს სული უნდა
ვუბეროთ,
ჩვენს ქართველობას როგორც
შეჰფერის.

ერთურთს მადლობა უნდა
შევწიროთ
იმისთვის, რომ ვართ
და სულ ვიქნებით,
რომ კიდევ გვახსოვს ლოცვა და
წირვა
და უწმინდესი გვაქვს
სურვილები.

მადლობა უფალს შევწიროთ
უნდა,
ჩვენს საქართველოს მხარში
რომ უდგას.
საქართველოსთვის ლოცვად
დამდგარი
ღმერთს თავს ვავედრებ ყველა
ახლობლის.
ბედნიერება ისე ახლოა,
მასთან შეხვედრის ვიჭერ
თადარიგს.

კარს მოგვდგომია ნანატრი
დღენი —
როგორ ველოდით,
როგორ გვწყუროდა...
დიდება ქართულ მოდგმას და
გენებს
და საქართველოს უსასრულობას.

## რევაზ მიშველაძე

ვუძღვნი საქართველოდან ისრაელში ასულ ებრაელებს

ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან — აბიათარ მოშე ათას ცხრაას ოთხმოცდა —„ენ“ წლის ოცდარვა თებერვალს იერუსალიმის აეროპორტიდან აფრინდა „აირ-ფრანსის“ კომპანიის „ბოინგ 777-“ით. თვითმფრინავი ჯერ კვიპროსზე დაჯდა, მერე ვენაში, ვენიდან ვარშავაში, ვარშავიდან მოსკოვში და მოსკოვიდან ოთხშაბათს, ოთხ მარტს, ისრაელის მოქალაქე ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლიდან — აბიათარ მოშე „აეროფლოტის“ მონჯღრეული, კარგა ხნის წინათ ჩამოსაწერი თვითმფრინავით თბილისში ჩამოფრინდა.

თვითმფრინავი კავკასიონის ქედს რომ გადმოცდა, მოშეს გულმა რამდენჯერმე რეჩხი უყო და ეს სრულიად ბუნებრივიცაა: საჩხერეში დაბადებული და გაზრდილი კაცი, თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განსწავლული, „ენ“ წლის უნახავ საქართველოში დაბრუნდა.

მოშეს შეტყობით (რაც თვითმფრინავიდან შეიძლება შეატყოს კაცმა) საქართველოს დიდი ცვლილება არ განეცადა. მთათა კალთებიდან ძველებურად მოივერცხლებოდნენ მდინარეები, კორტოხებზე კვლავინდებურად იდგნენ დანგრეული ციხეები და აღდგენილი ეკლესიები, ხოლო ეკლესიათა ირგვლივ მიმობნეულ საფლავის ქვებიდან, სულ რაღაც, კილომეტრ-კილომეტრნახევარში მკაფიოდ ჩანდა მშვენივრად მოვლილი, ალაგ-ალაგ თუნუქით ალაპლაპებული ახალი სასაფლაოები. ზამთარს ჯერ მთლიანად ყავლი არ გასვლოდა, მაგრამ თბილისის შემოგარენში, მთის ფერდობებზე და ჩრდილიან ღრანტეებში, ძველი (და, მითუმეტეს, არც ახალი) თოვლი არ იდო.

თვითმფრინავის ტრაპიდან ფეხი რომ ჩამოდგა და მისკენ გამოქცეული მკვიდრი ბიძაშვილი მიხეილ დავარაშვილი დაინახა, მოშეს გულმა კიდევ ერთხელ უყო რეჩხი. დავარაშვილს უკან ვიდეოკამერიანი კაცი მოსდევდა. ვიდეოკამერიანის ახლომახლო კენგურუსავით მოხტუნავდა ჯინსისკურტკიანი ყმაწვილი. ისე ენერგიულად მოხტუნავდა, რომ მიხეილს დროდადრო ასწრებდა კიდეც.

ბიძაშვილები ერთმანეთს ტირილით გადაეხვივნენ.

დაკვირვებული ვარ, დიდი ხნის განშორებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლები სხვადასხვანაირად ხვდებიან ერთმანეთს.

იტალიელები ხელებს შლიან და ორივენი უკან გარბიან, ათიოდე ნაბიჯზე ცაში ალაპყრობენ ხელებს „ო, სანტა მარია!“ დაიყვირებენ, გამოექანებიან და ჩაეფსკვნებიან ერთმანეთს.

ინგლისელები მორიგეობით, ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარს მხარზე უთათუნებენ ერთმანეთს უხმოდ და უსიტყვოდ.

სომხები ისე ხვდებიან, თითქოს გუშინაც ერთად იყვნენ, პირზე კოცნას წამში მორჩებიან და საქმეზე გადადიან; ბარგი რამდენი ხელი ჩააბარე, წავიდეთ, რიგი დავიკავოთო.

რუსები ყურისძირში ჰკოცნიან ერთმანეთს, ხელებს გამართავენ, მოიცილებენ მკერდიდან, კიდევ ერთხელ შეათვალიერებენ (ხომ ეს არის, ხომ არ მეშლებაო), ისევ ჩაიხუტებენ და ისევ ყურისძირში ჰკოცნიან. ასე მეორდება რამდენჯერმე.

ებრაელები და ქართველები დიდი ხნის უნახავთან დაახლოებით შვიდ მეტრში მიახლოებისას ტირილს იწყებენ და ცრემლებით უსველებენ ერთმანეთს ბეჭებს.

რატომ ხდება ასე, ვერ გეტყვით. შეხვედრის დროს ტირილი ერთ-ერთი საიდუმლოებაა ჩემთვის იმ ცხრა საიდუმლოებათაგან, რომლებისთვისაც, ვბერდები კაცი და, დღემდე პასუხი ვერ მომიძებნია.

ტელეჟურნალისტმა მოშეს და მიხეილს ცრემლის შემშრალება აცალა და სტუმარს მიკროფონი ცხვირთან მიუტანა:

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ბატონო მოშე.

— სიკეთე ნუ მოუშალოს გამჩენმა ჩემ სამშობლო საქართველოს.

— თქვენ, ალბათ, ბატონო მოშე, საქმიანი ვიზიტით ჩამობრძანდით.

— საქმიანით, რასაკვირველია. ჩამოვედი, როგორც კომპანია „იცხაკის“ ოფიციალური წარმომადგენელი. ჩვენი კომპანია, რომ არ დაგიმალოთ, მოგებაზე მუშაობს. საქართველო ერთადერთი გამონაკლისი იქნება, სადაც თავნზე ვიქნებით თანახმა. არ მკითხოთ, რამ აგიჩუყათ ასე გულიო. ებრაელი კაცი ტყვილად არაფერს დაკარგავს, მოგეხსენებათ, მაგრამ მე ახლა ჩემს სამშობლოში ჩამოვედი და ერთი ჯიბიდან რომ ამომიღია და მეორეში ჩამიდვია, ისეა ჩემი საქმე.

— კონკრეტულად?

— საქმიანი გარიგებები უნდა დავდოთ. ეკონომიურად უნდა ამოვწიოთ, გავაძლიეროთ საქართველო. ვიცით თქვენი გასაჭირი. საქართველო არ არი ასე ცხოვრების ღირსი.

— გმადლობთ, ბატონო მოშე.

იმ სალამოსვე მთელმა საქართველომ შეიტყო აბიათარ მოშეს კეთილი მისიის შესახებ.



ნოველა

## მურმან ქოიავა

წელს სამოცდახუთი წლისა გახდებოდა მურმან ქოიავა — მივულოცავდით, ვადღეგრძელებდით...

ამ ლექსიდან მისთვის აგრე დამახასიათებელი სიყვარულითა და სიცოცხლის წყურვილით შემოგვყურებს უდროოდ გარდაცვლილი პოეტი.

### თოვლი, ღვინის ჭიქა და დილა

ჭიქაში ახლა დუღს გაზაფხული,
შევსვამ და თუგინდ სიკვდილს
მიმგვარეთ,
სულში მაჭრდება ტკბილი კახური
და მთებში თეთრად გამოიდარებს.
ჭიქაში ახლა ჩქეფს გაზაფხული,
ფანჯრებს ლეწავენ ფიცხი ჩქერები.
ფიქრში ალაზანს მოვინახულებ
და თოვლში ვაზებს მოვეფერები.
ჭიქაში ახლა კვირტები სკდება
და ზღაპარს ვარქმევ ამ სინამდვილეს,
მაგრამ დამჯაბნეს ახმახმა მთებმა
და სიმწრის ცრემლი გადმომადინეს:
ჭიქაში ბორგავს პატარა კახი,
ქართველი დედის ელავს მანდილი,
ვკითხულობ წარსულს
და თავბრუს მახვევს
ჩვენი წარსული და სინამდვილე.
ჭიქაში ცხელი ცრემლი ციმციმებს,
ოფლი და სისხლი უღვთოდ
დაღვრილი,
ჩემი მამულის ბედის სიმძიმე,
ვაზი, კერა და ბასრი მახვილი.

ჭიქაში ლანდებს ვხედავ ციხეთა
და საავბედოდ დანთებულ კოცონს...
ვინც საქართველო არ გაიმეტა,
ის იმ პატარა ჭიქაში ცოცხლობს;
ჭიქაში ცოცხლობს და მკერდი უცემს
ამქვეყნად მოსულს მხნელად,
არწივად,
ვინც არ მოშალა მამულის ფუძე
და სამუდამოდ თავი გასწირა.
ჭიქაში ახლა მზე ჩაეტევა;
რიყრაყისფერი ღვინით ამივსეთ;
თენდება გარეთ, გულშიც თენდება;
ვლოცავ მამულის სიდარბაისლეს.
პატარა ჭიქა დავკოცნო მინდა,
თენდება, კარგი დილა თენდება.
შიგ საქართველოს რიყრაყი
ბრწყინავს
და გული როგორ ვერ ჩაეტევა.
და ეს პატარა ჭიქა კი არა,
ჩვენი გულია, სიმტკიცე, ეშხი,
ასე მგონია, მყინვარზე ვდგავარ
და სავსე მთვარე მიჭირავს ხელში.

## ვახტანგ დვალაძე

ბატონო რედაქტორო, მოგეხსენებათ, რაც ხდება სამაჩაბლოში. თბილისში ჩამოსვლა ძალზე ძნელია. ლექსებს თანასოფლელს ვატან და არ ვიცი, მოაღწევს თუ არა თქვენამდე.

ნუ მოვიტყუებთ თავს, რაც თავი მახსოვს, სულ ასე სდევნიან ქართულსა და საქართველოს ამ უძველესი ქართული მიწიდან რუსებს „შეამხანაგებული“ ოსები.

განუწყვეტელმა მტანჯველმა ფიქრმა და გულისტკივილმა რამდენიმე ლექსი დამაწერინა. თუ რამედ ღირს, გთხოვთ დამიბეჭდოთ.

მაქვს ერთი თხოვნაც. მოწონების შემთხვევაში, გთხოვთ ლექსები ფსევდონიმით გამოაქვეყნოთ — აქ იმის გარანტია არავის აქვს, რომ ხვალ ცოცხალი იქნება და, მით უმეტეს, იმ ქართველს, ვინც მშობლიურ შიდა ქართლს თავის სამშობლოდ მიიჩნევს...

### ამას რას მომასწარ, ღმერთო...

ჩვენს ბაღებს ჩეხავენ,
ჩვენს სახლებს ბუგავენ,
ჩვენს ტაძრებს ანგრევენ,
გვესვრიან ტყვიას.
ეშმაკი აღზევდა,
ეშმაკი აბორგდა
და ეს იანვარი
ეშმაკის ტყვეა...
სანატრი გაგვიხდა —
მაჩაბლის კერაზე
იდგეს ოჯახი და
სანთელი ენთოს.
ამას რას მომასწარ!
ამას რას მომასწარ!!
ამას რას მომასწარ!!!
ღმერთო...

### ომს ნუ დავარქმევთ, სასაცილოა

ომს ნუ დავარქმევთ, სასაცილოა —
ომი ვის შორის,
რატომ და რისთვის?!
მაგრამ ეს რაა, ქათქათა თოვლზე,
ეს რა წითელი ყვავილი იწვის?!
მაგრამ ეს რაა, სად მიდის ტყვია,
ეს ტყვია ვისი გულისკენ მიდის?!
მაგრამ ეს რაა, ვიღაცა ვაჭრობს:
ძველ მაჩაბელთა საფლავებს ჰყიდის!..
. . .
ომს ნუ დავარქმევთ, სასაცილოა.

### ღმერთო, გამიძეხ!

ღმერთო, გამიძეხ, მამული
ხმლით და ვაზის ჯვრით დავიცვა!
მიწის წაგლეჯა ისურვა
მდგმურმა, გამტეხმა კარისამ.
ძმათა სისხლს ლოკავს, ხარხარებს
ენა იანვრის ქარისა.
ღმერთო გამიძეხ,
ვაზის ჯვრით
ვაზის საუფლო დავიცვა.

რედაქციისაგან:

ვასრულებთ ავტორის თხოვნას და ვაქვეყნებთ მის რამდენიმე ლექსს — ესაა გოდება ნელნელა შემოპარული მტრის მიერ აწიოკებული კაცისა. რაღა არ მომხდარა, რას არ მოგვითხრობს ისტორია, მაგრამ ასეთი რამ არსად არ მომხდარა: ოს ექსტრემისტებს სურთ საქართველოს ჩამოაჭრან თავისი ისტორიული მიწა-წყალი, შიდა ქართლი და იგი საბჭოთა კავშირს შეუერთონ — ქართული სოფლებით, ქართული მოსახლეობით...

უფრო გასაოცარი კი ისაა, რომ გორბაჩოვის აპარატი ქართველ ხალხს ადანაშაულებს: ხმას რატომ იღებთ... მიეცით, წაიღონო...

არა, ბატონო, არც ექსტრემისტებს აუსრულდებათ ეს ოცნება და არც — იმპერიული ილუზიებით მოაზროვნე კრემლს. ისტორიულ სამაჩაბლოს თავისი პატრონი ჰყავს: ქართველობა და ის ოსი მოსახლეობა, ვისაც საქართველო უყვარს, ვინც თავის ბედნიერებას მთლიანი საქართველოს ბედნიერებასთან აკავშირებს.

ვასრულებთ ავტორის მეორე თხოვნასაც: ლექსებს ფსევდონიმით ვბეჭდავთ. ეს საზარელი კურიოზიც ისტორიას შემოვუნახოთ: შთამომავლობა გაოცებით გაიფიქრებს: ყოფილა ისეთი დროც, როცა საქართველოს ერთ ძირძველ კუთხეში ლიტერატორს თავისი ვინაობის გამჟღავნებისა ეშინოდა — ოსები არ შემარჩენ გოდებას და წუხილსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერი, ზნეობა, კაცობრიობა

## მიხაკო წერეთლის „ერისა და კაცობრიობის“ ახალი გამოცემის გამო

**თამაზ ბუაჩიძე**

მიხაკო წერეთლის „ერისა და კაცობრიობის“ გაცნობა თანამედროვე ქართველ მკითხველთა უმრავლესობაში უთუოდ ურთიერთსაპირისპირო გრძნობებს აღძრავს. მართლაც, ერთი მხრივ, განა სიამაყე და უზომო სიხარული არ დაგეუფლება, როცა ერთხელ კიდევ დარწმუნდები, რომ სულ ცოტა ხნის წინათ (რა არის ისტორიისთვის 80, თუნდაც 100 წელი!) ქართული ფილოსოფიური აზრი, საერთოდ ქართული ჰუმანიტარული აზროვნება ლაღად, ბუნებრივად ვითარდებოდა და ახალ მწვერვალებს იპყრობდა, რომ ქართველი კაცი თამამად ეჭიდებოდა თანადროულობის ყველაზე მწვავე, ყველაზე რთულ, ყველაზე საინტერესო პრობლემებს და ცდილობდა მათ გადაწყვეტას საკუთარი შემოქმედებითი ძალების ამოქმედებით და არა თავზემოხვეული იდეოლოგიური რეცეპტების კარნახით. მეორე მხრივ, ძნელია არ გაგიჩნდეს წუხილის განცდა, როცა გაიხსენებ, რომ აზრის ამ ბუნებრივ, ორგანულ განვითარებას ველური ძალა გადაეღობა და მოუსპო თავისუფალი წინსვლის შესაძლებლობა. ტოტალიტარულმა რეჟიმმა მძიმე ბორკილი დაადო ქართულ ჰუმანიტარულ აზროვნებას, რომლის პროგრესსაც თავდავიწყებით ემსახურებოდა ქართველ ინტელექტუალთა ბრწყინვალე კოჰორტა. ცხადია, მკრეხელობა იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება მთლიანად მოისპო, რომ ის მთლიანად განუდგა ჭეშმარიტებას და ცრუმეცნიერებად იქცა. მრავალი ქართველი მეცნიერის — ისტორიკოსის, ფილოლოგის, ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, გონისმეცნიერების სხვა დარგთა წარმომადგენლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიურ ცერბერთა მძვინვარების წლებშიც კი ისინი ახერხებდნენ შეფარვით მაინც ეთქვათ სიმართლე, მაგრამ რეჟიმმა მოაშთო აზრის თავისუფალი მოძრაობა. მიხაკო წერეთლისა და სხვა შესანიშნავ ქართველ მოაზროვნეთა მიერ გაკეთებული დიდი საქმე ბუნებრივად ველარ გაგრძელდა. განვითარების ძაფი გაწყდა. იქ, სადაც თავისუფალი აზრის მდინარეებს უნდა ექუხათ, პატარა წყაროებიღა შემოგვრჩა.

მიხაკო წერეთლის წიგნის კითხვით აღძრულ ამ ნაღვლიან ფიქრებს სულ ცოტა ხნის წინათ არავითარი ხელშესახები შედეგი არ ექნებოდა. დღეს, როცა საქართველო მტკიცედ დაადგა თავისუფლების გზას, ამ ფიქრებს კონსტრუქციული როლის შესრულება შეუძლიათ: ისინი გვაგრძნობინებენ, რომ აუცილებელია მივუბრუნდეთ წარსულს, იმ მდიდარ ინტელექტუალურ განძს, რომელიც შექმნეს ჩვენმა უახლოესმა წინაპრებმა; კერძოდ, ქართველი ფილოსოფოსები უნდა მიუბრუნდნენ მიხაკო წერეთლის, არჩილ ჯორჯაძის თხზულებებს, შალვა ნუცუბიძის ორიგინალურ ფილოსოფიურ სისტემას — ალეთოლოგიას, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, მოსე გოგიბერიძის და სხვათა ადრეულ შრომებს, რათა შესაძლებელი გახდეს აღდგენა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბუნებრივი განვითარებისა, ორგანული გაგრძელება იმ ტრადიციებისა და ჯანსაღი ტენდენციებისა, რომლებიც ძნელბედობის წლებში განადგურდნენ.

როცა მდიდარი ტრადიციების მქონე გერმანული ფილოსოფიური აზროვნება დაკნინდა, როცა მასში მატერიალიზმისა და პოზიტივიზმის ანტიფილოსოფიურმა ტენდენციებმა იმძლავრა, გაისმა მოწოდება: „უკან კანტისაკენ!“ ეს „უკან“ ნიშნავდა დაბრუნებას ჭეშმარიტ ფილოსოფიასთან. ჩვენც უნდა წავიდეთ უკან, მივცეთ ახალი სიცოცხლე უახლოეს წინაპართა ძვირფას მემკვიდრეობას, ვაქციოთ ეს მემკვიდრეობა თანადროული ქართული ინტელექტუალური ცხოვრების ორგანულ ნაწილად.

დაკარგულ ტრადიციათა აღდგენის საქმეში მიხაკო წერეთლის წიგნს მართლაც გამორჩეული როლი შეუძლია შეასრულოს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაღალი ზნეობრივი მრწამსი, რომელიც მსჭვალავს „ერსა და კაცობრიობას“. ეს მრწამსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ: ცალკეული ერი, ისევე როგორც ცალკეული პიროვნება, არ შეიძლება იყოს მხოლოდ საშუალება რაიმე სხვა ძალისა, პიროვნება არ უნდა გააქროს საზოგადოებამ, ერი — კაცობრიობამ. ორთავეს — პიროვნებასაც და ერსაც — თავისთავადი ღირებულება აქვს. იმას, ვინც მზადაა კაცობრიობის ბედნიერ მომავალს შესწიროს ცალკეული ერების სიცოცხლე და პათეტიკურად აცხადებს — რა არის ერი, განსაკუთრებით კი პატარა ერი კაცობრიობასთან შედარებითო, მიხაკო წერეთელი ასეთ პასუხს აძლევს: „რა არის და ის, რაც ყოველი პატარა კაცუნა, რომლის სიცოცხლეს სამართალმა და სიმართლემ ისეთივე პატივი უნდა სცეს, როგორც გენიოსსა, და რომლის სიცოცხლესაც ისეთნაირადვე ვერ შევწირავთ საზოგადოებას, როგორც გენიოსის სიცოცხლესა“ (გ. 28). შესანიშნავი სიტყვებია! ისინი შეიძლება წარმოეთქვა მხოლოდ ღრმა ზნეობრივი ხედვით დაჯილდოებულ ადამიანს, ადამიანს, რომელსაც კარგად ესმის ერთეულის, უნიკალურის, განუმეორებლის მაღალი ფასი. „ერისა და კაცობრიობის“ ავტორისათვის ნებისმიერი პიროვნება — გენიოსიცა და ჩვეულებრივიც, ნებისმიერი ერი — დიდიც და მცირეც, პატივისცემის ღირსია, მიზანია და არა უბრალო იარაღი, განუმეორებელი ფენომენია, რომლის სიცოცხლის ხელყოფა — თუნდაც ეს კაცობრიობის მომავალი ბედნიერებისათვის კეთდებოდეს — უზნეობაა. მიხაკო წერეთელი ნათლად გვაჩვენებს, რომ ყოველი ადამიანის პოზიცია ეროვნული პრობლემებისადმი აშკარავებს ამ ადამიანის ზნეობრივ სახეს, ზნეობრივი შეგნების დონეს. „ერსა და კაცობრიობაში“ მკითხველი იპოვის მრავალ საინტერესო არგუმენტს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც, თავად მიხაკო წერეთლის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „უზნეო იდეალებს ისახავენ“. ამ „უზნეო იდეალების“ მქადაგებელი არ არის მხოლოდ ის, ვინც აპირებს საკუთარი ერის ძვლებზე ააშენოს ბედნიერი მომავალი. მიხაკო წერეთლის კანონიერ რისხვას იმსახურებენ ის ვაი-თეორეტიკოსებიც, საკუთარი ერის განმტკიცებას სხვა ერთა უფლებების ხელყოფით რომ ცდილობენ — იმპერიალისტური, შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელნი, ჩვენი დროის რუსი შოვინისტების „სახელოვანი“ წინაპრები. აი, როგორ არიან დახასიათებული ისინი წიგნში: „რუსის კოლონია ჩემ თვალწინ იდგა პარიზში და ჟენევაში. თვალყურს ვადევნებდი მათ ცხოვრებას. ვხედავდი პლეხანოვს, — ამ ნამდვილ რუსის ნაციონალისტ პოლიტიკოსს, რომლის პოლიტიკაც ვერ იყო კარგად დაფარული და მით უფრო საზიზღრად მეჩვენებოდა იგი. ვხედავდი ლენინს, — რუსის შოვინისტსა და იმპერიალისტს, იმპერიის საზღვრების დამცველს, ს-დ-ების კონგრესზედ ცნობილი პროგრამის შემუშავების დროს“ (გვ. 29). ამ დახასიათებაში კარგად ჩანს ზნეობრივი ფიზიონომია რუსული მარქსიზმის კორიფეებისა.

მიხაკო წერეთლის წიგნის მაღალზნეობრივ პოზიციას აკონკრეტებს და ხორცს ასხამს საფუძვლიანი თეორიული ანალიზი ერის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებისა. ეს ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, გვიდასტურებს წიგნის ავტორის მიერ არჩეული მეთოდოლოგიური პრინციპების სისწორეს. საქმე ის არის, რომ საზოგადოების არსების სოციალური სინამდვილის ყოველი მკვლევარი უდიდესი საშიშროების წინაშე დგას: სოციალური სინამდვილე უაღრესად რთული ფენომენია, მისი ყოფიერების წესი ძნელი მისაგნები, წარმოსაჩენი და დასახასიათებელია. ამიტომ არსებობს ცდუნება, გავუიგივოთ სოციალური ყოფიერება ჩვენთვის შედარებით ნაცნობ ყოფიერების წესებს — ბიოლოგიურს ან ფსიქიკურს. ამ გზით მრავალი მოაზროვნე წასულა და შედეგიც სავალალო მიუღია. ეს შედეგებია ბიოლოგიზმი, რომელსაც სოციალური ბიოლოგიურზე დაჰყავს და ფსიქოლოგიზმი, რომელსაც სოციალური სინამდვილის კანონზომიერება ფსიქიკის კანონზომიერების იგივურად ესმის. სოციალურის სპეციფიკა, სოციალური როგორც ასეთი, ორთავე ამ თვალსაზრისისათვის მიუწვდომელი რჩება.

მიხაკო წერეთელს კარგად აქვს გაცნობიერებული ამ საშიშროებათა არსებობა. მახვილი, ონტოლოგიური „თვალი“ სინამდვილის ონტოლოგიური წყობის ნათლად ხედვის უნარი შესაძლებლობას აძლევს მას გვერდი აუაროს ბიოლოგიზმისა და ფსიქოლოგიზმის საკმაოდ გავრცელებულ ცდომილებებს. „სოციალური მოვლენა, — ვკითხულობთ „ერსა და კაცობრიობაში“ — ან განსხვავდება უბრალო ორგანიულ მოვლენათაგან, ან არ განსხვავდება. თუ განსხვავდება, მაშინ მისი კანონები სხვანაირია, და აქ ფიზიოლოგია ვერას გვიშველის, თუ არ განსხვავდება, მაშინ ლაპარაკიც აღარ შეიძლება სოციოლოგიაზე და ეს უკანასკნელი უკიდურეს შემთხვევაში გახდება მხოლოდ ნაწილი ბიოლოგიისა და ფსიხოლოგიისა და არა დამოუკიდებელი დისციპლინა“ (გვ. 571).

ამგვარი — ონტოლოგიურად სავსებით გამართლებული — პრინციპის გამოყენება გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ერი, როგორც სოციალური სფეროს ერთ-ერთი ელემენტი, დავიყვანოთ შედარებით „დაბალ“ სფეროებზე — ბიოლოგიურზე და ფსიქიკურზე. სამწუხაროდ, ამგვარი „დაყვანის“ ფაქტებს დღესაც კი ვხვდებით. ზოგიერთი თავგამოდებით იცავს დებულებას იმის შესახებ, რომ ერთა განმასხვავებელი ნიშნები ბიოლოგიურშია, „სისხლშია“ და ამავე დროს, თავისივე მტკიცების საპირისპიროდ, ენერგიულად ებრძვის ეროვნულობადაკარგულ, გადაგვარებულ ადამიანებს. ამგვარი თვალსაზრისის მქონეთათვის შეუმჩნეველი რჩება ის მარტივი გარემოება, რომ ეროვნული გადაგვარების ფაქტის ახსნა, ამგვარი ფაქტის არსებობის მტკიცებაც კი, ბიოლოგიურზე, „სისხლზე“ მითითებით აბსოლუტურად შეუძლებელია: ეროვნულად გადაგვარებულს „სისხლი“ შეცვლილი არა აქვს, მასში ცვლილებას განიცდიან ბიოლოგიურ ფენაზე უფრო მაღლა მდებარე ფენის — გონის-ელემენტები-მსოფლხედვა, მორალური წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება და ა. შ. ბიოლოგისტური თვალსაზრისის მიმდევართა „თეორია“ მათსავე პრაქტიკას ეწინააღმდეგება. მეთოდოლოგიური პოზიცია, რომელსაც იკავებს მიხაკო წერეთელი, აზრთა ამგვარ შეუსაბამობას გამორიცხავს.

„ერისა და კაცობრიობის“ ავტორის მიერ არჩეული მეთოდოლოგიური პრინციპების დიდი ღირსება ისიცაა, რომ ისინი უპირისპირდებიან ე. წ. „ატომიზმს“ სოციოლოგიაში, ე. ი. თეორიას, რომელისთვისაც ამოსავალია საზოგადოების „ატომი“, ცალკეული ადამიანი, თეორიას, რომლისთვისაც საზოგადოება მექანიკური ჯამია ერთეული ადამიანებისა. მიხაკო წერეთლისათვის საზოგადოების შესწავლისას ამოსავალია მთლიანობა — ერთეული, „ატომს“ მხოლოდ ამ მთლიანობით განსაზღვრულ არეში ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა. საზოგადოება და ყოველი სოციალური ფენომენი, მიხაკო წერეთლის თანახმად, ორგანიზმია, ცოცხალი მთლიანობაა, რომელიც, როგორც ყოველი ორგანიზმი, გარკვეული წესრიგის შემცველია: „საზოგადოება არის ორგანიზმი, ანუ სუპერორგანიზმი, შემდგარი მიზანდასახვის ნიჭის მქონე ადამიანთაგან, რომელთა გარეგნულად მოწესრიგებული საერთო მოქმედება აკმაყოფილებს ამ ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებას იმ სპეციალურ ორგანოთა საშუალებით, რომელნიც აქვს ყოველ სუპერორგანიზმს განსაზღვრულ ფუნქციათა აღსასრულებლად“ (გვ. 64).

სოციალური ორგანიზმის ეს ცნება საფუძვლად უდევს ერის იმ უაღრესად საინტერესო კონცეფციას, რომელსაც გვთავაზობს „ერისა და კაცობრიობის“ ავტორი. ძალზე საყურადღებოა წიგნში მოცემული განსაზღვრება ერისა: „ერი არის სოციალური სუპერორგანიზმი ანუ ჰიპერორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა — საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა“ (გვ. 106). ერი, მაშასადამე, არ არის „მექანიზმი“, ის „ორგანიზმია“, ცოცხალი მთლიანობაა, ინდივიდუალობაა, მონადაა, ყოველი ორგანიზმი, როგორც მთლიანობა, ერთიან სიცოცხლეს ანიჭებს თავის შემადგენელ ელემენტებს, შინაგანად ჰკრავს მათ. სწორედ ამიტომ მიხაკო წერეთელი სავსებით სამართლიანად ილაშქრებს იმ თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელიც ერის ცხოვრების რომელიმე ელემენტს, მხარეს, მაგალითად, ეკონომიკურ ცხოვრებას ან კლასთა ბრძოლას, იხილავს ისე, რომ ავიწყდება მათი მომცველი მთლიანობა — ერი, ანგარიშს არ უწევს იმ არსებითი მნიშვნელობის გარემოებას, რომ ერის ცხოვრების ცალკეული მხარეები „ცვალებადობას განიცდიან ერის შინაგან ორგანიულ ცხოვრებაში, განიცდიან დღესაც, მაგრამ ამით ერი მაინც ერად რჩება“ (გვ. 128). ერი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სიმდიდრეს, თავისი ინდივიდუალობის ღრმა კვალს აჩნევს ყველა თავის ელემენტს. ამ თეზისზე დაყრდნობით მიხაკო წერეთელი ცდომილებად თვლის იმ ადამიანთა მოსაზრებებს, რომლებიც „ხედავენ მეტს კავშირს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა შორის, ვიდრე ერთი ერის ყველა წევრთა შორის“ (გვ. 141).

ღრმა და საინტერესოა „ერსა და კაცობრიობაში“ წამოყენებული თეზისი იმის თაობაზე, რომ ერი არის უმაღლესი, უმთავრესი და უსრულესი „ჭურჭელი“ ადამიანთა ცხოვრებისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნება არ არსებობს „გარეშე ერისა“ (გვ. 237). მართლაც, იმისათვის, რომ ადამიანი, როგორც „ბუნებრივი არსება“, იქცეს „კულტურულ არსებად“, პიროვნებად, ის უნდა ეზიაროს კულტურას, კულტურა კი მხოლოდ ეროვნულია — კულტურა „საერთოდ“ რეალურად არ არსებობს: ბავშვი ითვისებს არა ენას „საერთოდ“, არამედ კონკრეტულ ენას — ქართულს, რუსულს, გერმანულს და ა. შ., ის ითვისებს არა ზნე-ჩვეულებას „საერთოდ“, არამედ ქართველთა, რუსთა, გერმანელთა და ა. შ. ზნე-ჩვეულებას. ერი, მაშასადამე, მართლაც ის „ჭურჭელია“, რომელშიც ხდება ადამიანის განვითარება, ინდივიდის ამაღლება — მოძრაობა ბიოლოგიური საფეხურიდან სრულყოფილი პიროვნების საფეხურისაკენ, ის ერთადერთი ფუძეა, რომელზეც შეიძლება ნორმალურად წარიმართოს ადამიანის გონიით სამყაროს შენება. ასეთია მიხაკო წერეთლის აზრით ერი და არა კაცობრიობა, სწორედ ამიტომ ერს უნდა მიეცეს უპირატესობა კაცობრიობის წინაშე.

ხომ არ ელის ამ ფუნდამენტს მოსპობა მომავალში? ხომ არ შეცვლის მას სხვა, უფრო მყარი და ღირებული ფუნდამენტი? „ერისა და კაცობრიობის“ ავტორს სავსებით ნათელი პასუხი აქვს ამ კითხვებზე. რადგან ერი სიცოცხლეა, სოციალური ორგანიზმია, ცოცხალი ინდივიდუალობაა, ფიქრობს „ერისა და კაცობრიობის“ ავტორი, ლაპარაკი იმაზე, რომ ერთა სიმრავლე ოდესმე მოისპობა და ისინი ერთ სოციალურ ორგანიზმად გადაიქცევიან, უდიდესი შეცდომაა. ჩვენი ოფიციალური ფილოსოფია გვიჩინებდა, ერების შერწყმა ობიექტურ-ისტორიული აუცილებლობააო. „ერისა და კაცობრიობის“ ავტორი არ ეთანხმება ამ თეზისს და გამოყოფს ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ორ კითხვას — ფაქტობრივსა და ღირებულებითს. პირველი კითხვა ასეთია: შეიძლება თუ არა ფაქტობრივად მოხდეს ამგვარი შერწყმა? მიხაკო წერეთლის პასუხი ამ კითხვაზე: „ეს ნიშნავს ისეთსავე აბსურდს, როგორსაც ყველა ცხოველთაგან ერთი სახის წარმოშობა, ან ყველა მცენარეთაგან ერთი მცენარის სახის წარმოშობა, (გვ. 188). მიხაკო წერეთელს კარგად მოეხსენება, რომ ერთა შერწყმა ნიშნავს არსებულ კულტურათა განადგურებას, მრავალფეროვნების შეცვლას ერთფეროვნებით, სიცოცხლისა — სიკვდილით. „ერისა და კაცობრიობის“ ავტორი ნათლად ხედავს, რომ ერის ინდივიდუალობის მოსპობა შემოქმედებას, ე. ი. ჭეშმარიტ სიცოცხლეს მოკლებული, უფერული საზოგადოების შექმნას ნიშნავს. წიგნში ამის თაობაზე ბრძნულ სიტყვებს ვპოულობთ: „ერთფეროვანი ბუნება — უდაბნოა, ერთფეროვანი ინდივიდები — არარაობაა. მსგავსადვე ერთფეროვანი კაცობრიობა-სოციალური უდაბნოა“ (გვ. 189). ამ მსჯელობას ჩვენი მხრიდან დავუმატებდით: გაგების ერთ-ერთი მთავარი საგანი სწორედ სხვა ერის, სხვა ეროვნული კულტურის გაგებაა. ამრიგად, ერთა შერწყმით მოპოვებული გაგება თავის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს მოსპობდა საერთოდ, იქ, სადაც არ არსებობს „სხვა“, „უცხო“, სადაც ერთფეროვნებაა, გაგებაც სავსებით ზედმეტია.

„ერი და კაცობრიობა“ გვაოცებს პრობლემათა სიმდიდრით: მიხაკო წერეთელი დეტალურად აანალიზებს ისეთ რთულ პრობლემებს, როგორებიცაა ერი და სახელმწიფო, ერი და ხალხი, ერი და სამშობლო, ერის უფლება, ერის ღირსება, ერი და სამართალი... წიგნში მკითხველი იპოვის ერის ცალკეულ თეორიათა საინტერესო მიმოხილვას და არგუმენტირებულ კრიტიკას. რაც მთავარია: წიგნი მდიდარია იდეებით, რომლებიც, ჩაღრმავებას ხელახლა გააზრებასა და განვითარებას მოითხოვს.

ბოლო დრომდე ქართველ მკითხველს თითქმის არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ამ იდეებს — 1910 წელს გამოცემული „ერი და კაცობრიობა“ კარგა ხანია იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. გასულ წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დიდი საქმე გააკეთა — ხელახლა გამოსცა დიდებული ქართველი მოაზროვნის თხზულება. გამოსცა შესანიშნავად, საქმის ცოდნით, მაღალ პროფესიულ დონეზე. წიგნში შესულია მიხაკო წერეთლის სხვა ძალზე საინტერესო შრომებიც, პირადი წერილები, სიტყვა, წარმოთქმული ი. ჭავჭავაძის ჩამოსვენებისას თბილისში. ქართველი მოაზროვნის ცხოვრების და შემოქმედების საფუძვლიან ანალიზს იძლევა წიგნის რედაქტორი პროფესორი ე. კოდუა. დარწმუნებული ვართ, მიხაკო წერეთლის ხელახლა წარმოჩენილ ნააზრევს სისხლსავსე და საინტერესო ცხოვრება ელის.

# როდის ამდიდრებს კალკები ენას და როდის აღარიბებს?

ქეთევან ლომთათიძე

ყოველი ენის განვითარების გზაზე სხვა ენებთან კონტაქტები გარდაუვალია, რის შედეგადაც ხდება ერთი ენიდან სიტყვათა, ცალკეულ გამოთქმათა, ზოგჯერ სინტაქსურ წყობათა და მსგავს მოვლენათა მეორე ენაში („მსესხებელში") შეღწევა.

ეს პროცესი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ხარისხისაა იმისდა მიხედვით, თუ რა ინტენსივობის, რა ხანგრძლივობის და, თანაც, რა სახეობის კონტაქტებს გვაგულისხმებინებს, მაგ. გააზრებულსა და ბუნებრივს, „სტიქიურსა" და ნაძალადევს თუ სხვ.

„ნაძალადევობის" საუკეთესო ნიმუშს წარმოგვიდგენს საბჭოეთის ე. წ. „ენობრივი პოლიტიკა". ჯერ თავისთავად, რესპუბლიკების ენათა (და საკმაოდ მწიგნობრულად დაწინაურებულ ძველი, მდიდარი მწიგნობრობის მქონე ენათაც კი) თანდათან განდევნამ ოფიციალური ხმარების სფეროდან, მისი გამოყენების უაღრესად შეზღუდვამ და ორენოვნობის (ე. წ. „რუსულ-ეროვნულის") აუცილებლობის მოთხოვნამ და თან ამ ორენოვანი კომპოზიტის ერთენოვნობამდე (მის პირველ კომპონენტამდე) დაყვანის მისწრაფებამ აშკარად შებღალა რესპუბლიკურ ენათა ბუნება და თავისთავადობა. ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი ღონისძიება გამართლებულად ითვლებოდა და მათ შეგნებულად წარმართავდნენ სათანადო წრეები. მაგალითისათვის შეიძლება ასეთი ფაქტი გავიხსენოთ: რესპუბლიკების საენათმეცნიერო ინსტიტუტებში „ცენტრიდან" მოვლინებულ „ლინგვისტ-თეორეტიკოსებს" ხელთ ეპყრათ ე. წ. „რუსულ-ნაციონალური" ლექსიკონები და ითვლიდნენ (ახლაც გრძელდება ეს საქმიანობა!), თუ რამდენი რუსული სიტყვა მეორდება „ნაციონალურ"(!) ენაში, რათა ამის მიხედვით გამოეანგარიშებინათ რუსული ენის „კეთილმყოფელი" გავლენის პროცენტები. და, თუ, ამ მხრივ, მათი თვალსაზრისით, „არასასურველი" ვითარება დადგინდებოდა (ასეთად ყველაზე უფრო მიიჩნიეს, მაგალითად, სომხური ენის ლექსიკა), მიეცათ საჭირო (!) რეკომენდაციები.

გარკვეულ შემთხვევებში კონტაქტების ნიადაგზე წარმოქმნილი „სიახლენი" მეორე ენაში იწვევს „გამდიდრებას" და სასარგებლოცაა. სასარგებლოა მაშინ, როცა ახალ ყოფასთან, ცხოვრების გარემო-პირობების ცვლასთან, მის გარკვეულ წინსვლასთან, ახალ საგანთა და მოვლენათა გამოჩენასთან დაკავშირებით ენა მეორე ენისაგან შეიძენს ახალ სიტყვას, ახალ გამოთქმას, ან გააქტიურებს თავის შინაგან ენობრივ შესაძლებლობებს საკუთარივე აფიქსაციის ახალწარმოებებით და მისთ. (მაგრამ უნდა გავხაზოთ, ესეც მხოლოდ მაშინ, თუ „მსესხებელ" ენას თავის ლექსიკურ ფონდში, სიტყვაწარმოქმნის საშუალებებში სანაცვლო არ გააჩნია).

ასეთი „გამდიდრების" მაგალითები ბლომად გვაქვს განსაკუთრებით ახალ-ახალი ტერმინების სახით, რაც ძირითადად წიგნის ენას, გამორჩეულად კი სამეცნიერო ტერმინოლოგიებს ეხება და რაც გააზრებული ენობრივი გამდიდრების პროცესს გულისხმობს; და ვინაიდან აღნიშნულ სფეროებში ენის გამდიდრების პროცესის მოვლა-პატრონობა ხელეწიფება მწერლობას, სათანადო დარგების მესვეურთ (სხვადასხვა დარგთა სპეციალისტებსა და ენათმეცნიერთ), და იგი გაცნობიერებულია და სათანადოდაც შეფასებული, ამიტომ ჩვენ ქვემოთ შევეხებით იმ მხარეს კალკირებისას, რაც იწვევს ენის გაღარიბებას, რამდენადაც ჩვენს სინამდვილეში ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ფრიად სავალალო მდგომარეობაა; კალკირების პროცესი თანდათან ეძალება ქართულ ენას.

ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებზე, რომლებმაც უმთავრესად ფეხი მოიკიდა ქართულში ბოლო ხანს, რომელთა საჭიროება ქართულს არა აქვს და ეს ზედმეტი „ქონება" იწვევს მის გაღარიბებას, შებღალვას მისი ენობრივი თავისთავადობისას; ავიწროებს და დევნის ქართული ენიდან ქართულის ბუნებრივ სიტყვებსა და გამოთქმებს.

უცხო ენობრივი გავლენების სხვა, უფრო მრავალრიცხოვან ერებსაც აწუხებთ. საკმაოდ შეშფოთებით წერენ ამის თაობაზე რუსულ პრესაშიც (იხ. მაგ. გაზ. „პრავდა" 1989, № 246, „იზვესტია", „სოვეტსკაია როსსია" და სხვ.). მითუმეტეს საგრძნობია ეს ქართულ ენაში. ამ რიგის ფაქტები ქართულისათვის, თუ შეიძლება ითქვას, „კალკირების კალკირებას" წარმოადგენს. თუ რუსულ ენაში აღნიშნული სამეტყველო „სიახლენი" ჩვეულებრივ მსგავსივე სტრუქტურის ენობრივი წყაროდან მომდინარეობენ, ქართულისათვის ისინი კიდევ უფრო შეუთავსებელნი არიან, რამდენადაც განეკუთვნებიან განსხვავებული ენობრივი სტრუქტურისა და ენობრივი ფსიქოლოგიის მქონე ენებს.

უცხოური კალკის ნიადაგზე მაგალითად „შ ე დ გ ა" ზმნამ თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, დიდად გაიფართოვა გამოყენების სხვა სფერო და თანდათან გამოდევნა ხმარებიდან ბუნებრივი ქართული გამოთქმები. ქვემოთ მოვიყვანთ კონტექსტებს, რომლებიც გვიჩვენებს, რა ბუნებრივი სიტყვათ-შეხამებები „შეითავსა" ერთმა „შედგა" ზმნამ.[1]

„სხდომა შ ე დ გ ა", „თათბირი შ ე დ გ ა". ამ და ამ რიგის შემთხვევებში მოსალოდნელი იყო ზმნა „გ ა ი მ ა რ თ ა"; „საუბარი უნდა შ ე მ დ გ ა რ ი ყ ო იმ საკითხებზე..." აქ მოველოდით: „საუბარი უნდა გ ა მ ა რ თ უ ლ ი ყ ო იმ საკითხებზე", ან კიდევ: „საუბარი უნდა შ ე ხ ე ბ ო დ ა იმ საკითხებს" და სხვ. მთელ რიგ შემთხვევებში მან დაიჭირა ადგილი „მოეწყო", „მოხდა", „დაიწყო", „გამოვიდა" ზმნებისა. ამის ნიმუშებია: „ვიდრე გადაცემა შ ე დ გ ე ბ ო დ ა" (=დ ა ი წ ყ ე ბ ო დ ა), ფილმის ჩვენება შ ე დ გ ე ბ ა 18 საათზე" (=დ ა ი წ ყ ე ბ ა), „თავმჯდომარესთან შეხვედრა შ ე დ გ ა (=მ ო ე წ ყ ო), ჩვენი ვიზიტი შ ე დ გ ა აღნიშნულ ინსტიტუტში". ამ ფრაზაში არც „ვ ი ზ ი ტ ი" და არც „შ ე დ გ ა" შეიძლებოდა სულაც არ გვეხმარა და უბრალოდ გვეთქვა: „აღნიშნულ ინსტიტუტს ვეწვიეთო", როგორც იტყვიან, თამაში შედგა". აქ ავტორს უნდოდა ეთქვა „თამაში გამოგვივიდა"-ო. ასევე სპექტაკლი თუ მოიწონა მაყურებელმა, ე. ი. სპექტაკლი შედგა". აქაც ავტორს უნდოდა ეთქვა „...ე. ი. სპექტაკლი გამოგვივიდაო". ერთ-ერთ გამოთქმაში „შედგა" იმდენად გაფართოებული შინაარსითაც მოგვევლინა, რომ მისი მნიშვნელობის ამოკითხვა საგანგებო ანალიზს მოითხოვს. ასე, მაგალითად, გვაცნობებენ, რომ „ექსპერიმენტი არ შედგა". ის ჩვენ უნდა გაგვეგო ასე: „ექსპერიმენტი არ განხორციელდა, არ გაიმართა..." სინამდვილეში კი სათანადო კონტექსტი გულისხმობდა „ექსპერიმენტმა არ დაგვიდასტურა".

ჩვენ ვერ ვიკისრებთ აქ აღვნუსხოთ ყველა ის შემთხვევა, რომლებშიაც „შედგა" ზმნამ გამოდევნა „კალკირების" გაფართოებულ ნიადაგზე ქართული შესიტყვებები

[1] საილუსტრაციო მასალა აქაც და ქვემოთაც დოკუმენტურია, თუმცა ამჟამად ჩვენ წყაროს ჩვეულებრივ არ ვუთითებთ.

აქ არც იმას მივუთითებთ, თუ „გამვლენელი" ენის რა შესაბამისი ფაქტები იგულისხმება. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ისინი ადვილი მისაწვდომია.

და ამით გაალარიბა და დააკნინა ქართული ენა.

აღნიშნული ზმნის არც გარდამავალი სახეობა ასცდა კალკირების პროცესს. გავრცელდა გამოთქმები „დანახარჯებმა ათასი მანეთი შეადგინა", „მოგებამ უკვე მილიონი მანეთი შეადგინა", მაშინ, როცა უნდა თქმულიყო „ამდენ და ამდენ მანეთს მიაღწიაო" (ან: მოგება ამდენი და ამდენი მანეთი გამოვიდაო და მისთ.).

ფეხი მოიკიდა ე. წ. „...წლების მიცემამ": „ოც წელზე მეტს მაინც ვერ მისცემდით" და სხვ. წლოვანობის მიახლოებით განსაზღვრისათვის ქართულ ენაზე მეტყველს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ნიუანსის არაერთი საშუალება, მაგ: „ამდენი და ამდენი წლისად გამოიყურებოდა", „ამდენი და ამდენი წლისა ჩანდა, გეგონებოდა", „ამდენი და ამდენი წლის მეტს არ მგავდა" „ამდენი და ამდენი წლისას იტყოდი" და სხვ. ყველა ეს გამოთქმა ჩრდილში ექცევა, ხოლო ამ გაგებით ქართული ენისათვის „წლების მიცემა" („წლებს მისცემდი") მეტი რომ არა ვთქვათ, უაზრო გამოთქმა გამოდის.

მიმართება არსებითად გამოხატავს დამოკიდებულებას..., მაგრამ მან ამ ბოლო ხანს ქართული ენიდან ლამის განდევნოს ზმნისართები „მიმართულებით", „მხრივ"... მაგ., „ამ მიმართებით მუშაობა უკვე დაიწყო", „რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართებით?" და სხვ.

სრულიად შეუფერებლად იხმარება ქართული ენის თვალსაზრისით ადგილის განმსაზღვრელი სიტყვა „სადღაც", მაგ., „ჩვენი მოგება სადღაც 45 მილიონამდეა", „მე მეჩვენება, რომ თქვენ სადღაც მიწის საკუთრების მომხრე ხართ", „სადღაც შემეცოდა კიდეც"...[2] ქართულში სათანადო კონტექსტებში უნდა იყოს „დაახლოებით", „ერთი პირობა", „თითქოს" და სხვ.

„თანახმად" სიტყვის უადგილოდ „მონოპოლიურმა" ხმარებამ გააღარიბა ქართული ენის სტილისტიკური საშუალებანი და ხშირად გააბუნდოვნა აზრიც. მაგ: „ამ კონცეფციის თანახმად... ჩვენში ჩამოყალიბდა ერთი საკლუბო გუნდის კულტი, რომლის თანახმად ქართული ფეხბურთი დაუმორჩილდა..."

შინამრეწველობის მასალის რუსთაველის მუზეუმისათვის ჩაბარების აქტს ხელს აწერენ, ერთი მხრივ, ივ. ჯავახიშვილი, მეორე მხრივ — სოლომონ ანდღულაძე. პირველ ხელმოწერაში ვკითხულობთ: „აქტთან თანდართული სიების მიხედვით მასალების დედნები ჩავაბარე" (აკად. ივ. ჯავახიშვილი), მეორის ხელმოწერაში ვკითხულობთ: „აქტთან თანდართული სიების თანახმად მასალების დედნები ჩავიბარე" (ს. ანდღულაძე).[3] ვფიქრობთ, ბ-ნ ივანეს ქართულია ამ შემთხვევაში ბუნებრივი.

აღნიშნული, სტერეოტიპულად ქცეულ „თანახმად" სიტყვის ადგილას ქართულში გვაქვს: „მიხედვით", „საფუძველზე", „ნიადაგზე", „გამო", „წყალობით", „შესაბამისად" და მრ. სხვ.

[2] სხვათაშორის ამ „где-то"-ს უადგილო გამოყენებას („я с вами где-то согласен") თვით რუსულშიაც ესხმიან თავს („იზვესტია", 13.XII.1989).

[3] „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის" აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად. ტომი I, თბ., 1976. აღმწენებლობა და ავეჯი. „დამატება", გვ. 533.

შეუსაბამოდ იხმარება სიტყვები „მატარებელი", „ატარებს". მართალია გამოთქმები „ქართული ენის მატარებელი", „რუსული ენის მატარებელი" უკვე საკმაოდ ფეხგადგმულია, მაგრამ აუცილებელია აღვადგინოთ მართებული გამოთქმები „ქართულ ენაზე მეტყველი" და მისთ. ნაცვლად გამონათქვამისა „...ერთიანი შინაარსის მატარებელი ვერ იქნება" უნდა ვამბობდეთ „ერთიანი შინაარსის მქონე ვერ იქნება", ანდა მარტივად „ერთიანი შინაარსისა ვერ იქნება".

ასევე წინადადება „სასურველია სათაური არ ატარებდეს ლოზუნგის ხასიათს" ბუნებრივი იყო გადმოგვეცა ასე: „სასურველია გაზეთის სათაურს არ ჰქონდეს ლოზუნგის ხასიათი" ან: „... არ იყოს ლოზუნგის ხასიათისა", „...არ შეიცავდეს ლოზუნგის ხასიათს" და მისთ.

დაუფიქრებლად ამბობენ: „პალტოს ატარებს", „ქუსლიან ფეხსაცმელს ატარებს", „ხვანურ ქუდს ატარებს", „სამკაულს ატარებს" და სხვ. მართებული ქართული კია: „პალტო, ფეხსაცმელი... აცვია, „ქუდი ახურავს, „სამკაული უკეთია" და მისთ.

აი, როგორ აღარიბებს და აუფერულებს კალკირებულად გამოყენებული ქართულივე „ატარებს" სიტყვა ჩვენს ენას.

ძალზე გავრცელდა საკმაოდ არაესთეტიკური გამოთქმა „თითიდან გამოწოვილი" მაშინ, როდესაც ქართულში ამისთვის გვაქვს გამოთქმა „ყურით მოთრეული" (ან: საბლით, თოკით მოთრეული).

„კალკირებამ" „აიძულა" ჩვენი სპორტსმენები, როცა ამბობენ: „მე ვაჩვენე საშუალო შედეგი"-ო, მაშინ, როცა შეიძლებოდა ეთქვა „ჩემი შედეგი საშუალო იყო, გამოვიდა", „მე საშუალო შედეგი გამომივიდა" და სხვ. მისთ.

რაიმე მნიშვნელოვნის, დიადის გამოსახატავად მრავალგვარი სიტყვიერი საშუალება არსებობს ქართულში, მიუხედავად ამისა, იწყებს გავრცელებას კალკირებული „(მან)... წონადი ხარკი გაუღო ქართულ დოკუმენტურ პუბლიცისტიკასაც", „ჩვენს წონად წვლილს მსოფლიოს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საგანძურშიაც შევიტანთ" და მისთანებე.

ამ ბოლო დროს გავრცელდა სიტყვა „გადაცდომა" და მას მიუსადაგეს ზმნა „ჩაიდინა". „გადაცდომა" თავისთავად უნებური მოქმედებაა და ქართული ენობრივი ფსიქოლოგიის მიხედვით მას „ვერ ჩაიდენენ" (შდრ. გამოთქმა „ეს რა ჩაიდინე?") ამიტომ შერჩეული უნდა იქნეს ქართული ენის ბუნებრივი შეხამებანი. მოსალოდნელი იყო ქართულში დავკმაყოფილებულიყავით „გადაცდა" ზმნური ფორმით. მაგრამ თუ იურიდიული დაფორმულებისათვის აუცილებელია გაიხაზოს „გადაცდომა", უმჯობესია ითქვას: „გადაცდომაა", ესა და ეს მოქმედება „გადაცდომად უნდა ჩაითვალოს" ან სხვა რამ ასეთი.

„მოქმედებს" ზმნის ადგილას გახშირდა „მუშაობს". ქართულში მათ თავთავისი სფერო აქვთ გამოყენებისა და ერთის მიერ მეორის გამოდევნა არაა გამართლებული. ამბობენ „წამალი არ მუშაობს". უნდა: „წამალი არ მოქმედებს".

მოქმედებს ზმნას წინ აღუდგა ასევე კალკირების გზით გავრცელებული მოდური „ფუნქციონირებს".

ერთ-ერთ ტელეგადაცემაში დიქტორი ესაუბრებოდა დუშეთის წარმომადგენელს მათთვის საჭიროროტო საკითხებზე. ისიც მუყვებოდა და ამ საუბარში თქვა „... არ მოქმედებსო", დიქტორმა — ჩაილაპარაკა „არ ფუნქციონირებსო" და ჩვენმა კარგად მოქართულე მთიელმაც მორჩილად გაიმეორა „არ ფუნქციონირებს"-ო.

ფართოდ ვრცელდება ქართული შესატყვისებისა და სიტყვაწარმოების სანაცვლოდ: ფიგურირებს, ფიგურირება („მაგრამ იქ მავანისა და მავანის გვარის] ფიგურირების გამო მისი დაბეჭდვა მაშინ ვერ მოხერხდა; კორექტირება (=შესწორება, კორექტივის შეტანა, დაზუსტება...); პროექტირება (=დაპროექტება) ფინანსირება (=დაფინანსება) და სხვ.

ზოგჯერ თითქოს ზმნური გაფორმება ფუძისა ქართულია, მაგრამ თვით უცხო ამოსავალი ფუძე ასეთი გაფორმებითაც ბღალავს ქართული ენის ბუნებას. მაგ.: „...ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს პიროვნებისათვის ხელის შეშლა საარჩევნო უფლების განხორციელებაში". „...როცა შესწევს უნარი დროულად დააპროგნოზოს და მიიღოს საჭირო პოლიტიკური გადაწყვეტილება" და სხვ.

დეფიციტი თითქმის სრულიად დევნის ქართულ სიტყვებს, „უკმარისობას", „ნაკლებობას"... „მუშახელის დეფიციტს განვიცდით"-ო. შეიძლება „განცდის" სფეროში დეფიციტი არც მოგვეთავსებინა, (ამას ფსიქოლოგები გაარკვევენ!), მაგრამ ქართულად რომ უკეთესი იყო გვეთქვა „მუშა ხელი გვაკლია", „მუშახელის ნაკლოვანებაა"-ო, ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს.

გაუმართლებლად ბატონდება „რეალიზაცია" („აი, ის ძირითადი პრობლემატიკა, რომლის რეალიზაციას ისახავს მომავალი მხატვრულ-დოკუმენტური ტილო"). აქ დიდი არჩევანი ჰქონდა ქართულ ენას („ხორცის შესხმა", „განხორციელება", „შესრულება"... და სხვ.), მაგრამ ამას გვერდი ავუქციეთ.

პლურალიზმი ქართულ ენაშიაც უნდა იხმარებოდეს, მაგრამ იგი ხომ ჩვენში ასე ბუნებრივი „აზრთა სხვადასხვაობაა?"; ამ ქართული გამოთქმის პლურალიზმით გამოდევნა გაუმართლებელია.

ამ უცხო სიტყვათა ხმარებისას გვავიწყდება, რომ ენებში საიდანაც ისინი მომდინარეობენ, რაიმე განსაკუთრებული ტერმინები კი არაა, არამედ ჩვეულებრივი სამეტყველო ერთეულებია, რომელთა ბადალი ჩვენს ენებში ბლომად მოგვეპოვება.

კარგად მოიქცნენ ჩვენი მთარგმნელები, რომ ახალი სიტყვები (უკეთ: ცნებები) „გლასნოსტ" და „პერესტროიკა" თარგმნეს და თარგმნეს არაკალკირებულად: „საჯაროობად" და „გარდაქმნად". ისიც ცნობილია, რომ აღნიშნული რუსული სიტყვები სხვა ენებზე უცვლელად, უთარგმნელად დატოვეს.

(დასასრული მე-12 გვ.-ზე)

(დასასრული)

ქართული ენა მომზადებული აღმოჩნდა ამ ახალი ცნებებისათვის თავისი წარმოებითაც სრულიად შესაფერი ქართული ბუნების სიტყვები დაეხვედრებინა. მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა: იმის გამო, რომ ამ სიტყვებით ნავარაუდევმა პროცესებმა არ გაამართლა, ბოლოდროინდელ ქართულ პრესაში იწყო გავრცელება ქართული ასოებით დაწერილმა პერესტროიკამ და გლასნოსტმა. ეს ერთგვარი ენობრივი ფსიქოლოგიის გამოვლენაა. მთქმელი ამ ხერხით თავის უარყოფითსა და სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სათანადო სიტყვებით ნავარაუდებელ მოვლენებისადმი. არა მგონია, რომ სხვა ენებს (იმათ, ყოველ შემთხვევაში, რომლებსაც ისინი არ უთარგმნია) ჰქონდეთ ამგვარი ნიუანსის გადმოცემის შესაძლებლობა!

ფეხი ფართოდ მოიკიდა ქართულისთვის სრულიად შეუფერებელმა გამოთქმებმა, როგორებიცაა, მაგ.:

„წინააღმდეგ შემთხვევაში": „საწარმოთა პრობლემები მხოლოდ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაღრმავდება დაშვებული ეკოლოგიური შეცდომები". „დაშვებულ შეცდომებს" რომ თავი დავანებოთ, ქართულისათვის მიუღებელია „წინააღმდეგ შემთხვევაში". ქართულად ამ ადგილას გამოიყენება „თორემ", „არადა", „თუ არა და" და მრ. სხვ.;

„დღეს როგორც არასდროს". ქართულად ეს იქნებოდა „ყველაზე უფრო, ყველაზე მეტად დღეს", „მეტადრე დღეს" და მისთ.;

„ტრავმა მიიღო": „დაზიანება მიიღო"; „დამწვრობა მიიღო", აჯობებდა კი: „ტრავმა შეემთხვა, ტრავმა აქვს, ტრავმა მოუვიდა"; „დაზიანდა", „დაშავდა" („დამწვრობა აქვს, აღენიშნება") და სხვ.

„ტკივილს უხსნის", უნდა: ტკივილს უყუჩებს, უამებს...

გათვლილია: „დღეის ამოცანები პერსპექტივაზეა გათვლილი", უმჯობესი იყო „დღეის ამოცანები პერსპექტივის გათვალისწინებით (არის ჩამოყალიბებული), ...პერსპექტივისთვის არის გათვალისწინებული"... და სხვ.

ჩადებულია: „პროექტშია ჩადებული". უნდა ყოფილიყო „პროექტშია ჩაქსოვილი"... („გათვალისწინებული") და სხვ.

„დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს": „რომელიც დღეს დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს". ავტორს უნდა ეთქვა „რომლის მოთხოვნილება დღეს დიდია" და მისთ.

„მოცემულ შემთხვევაში..."— „აღნიშნულ, დასახელებულ, განხილულ, ამ ...შემთხვევაში" და სხვ.

„განპირობებულია/შეპირობებულია, განაპირობებს"; „რითაა განპირობებული ეს შემთხვევა?", „რა აპირობებს ამ მოვლენას". სიტყვა პირობა მართლაც შეიძლება, ზოგ შემთხვევაში იქნეს გამოყენებული ანალოგიურ გამონათქვამებში, მაგრამ ამ კალკირებულმა გამოთქმებმა ისე იმძლავრა, რომ სრულიად გამოიდევნა ბუნებრივი ქართული „იწვევს" ზმნა და შესაფერი გამოთქმები „რა იწვევს ამ მოვლენას" და მისთ.

აქა-იქ ცდილობენ „განპირობებულს" გვერდი აუარონ, მაგრამ მის ნაცვლად ხმარობენ ასევე გაუმართლებელ „ნაკარნახევს": „მომავალზე ფიქრითაა ნაკარნახევი" —„მომავალზე ფიქრითაა გამოწვეული"...

ქართულში არის შესაძლებლობა ჩამოთვლისას გამოვიყენოთ „და სხვ.", „და მისთ.", „და ა. შ.". ყოველ მათგანს მეტად თუ ნაკლებად შესაფერი სფერო ესადაგება. ერთი რიგის მოვლენების ჩამოთვლა-მითითებისთვის უფრო ბუნებრივია „და მისთ."; სხვადასხვა რიგის მოვლენებთან დაკავშირებით მოსალოდნელია „და სხვ." გარკვეულ შემთხვევაში, როცა შემდგომადობაა მისათითებელი „ა. შ", მაგრამ რა ხდება? მარტივად გადავინაცვლეთ ამ ერთადერთ „ა. შ."-ზე და ყველა შემთხვევაში ისმის ა. შ." და თანაც განმეორებებით „ა. შ." და „ა. შ." და „ა. შ."**

ქართულში უარყოფით წინადადებაში ბუნებრივად ითვლება ზმნისართთა და ნაცვალსახელთა უარყოფითი სახეობების გამოყენება: „არავინ (არ) მოსულა", „არსად (არ) წავსულვარ", „არაფერი (არ) იცის" და მისთ. მაგრამ ამ ბოლო დროს ქართული ენის ბუნების საპირისპიროდ ინერგება „ყოველივე ეს არ ჩანს" (=არაფერი ეს არ ჩანს), „ამ საქმეში რაიმე შეფერხება არ შეინიშნება, (=...არავითარი/არაფერი შეფერხება არ შეინიშნება), „ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე ინციდენტი" (=ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა არავითარი ინციდენტი.

აქ სანიმუშოდ მოყვანილ შემთხვევებში დადებითი სახეობის ფორმები „რაიმე, ყოველივე, სადმე" და მისთანანი ქართულში გამოიყენება დადებითი შინაარსის ზმნებთან (რაიმე იცი? სადმე წავიდოდა, ყოველივე ეს რომ თქმულიყო და მისთ.).

სამაგიეროდ მოსალოდნელი უარყოფითნაწილაკიანი ზმნის გამოყენების ნაცვლად, პირიქით ხდება და ზმნა დადებითი ფორმით არის მოცემული, უარყოფითი ნაწილაკი კი დართულია სახელზე: „ეს არასწორია" („რაც შეეხება აღნიშნული საგნის სწავლებიდან ამოღებას, ჩვენი აზრით არასწორია", „საზოგადოება... დღემდე არარეგისტრირებულია", „არაკვალიფიცირებული კადრი გვყავს" და მისთ.

იმის ნაცვლად, რომ ბუნებრივად ვთქვათ „ეს სწორი, მართებული არ არის", „საზოგადოება... დღემდე რეგისტრირებული არ არის", „კვალიფიცირებული კადრი არ გვყავსო", თითქოს თავს ვიწონებთ „არაკვალიფიცირებული კადრი გვყავსო".

ასე გაუკუღმართება ენის შინაგანი არსისა ყოვლად მიუღებელია.

დამანგრევლად მოქმედებს ეს კალკირების პროცესი ქართული ენის ზმნისართთა ფუძეებზე და მათს გაფორმებაზე; თანდებულთა გაფორმებასა და გამოყენებაზე „მთლიანობაში"; ძირითადში: „ეს გამოცდა ჩვენმა სპორტსმენებმა მთლიანობაში კარგად ჩააბარეს". უნდოდა: „მთლიანად", „ერთობ"...; „ძირითადად"...

„ფანატიკური სიყვარული მისი პიროვნებისადმი"=„მისი პიროვნების ფანატიკური სიყვარული".

„რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ?"=„რა იგულისხმება ამ ცნებაში?";

„სახეზეა": „ყველა სახეზეა". ქართულში შესაბამისი შინაარსისათვის ზმნა სხეულის სხვა სახელებს ერთვის მაგ., თვალწინაა; ხელთაა, ან არადა, გარკვეულ შემთხვევებში გამოყენება „აქაა", „ესწრება" და სხვ.

„მიმართ": „მინდა გითხრათ, რას ვაკეთებთ მრავალშვილიანი დედების მიმართ": უნდა კი ყოფილიყო „... მრავალშვილიანი დედებისათვის".

სრულიად შებღალულია ქართული ნორმა და გაფართოებულია „ზე" თანდებულის ფუნქცია, მაგ.: „ვზრუნავთ დაცვაზე", „მომსახურებას გაგიწევს ხალიჩების რეცხვაზე", „მიმდინარეობს მოლაპარაკება სახლების შესყიდვაზე", „საკითხი დადგა კადრების მომზადებაზე", „...გაიცემა იმ წევრებზე", „... კონტროლზეა (=ვზრუნავთ დასაცავად..., ...სახლების შესასყიდად... კადრების მომზადების შესახებ...; მიეცემა იმ წევრებს, „..საკონტროლოდაა, საკონტროლოა, გასაკონტროლებელია... და სხვ.).

გასაოცარი სიჯიუტით გავრცელდა „ბოლო-ბოლო". „ბოლო-ბოლო ვინ არის იგი"?). მას კალკირების ნიადაგზე ჩამოშორდა „და" კავშირი, ოღონდ ცვლილება კიდევ უფრო შორს წავიდა. უნდა ვეცადოთ დამკვიდრდეს ნამდვილი ქართული გამოთქმა („ბოლოს და ბოლოს").

ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ სახელდებითი საზღვრულის მსაზღვრელთან ბრუნვაში შეწყობის საკითხის მოგვარებას. აქ თავშეუწუხებლად, პირდაპირ რუსულ მზამზარეულ სინტაქსურ მოდელს მივყვებით. სამწუხაროდ ჩვენი „პრესტიჟული" პრესაც კი აჭრელებულია ასეთი წინადადებებით: „...ფაქტი, რომელიც გადაცემული იყო... სატელევიზიო გადაცემაში „მოამბე", ნუთუ ბუნებრივად და მარტივად ამის გამოთქმა აღარ შეგვიძლია!

ცნობილია, რომ ქართულში, როგორც ტიპიურ იბერიულ-კავკასიურ ენაში, სახელები იყოფა ორ ძირითად კლასად „ვინ" და „რა" კლასებად, ე. ი. ადამიანისა და ნივთის კლასებად. „ვინ" ადამიანთან კლასში ექცევა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, „რა" კლასში გაერთიანებულია როგორც ცხოველი (ძაღლი, ძროხა...) ისე მთელი დანარჩენი სამყარო (სულიერიცა და არასულიერიც). ისიც ცნობილია, რომ რუსულ ენაში კლასიფიკაციის პრინციპი სხვაგვარია. რუსულ „КТО" სიტყვით ნავარაუდევ კლასში ადამიანიც შედის და ცხოველთა სამყაროც. აი, ამის გავლენით ქართულშიაც აქა-იქ გაჩნდა ტენდენცია ამ საუკუნოებით გადმოცემული მტკიცე ენობრივი ნორმის შებღალვისა და „ვინ" ნაცვალსახელი გამოყენებულ იქნეს „არა-ადამიანის" გამოსახატავადაც. ერთ-ერთ სოლიდურ ნაშრომში წავიკითხეთ: „ერთმანეთს შეჯიბრებიან ხარი და ირემი, ვინ უფრო სწრაფად გადაირბენდა ცას". ასეთ შემთხვევებში ქართული იყენებს ნეიტრალურ ნაცვალსახელს „რომელს" (...რომელი უფრო სწრაფად გადაირბენდა...). სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევა არ არის. ფეხბურთის გუნდთა (და არა ფეხბურთელთა!) შეფასებისას წერდნენ: „იმ გუნდებიდან, ვინც ყურადღება მიიქცია" აქაც უნდა ხმარებულიყო ნეიტრალური ნაცვალსახელი „რომლებმაც" და სხვ.

ეს ტენდენცია თანდათან იკიდებს ფეხს და ყოველგვარ საკლასიფიკაციო ნორმის გარეშე ვწერთ: „...თბილისი, ბაქო, ლიტვა, ვინ არის შემდეგი?"

ზემოთ ჩვენ მხოლოდ ერთეულ მოვლენებს შევეხეთ ვითარების საილუსტრაციოდ. მაგრამ აქედანაც ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაა მთელს ენობრივ სტრუქტურაში. ყველაზე დამთრგუნველი სიტყვათა შეწყობის, ჩამოყალიბებულ გამოთქმათა მოშლაა. აქ დიდი ბარიერი არის აღსამართავი, რამდენადაც ირღვევა სპეციფიკური ენობრივი მოდელი, რომელშიაც ასახულია თვით ენის ფსიქოლოგია, ამ ენაზე მეტყველი ხალხის ისტორია და თავისთავადობა. კალკირების გზით მიღებული მთელი რიგი „სიახლენი" მძიმე ტვირთად აწვება ენას და მისგან განთავისუფლებას საჭიროებს.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს სათუთად მოვეპყრათ ჩვენს ყველაზე ძვირფას ეროვნულ საგანძურს. იურიდიულ-სოციალურ მხარესთან ერთად გვაქვს დიდი ისტორიული გამოცდილება და სათანადო მეცნიერული დონე, რომ წესრიგი დამყარდეს ამ მხრივ, ოღონდ აუცილებელია თვით ამ პროცესს მოვეკიდოთ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, მუდმივ გვქონდეს გაცნობიერებული მისი საჭიროება და აქტუალურობა.

**სასაუბრო ენას ასევე წალეკავს უქადის „ესე იგი", „ე. ი." წარმოადგენს რაიმე მსჯელობის ერთგვარ დანასკვს, მაგრამ დღეს „ესე იგით" იწყებენ საუბარს და, არცთუ იშვიათად, ყოველი სიტყვის შემდეგ იმეორებენ, თითქოს ხმარობენ პაუზის შესავსებად. სავალალო შთაბეჭდილებას ახდენს ასეთი ქართული.



ვარძია.

არჩილ ჩარკვიანის ფოტო



# აკაკის კაბინეტი

რაოდენ ნიშანდობლივია, რომ სწორედ წელს, ამ დღეებში, როდესაც აღსრულდა მრავალსაუკუნოვანი ოცნება და საქართველო შედგა დამოუკიდებლობის, თავისუფლების და დემოკრატიის გზაზე, ქართველი ხალხი ჯეროვან პატივს მიაგებს თავის უდიდეს ეროვნულ პოეტს — აკაკი წერეთელს, უკვდავი „განთიადის" ავტორს, გენიალური მეტაფორის „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა" შემქმნელს. დიდი პოეტისა და ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი [illegible]ლისჩამდგმელის დაბადების 150 წლისთავზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა აკაკი წერეთლის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი კაბინეტი.

კაბინეტი მიზნად ისახავს ძირეულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს აკაკის ცხოვრება და შემოქმედება, მოიძიოს და ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს დიდი მგოსნის მოღვაწეობასთან დაკავშირებული დღემდე ნაკლებად ცნობილი მასალები, რაც მთავარია, ჯეროვნად წარმოაჩინოს აკაკის ფენომენი — როგორც ქართველი ხალხის პოეტური გენიის ერთი უბრწყინვალესი გამჟღავნება.

აკაკის კაბინეტს დაგეგმილი აქვს მუშაობაში ჩააბას არა მხოლოდ უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები და სტუდენტები, არამედ ურთიერთობა დაამყაროს ყველა დაწესებულებასთან თუ პიროვნებასთან, ვისაც ხელეწიფება თავისი წვლილი შეიტანოს აკაკი წერეთლის უზარმაზარი მემკვიდრეობის ჯეროვნად შესწავლის საქმეში.

კაბინეტი თხოვნით მიმართავს ყველა დაწესებულებას და კერძო პირს, ჩვენში თუ საზღვარგარეთ, მოგვაწოდონ მათ ხელთ არსებული მასალები, რაც დაკავშირებულია აკაკი წერეთლის ცხოვრებასთან, საერთოდ მის მოღვაწეობასთან და შემოქმედებასთან.

აკაკის კაბინეტის გამგეა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბეჟან ბარდაველიძე.

**ნინო ლომინაძე**

კაბინეტის თანამშრომელი.

# თეოდორ მომზენი

გივი გამრეკელი



## 1902

ყოველი წლის ბოლოსათვის მხატვრულ ლიტერატურაში ნობელის პრემიის მინიჭება აზრთა ცხოველ გაცვლა-გამოცვლას იწვევს. თუმცა, კამათიც არის და კამათიც. შეიძლება ითქვას, დიდ გაუგებრობად ჩაითვალა პირველი, 1901 წლის პრემიის მიკუთვნება ნიჭიერი, მაგრამ მეტისმეტად „კამერული" ფრანგი პოეტის სიული პრიუდომისათვის. გავიხსენოთ ის დიდი შეხლა-შემოხლა, რომელიც 1933 წელს ივან ბუნინის დაჯილდოებამ გამოიწვია. რუსული ემიგრაციის დიდი ნაწილი თვლიდა, რომ პრემია ბუნინს კი არა, დმიტრი მერეჟკოვსკის უნდა მინიჭებოდა. სხვათაშორის, ასეთი იყო მარინა ცვეტაევას აზრი. ამავე დროს, ბევრმა მეცნიერმა და ბელეტრისტმა მიიჩნია, რომ ნობელის პრემიის ყველაზე ღირსეული კანდიდატი იყო დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე, რომ მისი „ჩაკლული სული" აღემატებოდა ბუნინის „არსენიევის ცხოვრებას".

ერთი სიტყვით, ნობელის პრემიების მინიჭება იწვევდა და იწვევს აზრთა დიდ სხვადასხვაობას და ეს სრულიად ბუნებრივიც არის, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ნობელის კომიტეტმა თავისი თითქოსდა ყველაზე კურიოზული გადაწყვეტილება მიიღო და პრემია 85 წლის გერმანელ მეცნიერ თეოდორ მომზენს მიაკუთვნა, ეს არავის გაკვირვებია. საკამათო გარეგნულად ბევრი რამ იყო: მომზენს — გამოჩენილ ფილოლოგს, იურისტს, ნუმიზმატს, ეპიგრაფისტს, თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დიდ ისტორიკოსს, ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ, მხატვრული ნაწარმოები არასოდეს დაუწერია (ჩვენ არ ვგულისხმობთ მისი სიყმაწვილის პერიოდის ლექსებს, რომლებიც არ გამოქვეყნებულა). ეს ასეა, მაგრამ ნობელის კომიტეტმა, რომლის გადაწყვეტილებასაც ერთსულოვანი მოწონება ხვდა, პრემია მიანიჭა მომზენის „რომის ისტორიას" უპირველეს ყოვლისა, უზარმაზარი მხატვრული ღირსებებისათვის, ყველა დანარჩენზე რომ აღარ ვილაპარაკოთ.

თეოდორ მომზენმა ევროპულ ისტორიოგრაფიაში მთელი ეპოქა შექმნა. შეიძლება თანამედროვე მკითხველს გაუკვირდეს, მაგრამ გერმანელ მეცნიერს ეკუთვნის 1513 ნაშრომი (მათ რიცხვში არაერთი უზარმაზარი ტომი), რომელთა ჩამოთვლასაც 154 გვერდი(!) სჭირდება. ბენ ჯონსონს მიაწერენ ასეთ გამოთქმას: „მე მაინცდამაინც დიდ პატივს არა ვცემ ადამიანებს, რომელთაც მეტი წიგნი აქვთ დაწერილი, ვიდრე... წაკითხული". ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება მომზენს, პირდაპირ საარაკო ერუდიციის ადამიანს.

მომზენმა დიდი და საკმაოდ მღელვარე ცხოვრება განვლო. იგი დაიბადა 1817 წლის 30 ნოემბერს შლეზვიგში, პასტორის ოჯახში. შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარე დანიისა და გერმანიის დიდი დავის საგანი იყო, გამძაფრებული პოლიტიკური სიტუაცია არავის ტოვებდა გულგრილს. ამით უნდა აიხსნას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მომზენის დიდი დაინტერესება პოლიტიკით, რომელიც შემდეგ მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო გახდა. იგი სწავლობდა ალტონის სკოლა „ხრისტიანეუმში", 1838-43 წლებში კი — კილის უნივერსიტეტში. თავდაპირველად მომზენი ძირითადად რომაული სამართლის პრობლემებით იყო დაინტერესებული და მისი სადოქტორო დისერტაციაც „ლათინური გამოკვლევა რომაული ასოციაციების შესახებ" ამის ნაყოფი იყო.

ახალგაზრდა მომზენმა განიცადა ისეთი ცნობილი გერმანელი მეცნიერების გავლენა, როგორიც იყვნენ რანკე, შლოსერი, ბ. ნიბური და დროიზენი. ფრიდრიხ კრისტოფ შლოსერი, მსოფლიო ისტორიისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი წიგნების ავტორი, ამავე დროს მხატვრული სიტყვის ოსტატიც იყო. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ ოხუნჯს, რომლებიც ამბობდნენ, თითქოს იგი წერდა, როგორც „შლოსერი" (გერმ. „ზეინკალი"). სხვათაშორის, შემდეგ მომზენმა შლოსერს არაჩვეულებრივი პროდუქტიულობითაც მიბაძა. თუ ჰაიდელბერგელი პროფესორის წიგნებს მომზენი გულდასმით გაეცნო, დროიზენის ლექციები მომზენმა კილის უნივერსიტეტში უშუალოდ მოისმინა და მისი შემწეობით შეისწავლა ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი. უცნაური ბედის მეცნიერი იყო მომზენის ეს მასწავლებელი, იოჰან გუსტავ დროიზენი. ვიღას ახსოვს დღეს მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები პრუსიის ისტორიაში, რომელსაც იგი ამდენ დროს უთმობდა, ხოლო სამტომიან „ელინიზმის ისტორიას", დროიზენი რომ თავისთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა, დღემდე ვერავინ უვლის გვერდს.

როგორც თავიდანვე მიიჩნიეს, მომზენს, უაღრესად ნიჭიერ და მუყაით ახალგაზრდას, დიდი სამეცნიერო მომავალი ჰქონდა. ამიტომ მას სპეციალური სტიპენდია დაენიშნა, რათა ყოველგვარი მატერიალური დაბრკოლებების გარეშე საფრანგეთსა და იტალიაში გაეგრძელებინა ცოდნის სრულყოფა. მომზენის ზოგი გერმანელი ბიოგრაფი გაკვრით აღნიშნავს ამ ფაქტს და არ წერს, ვის მიერ იყო მიცემული ეს სტიპენდია. სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ მას „დანიის სამეფო სტიპენდია" ერქვა.

მომზენმა სამეცნიერო მივლინებაში ოთხი წელი გაატარა. მისი ცხოვრების ეს პერიოდი აღწერილი აქვს ვიკერტს ორტომეულში, რომელსაც „მოგზაურობის წლები" (მაინის ფრანკფურტი, 1964 წელი) ჰქვია. პარიზში მომზენს, სხვადასხვა მეცნიერთან ერთად, ფრანგ სოციალისტებთანაც ჰქონია ურთიერთობა. აქ იგრძნო, რა მიზნები უნდა დაესახა, როგორც ისტორიკოსსა და პოლიტიკოსს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულ რამდენიმე ხნის შემდეგ საფრანგეთში დამყარებულ პოლიტიკურ რეჟიმს, ნაპოლეონ III-ის იმპერიას, მომზენი გერმანელი ხალხის სანუკვარი ოცნების, გაერთიანების მთავარ მოწინააღმდეგედ თვლიდა და ყოველთვის გააფთრებით ებრძოდა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ახალგაზრდა მეცნიერის ყოფნა იტალიაში. იგი ახლოს გაეცნო ქვეყანას, მის აურაცხელ არქეოლოგიურ საგანძურს. შემთხვევით როდი ითვლებოდა აპენინის ნახევარკუნძული უზარმაზარ „არქეოლოგიურ მუზეუმად". ყოველივე ამას დაემატა პირადი კონტაქტებიც გამოჩენილ იტალიელ მეცნიერებთან. ერთ-ერთი მათგანის, ცნობილ ეპიგრაფისტ ბორგეზის გავლენით მომზენი დაინტერესდა ლათინური წარწერებით და შედარებით მოკლე ხანში 7 ათასი ასეთი წარწერა მოაგროვა და ყოველმხრივ შეისწავლა.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ მომზენი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ერთხანს ალტონაში მუშაობდა. 1848 წლის რევოლუციის დროს დემოკრატიული ძალების მხარეზე გამოვიდა, რედაქტორობდა მემარცხენე ორიენტაციის „შლეზვიგ-ჰოლშტაინიშე ცაიტუნგს", ილაშქრებდა აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. მეცნიერის იდეალი გაერთიანებული და დემოკრატიული (დემოკრატიული მონარქია!) გერმანია იყო. 1848 წლის შემოდგომაზე მომზენი მიიწვიეს ლაიფციგის უნივერსიტეტში რომაული სამართლის პროფესორად. ამ განთქმულ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობისას იგი მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად არც პოლიტიკას ივიწყებს, საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროს მომზენმა გამოაქვეყნა 150 პოლიტიკური შინაარსის წერილი. 1849 წლის მაისში რევოლუციურმა გამოსვლებმა დრეზდენში, ცხადია, ლაიფციგამდეც მიაღწია. მომზენს, გერმანიის დემოკრატიულ-ლიბერალური კავშირის წევრს, უნივერსიტეტის რეაქციულ ხელმძღვანელობასთან დიდი კონფლიქტი მოუვიდა. საქსონიის ხელისუფლებამ იგი „არეულობაში მონაწილეობისათვის" პასუხისგებაში მისცა, 9 თვით პატიმრობაც ემუქრებოდა, მაგრამ რადგან პირდაპირ ვერაფერი დაუმტკიცეს, იმით მაინც დასაჯეს, რომ ორ მეგობარ პროფესორთან, მორიც ჰაუპტსა და ოტო იანთან ერთად უნივერსიტეტი დაატოვებინეს. ეს ის დრო იყო, როცა მეცნიერი „ვაიდმანის გამომცემლობის" შეკვეთით რომის ისტორიის ორტომეულზე მუშაობდა. მომზენი შვეიცარიაში გადასახლდა, სადაც ორი წლის განმავლობაში ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, რომაული სამართლის კურსს კითხულობდა, 1854 წლიდან კი ბრესლაუს უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

1858 წლიდან იწყება მომზენის, როგორც მეცნიერის, მოღვაწეობის მეტად ნაყოფიერი პერიოდი. ამ წელს იგი ბერლინის უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც მალე სპეციალურად გაუხსნეს კიდეც რომის ისტორიის კათედრა (ერთხანს, 70-იან წლებში მომზენი უნივერსიტეტის რექტორიც გახდა). რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე აღიარებული მკვლევარი პრუსიის აკადემიის წევრადაც აირჩიეს. იგი უნივერსიტეტის სპეცსემინარში ამეცადინებდა შემდგომში არაერთ ცნობილ მეცნიერს — ჰანს დესაუს, ჰერმან შილერს, იტალიელ ეტორე პაისს, ულრიხ ვილკენს. სხვათაშორის, შემდეგში ვილკენი იმავე ბერლინის უნივერსიტეტში ასწავლიდა ჩვენს დიდ მეცნიერს დიმიტრი უზნაძეს, რომელიც თავის მეორე სპეციალობად სწორედ რომის ისტორიას თვლიდა და ამ დარგში ნაშრომებიც ჰქონდა. გასაგებია, რომ ამ პერიოდისათვის ბერლინის (და, საერთოდ, ყველა გერმანულ) უნივერსიტეტში მომზენის ნამდვილი კულტი იყო და ვილკენიც თავის საყვარელ მასწავლებელს ყოველთვის იხსენიებდა.

ხანგრძლივ ხეტიალს სხვადასხვა უნივერსიტეტში ახალგაზრდა მომზენისათვის ხელი არ შეუშლია არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა შეექმნა. 1850 წელს მან ლაიფციგში გამოაქვეყნა მონოგრაფია ქვემოიტალიურ დიალექტებზე. ერთი წლის შემდეგ დაიბეჭდა საინტერესო გამოკვლევა იმპერიის ხანაში რომაული ფულის შესახებ. 1852 წელს მეცნიერმა დაიწყო იტალიაში შეგროვილი ლათინური წარწერების გამოქვეყნება, სულ მცირე ხნის შემდეგ კი დაიბეჭდა შვეიცარიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლათინური წარწერების კრებული. 1857 წელს გამოიცა კიდევ ერთი საყურადღებო გამოკვლევა ცეზარისა და სენატის ბრძოლის იურიდიული მხარის შესახებ, 1858 წელს კი ნაშრომი რომაულ ქრონოლოგიაზე. ერთი სიტყვით, ერთმანეთს ცვლიდა ფილოლოგი, ნუმიზმატი, ეპიგრაფისტი, იურისტი...

როცა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ განიზრახა გრანდიოზული გეგმის განხორციელება — ყველა შემონახული ლათინური წარწერის გამოქვეყნება, ამ საქმეს მომზენზე უკეთეს ხელმძღვანელს ვერსად მოუძებნიდა. მომზენს, რა თქმა უნდა, თანაშემწეებიც ჰყავდა, მაგრამ ძირითად სამუშაოს მაინც თვითონ ასრულებდა. იგი სწავლობდა ყოველ წარწერას, ერთმანეთთან შეაჯერებდა, ეძებდა ახლებს. თუ არა ამნაირი უნიკალური ერუდიციის სწავლული, ასეთ უძნელეს ამოცანას სხვა ვერავინ გადაწყვეტდა. მომზენმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომის ეს ყოფილი უზარმაზარი იმპერია (რომლის მოსახლეობა, ახ. წ. პირველ-მეორე საუკუნეებში, ედუარდ გიბონის ვარაუდით, დაახლოებით 140 მილიონს შეადგენდა) ხელახლა „გაანაწილა პროვინციებად", თვითეულ ამ „პროვინციაში" თავისი „ლეგატები" — თანამშრომლები მიავლინა, რომელთაც საგულდაგულოდ უნდა შეესწავლათ ყველა არსებული წიგნთსაცავი. ასეთი უმაგალითო მასშტაბის მუშაობის შედეგად, მომზენმა უკვე 1863 წელს გამოაქვეყნა ლათინური წარწერების პირველი ტომი. მეორე ტომიდან მოყოლებული, გათვალისწინებული იქნა გეოგრაფიული პრინციპი. 15 ტომიდან დაახლოებით ნახევარი უშუალოდ მომზენმა გამოსცა, მანვე საგანგებოდ შეამოწმა ყველა დანარჩენი. ეს უზარმაზარი, უპრეცედენტო პუბლიკაცია დიდი გერმანელი მეცნიერის საშვილიშვილო დამსახურება იყო რომის ისტორიის შესწავლის საქმეში. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ რაიმე „ჯებირი" ძველ თუ ახალ ევროპულ ენებში მომზენისათვის არ არსებობდა. როცა ჰუგო ვინკლერზე წერდნენ, რომ მას შეეძლო რომელიმე აქადური წარწერა ყოველგვარი ლექსიკონის გარეშე ლათინურად ეთარგმნა, ან პირიქით, ლათინური-აქადურად, ასეთ სამუშაოს არაერთ ენაზე მომზენიც იოლად ასრულებდა.

პარალელურად, მომზენი განაგრძობდა ინტენსიურ მუშაობას, როგორც მეცნიერი-იურისტი. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მეტად დიდი მოცულობის (აღემატება ოთხი დიდი ტომისაგან შემდგარ „რომის ისტორიას"), სამტომიანი „რომის სახელმწიფო სამართალი" (1871-87), რომელსაც უკვე ღრმად მოხუცებულმა მკვლევარმა (მომზენი გარდაიცვალა 1903 წლის 1 ნოემბერს, ბერლინ-შარლოტენბურგში, 86 წლის ასაკში) 1899 წელს დაუმატა „რომაული სისხლის სამართალი" და „სამართლის საკითხები ცეზარისა და სენატის ურთიერთობაში". რა თქმა უნდა, რომის კონსტიტუციის სხვადასხვა საკითხს მომზენამდე ბევრი მეცნიერი შეეხო, მაგრამ ასეთი ამომწურავი მიმოხილვა რომისა და მის ხელქვეით მყოფ ქვეყნებისა და ტერიტორიების შესახებ არავის დაუწერია. მომზენი დაწვრილებით განიხილავს მაგისტრატურის, მოქალაქეობისა და სენატის ინსტიტუტებს და ძირითად ყურადღებას მაინც მაგისტრატურებს უთმობს, რომელსაც ამ გოლიათური სახელმწიფოს შინაგანად შემაკავშირებელ თუ შემადუღაბებელ სისტემად თვლის. მომზენი მიიჩნევდა, რომ მას შემდეგ, რაც რომის კონსტიტუცია ძირითადად ჩამოყალიბდა, ყველა შემდგომ ცვლილებას მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რომის იმპერიას ამ მხრივ დიდი ცვლილებები არ მოუხდენია და ისევ გვიანრესპუბლიკურ სტრუქტურებს ეყრდნობოდა.

დავასახელოთ დიდი მეცნიერის ზოგიერთი სხვა ნაშრომიც. მან გამოსცა და ფრიად საყურადღებო კომენტარი დაურთო ავგუსტუსის პოლიტიკურ „ანდერძს", დაწერა რომაული ფულის ისტორია, გამოსცა კასიოდორის ქრონიკა, გამოაქვეყნა რომის ისტორიის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევების ორტომეული (რომელიც შემდეგ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მეცნიერებმა „მრავალტომეულებად აქციეს") და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ ასწრებდა იგი ყოველივე ამას, მაგრამ ასეთი დონისა და ნიჭის მეცნიერისათვის „კანონები არ იწერება".

კაცმა რომ მომზენის ნაშრომების სიას გადაავლოს თვალი, შეიძლება იფიქროს, რომ იგი დღედაღამე სხვადასხვა დოკუმენტებს სწავლობდა, დროის უმეტეს ნაწილს წიგნთსაცავებში ატარებდა, წერდა, კითხულობდა ლექციებს, ყველაფერს „რომაული თვალთახედვით" უყურებდა და ა. შ. მაგრამ როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ასე არასოდეს ყოფილა საქმე. ცხადია, ისტორია და პოლიტიკა ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ მომზენი მარტო თეორიულად არ ყოფილა პოლიტიკით დაინტერესებული, არამედ მასში უაღრესად აქტიურადაც მონაწილეობდა.

გერმანელი ერი გაერთიანებისაკენ მიისწრაფოდა. ისიც ცნობილი იყო, რომელი სახელმწიფო უნდა ჩადგომოდა ბრძოლას სათავეში. მომზენი, ისევე, როგორც ყველა გერმანელი, ამ მხრივ იმედს პრუსიაზე ამყარებდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ძალიან მოსწონდა მისი სახელმწიფო წყობილება. უბრალოდ, გარკვეულ მომენტამდე მომზენი კომპრომისზე მიდიოდა. მან შექმნა „იდეალური სახელმწიფოს" თავისებური „მოდელი" და მისი მსგავსი სწორედ ძველ რომში დაინახა.

1863 წლიდან მოყოლებული, მომზენი პრუსიის ლანდტაგის (პარლამენტის) წევრია. მის მუშაობაში მეცნიერი, ერთგვარი შესვენებებით, 1878 წლამდე მონაწილეობდა, 1878 წლიდან კი რაიხსტაგის (საერთო გერმანული პარლამენტი) დეპუტატი იყო. იგი ჯერ გერმანიის ნაციონალ-ლიბერალური პარტიის წევრი გახდა, შემდეგ კი „გერმანელ თავისუფლადმოაზროვნეთა" პარტიისა. 1870 წელს საფრანგეთთან ომის დროს მომზენმა გამოიყენა ის უდიდესი პოპულარობა, რომელიც იტალიაში ჰქონდა და შეეცადა იქაური საზოგადოებრივი აზრი ნაპოლეონ III-ის წინააღმდეგ განეწყო. რა თქმა უნდა, წონასწორობიდან გამოსვლით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მომზენმა მოაწერა ხელი გერმანული ინტელიგენციის ერთი ნაწილის წერილს, სადაც წამოყენებული იყო... პარიზის დაბომბვის მოთხოვნა! ამ წერილმა განთქმულ მეცნიერს „ნაციონალისტის" სახელი „შესძინა". პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მომზენს გაახსენებდნენ ხოლმე ასეთ ამბავსაც: 1897 წელს, როცა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში ერთხელ კიდევ გამწვავდა „სლავური საკითხი", 80 წლის ისტორიკოსმა ვენის „ნოიე ფრაიე პრესე"-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც წერდა: „თუკი ჩეხის თავისთვის ლოგიკა მიუწვდომელია, ერთი კარგი დარტყმისთვის ხომ ეს თავი იოლად მისაწვდომიაო".

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ერთ პრინციპულ საკითხში — ანტისემიტიზმის მიმართ დამოკიდებულებაში დიდმა მეცნიერმა

(დასასრული მე-14 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ღირსეული პოზიცია დაიკავა როგორც ცნობილია, ანტისემიტიზმის საკითხი გერმანიაში საუკუნეების განმავლობაში დროდადრო ძალზე გამწვავდებოდა ხოლმე, ისიც ცნობილია, რომ გერმანელ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ანტისემიტიზმის ხენით იყო დაავადებული. ჰუგო ვინკლერს თურქეთში გათხრების საწარმოებლად საჭირო თანხის დიდი ნაწილი ებრაელმა ბანკირებმა შეუგროვეს. ვინკლერმა ფულის ყველა შემომწირავს გულითადი მადლობა გადაუხადა, გარდა... ებრაელებისა, რომელთაც დემონსტრაციულად... ხელიც კი არ ჩამოართვა. ეს, მართალია, XX ს. დასაწყისში მოხდა, მაგრამ უფრო ადრე, როცა ბერლინის უნივერსიტეტში ისტორიკოსმა ჰაინრიხ ფონ ტრეიჩკემ ანტისემიტურად განწყობილი პროფესორების ჯგუფი ჩამოაყალიბა და მომზენის თანაგრძნობის იმედი ჰქონდა, დიდი მეცნიერი მას მკვეთრად გაემიჯნა. მომზენმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც აცხადებდა, რომ ამაყობს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის წოდებით, ჩინებულად იცის, რაც მოეთხოვება და რჩევას აძლევს ტრეიჩკეს, იგივე გააკეთოს, არ ჩაიდინოს ულირსი საქციელი.

რაც დრო გადიოდა, იზრდებოდა მომზენის პოლიტიკური აქტივობაც. აი, რა განაცხადა მან: „მე რომ სამნიტური შტუდიების გამო თუნდაც ერთი დღით დავივიწყო ჩემი გერმანული სამშობლო, მაშინ თავს ამ დიად დროში ცხოვრების ღირსადაც კი არ ჩავთვლიდი". თუ საფრანგეთთან ომის დროს მომზენი და მისი პარტია უყოყმანოდ უჭერდნენ მხარს კანცლერ ბისმარკს, შემდეგ მათ შორის დიდი უთანხმოება დაიწყო. რეაქციული რეჟიმი მომზენის უკმაყოფილებას, აშკარა პროტესტსაც კი იწვევდა. იგი არაერთხელ გამოსულა რაიხსტაგში ბისმარკის პოლიტიკის კრიტიკით, რასაც „რკინის კანცლერის" გაავებული პასუხებიც მოჰყვა. ბისმარკს მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ერთადერთ ღირსეულ მეტოქედ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლორდი ბიკონსფილდი (ცნობილი მწერალი ბენჯამინ დიზრაელი) მიაჩნდა. ცნობილია მისი გამოთქმა: „ბებერი ებრაელი! აი, ვინ არის კაცი!" რაც შეეხება კრიტიკას „მარცხნიდან" საშინაო პოლიტიკაში, ამას ბისმარკი სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. 1882 წლის 24 იანვარს, რაიხსტაგში გამოსვლისას კანცლერმა მომზენზე საკმაოდ ენამწარედ თქვა, რომ მას არ უნდა ედავებოდეს კაცი, რომლის ინტერესები ჩვენი დროიდან 2000 წლით არის დაშორებული! როგორც ყველა სხვა დაწესებულებას, რაიხსტაგსაც ჰქონდა თავისი „ფოლკლორი". და აი, სხვადასხვა სოციალისტური ორიენტაციის ორატორებთან კამათისას „რკინის კანცლერს", თითქოს უთქვამს: „რა არის საჭირო სოციალიზმის ასაშენებლად?! უპირველეს ყოვლისა, ისეთი ქვეყნისა და ხალხის გამონახვა, რომელიც არ გვეცოდება!" შემდეგში ასეთი ქვეყნები და ხალხები, იცოცხლეთ, მრავლად გამოინახა და ხელი ნაწილობრივ ბისმარკის გერმანიასაც მისწვდა!

მომზენის ინტერესები ბისმარკის დროიდან რომ 2000 წლით არ იყო დაშორებული, ეს მეცნიერმა თუნდაც თავისი „რომის ისტორიით" დაამტკიცა, რადგან ეს გახმაურებული ნაშრომი, მართალია, არაპირდაპირ, მისი თანამედროვე გერმანიის საჭირბოროტო საკითხებსაც ეხება. აქ მომზენი შეეცადა შეექმნა ქვეყნის პოლიტიკური „მოდელი", რომელიც იდეალურად მიაჩნდა. ასეთი უნდა ყოფილიყო გერმანია, როცა იგი ერთიანი და ძლიერი გახდებოდა.

ავტორს „რომის ისტორია" ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც მრავალტომეული. პირველი სამი ტომი, სადაც თხრობა მიყვანილი იყო ცეზარის სიკვდილამდე, გამოიცა ბრესლაუში 1854-56 წლებში. მეხუთე ტომი, რომელიც რომის პროვინციებს მიეძღვნა, მხოლოდ 1885 წელს დაიბეჭდა და თანაც ისე, რომ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდა ავტორის ადრინდელ ჩანაფიქრთან. მეოთხე? სხვადასხვა წიგნში მის შესახებ სულ სხვადასხვანაირ ცნობებს შევხვდებით. ზოგან შეიძლება წაიკითხოთ, რომ მეოთხე ტომი საერთოდ არ გამოცემულა. არის სხვა აზრიც, რომელიც მეოთხე ტომად მიიჩნევს მომზენის ერთ მომცრო ნარკვევს, რომელიც ქრონოლოგიურად მესამეს აგრძელებს. თუ სწორად ჩავთვლით იმ აზრს, რომ მომზენის „რომის ისტორია" ერთდროულად არის XIX ს. 50-იანი წლების გერმანული ბურჟუაზიის გრანდიოზული პოლიტიკური მანიფესტი, რომ ავტორი რომის ისტორიაში ხედავდა იმას, რისი ნახვაც შემდეგ გერმანულ სინამდვილეში სურდა — ე. წ. დემოკრატიულ (სინამდვილეში არარსებულ) მონარქიას, მაშინ შეიძლება გასაგებიც გახდეს, რატომ აიღო მომზენმა ხელი პირვანდელ გეგმაზე და მესამე ტომიდან პირდაპირ მეხუთეზე „გადახტა". თუ პირველი სამი ტომი იმ მიზნით არის დაწერილი, რომ ავტორს დაემტკიცებინა ცეზარის „დემოკრატიული მონარქიის" დამყარების აუცილებლობა და მისი დიდი სიკეთე, შემდეგში მომზენის ოცნებებს განხორციელება არ ეწერა. ბისმარკის მიერ შექმნილი სახელმწიფო მომზენისა და მისი მომხრეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, მომზენმა შორეულ წარსულში გადაიტანა ის, რისი დანახვაც გერმანიაში სურდა და როცა სინამდვილე სულ სხვაგვარი გამოდგა, მაშინ ხელი აიღო თავისი „ისტორიის" თავდაპირველი სახით გაგრძელებაზე.

ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი არმან იენე, რომელსაც ეკუთვნის ერთ-ერთი უახლოესი, 1987 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი დიდი ისტორიკოსის შესახებ, სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ „რომის ისტორიის" წერის დროს მომზენი სამ რამეს ემყარებოდა. პირველი გახლდათ ანტიკური წყაროები, რომლის შეუდარებელი მცოდნე თვითონ იყო, მეორე — მომზენის საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება, მისი შეხედულებები რეალურად არსებული თუ „წარმოდგენილი" რომის სახელმწიფოს შესახებ, მესამე კი ჰეგელის ისტორიულ-ფილოსოფიური „თეორემები".

მომზენი ძირითად ყურადღებას რომის პოლიტიკურ ისტორიას უთმობს, მაგრამ ამასთანავე თვითეული ნაწილის ბოლოს ავტორი განიხილავს სოციალურ-ეკონომიკურ, იურიდიულ, რელიგიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებსაც.

რომის მთელ ისტორიას ცეზარამდე მომზენი დემოკრატიული მონარქიის მომზადებად თვლის. მისი აზრით, ძმები გრაქხუსები ცეზარის უშუალო წინამორბედები არიან. საინტერესოა, რომ ავტორი ძმებს გრაქხუსებს, როგორც რეფორმატორებს, სულაზე მაღლა აყენებს. სულა ისტორიკოსის დადებით შეფასებას იმსახურებს, მაგრამ აღნიშნულია, რომ მისი „სახელმწიფო დაწესებულებები არ არის ისეთივე პოლიტიკური გენიალობის პროდუქტი, როგორიც გრაქხუსისა (მომზენი გულისხმობს უმცროს ძმას — გაიუსს) და ცეზარისა.

ყველაზე უფრო ნიჭიერ და ნათელ პიროვნებად ცეზარამდე რომის ისტორიაში მომზენს სერტორიუსი მიაჩნია, რომელსაც, რომ დასცლოდა, ახევე შეეძლო შეესრულებინა სამშობლოს მხსნელის როლი.

როგორც მომზენი თვლიდა, რომაული არისტოკრატია სრულიად გაიხრწნა, სენატი — სახელმწიფოს მმართველი, კორუფციამ მოიცვა და მას აღარ შეეძლო სადავეების შენარჩუნება, სახელმწიფო განადგურების პირას იყო მიყვანილი. ასეთ პირობებში რომის ხსნა მხოლოდ ერთ პიროვნებას — გაიუს იულიუს ცეზარს შეეძლო და მან ეს გააკეთა კიდეც.

ცეზარის ასეთი განდიდება თავისთავად იყო დაკავშირებული მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მკაცრ კრიტიკასთან. განსაკუთრებით არ მოსწონს მომზენს გნეუს პომპეუსი, რომელსაც ანტიკური ტრადიცია, პირიქით, ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს. მომზენი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ პომპეუსმა დიდი სახელი შეინარჩუნა რომის იმპერიის ხანაშიც კი, როცა სახელმწიფოს ცეზარის უშუალო მემკვიდრეები (თუ პირდაპირი ნათესავები არა) განაგებდნენ. აი რას წერს მომზენი პიროვნებაზე, რომელიც გარკვეულ მომენტამდე უძლეველ სარდლად ითვლებოდა და რომელსაც სულამ ახალგაზრდობაში „დიდი" უწოდა: „იგი არც ბოროტი იყო, არც უუნარო, არამედ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც კარგი ვახტმისტრი (ათისთავი) უნდა ყოფილიყო, მაგრამ გარემოებამ მხედართმთავრად და სახელმწიფო მოღვაწედ აქცია". გავიდა სულ რამდენიმე წელი და მარქსმა მომზენზე დაყრდნობით პომპეუსი ზუსტად ასეთნაირადვე დაახასიათა. დღევანდელი ისტორიოგრაფია სხვანაირად ფიქრობს. მომზენი ძალიან ამცირებს ისეთ ცნობილ მოღვაწესაც, როგორიც იყო მარკუს პორციუს კატონი (უმცროსი). მისი აზრით, კატონი მხოლოდ უმნიშვნელო „სახელმწიფო კონტროლიორად" თუ გამოდგებოდა.

მომზენი დიდ ყურადღებას უთმობს გამოჩენილ კართაგენელ მხედართმთავარ ჰანიბალს. ამას იგი, ისტორიკოსების აზრით, განზრახ აკეთებს, რადგან ჰანიბალი კართაგენელ ცეზარად მიიჩნია. საინტერესოა, რომ კართაგენის მმართველ ოლიგარქებს (ჰანიბალის მტრებს) მომზენი, ისევე, როგორც რომაული ნობილიტეტის წარმომადგენლებს, აშკარად უარყოფითად ახასიათებს, მაგრამ გენიალური ჰანიბალისადმი თანაგრძნობა მკითხველს კართაგენის გულშემატკივრად ხდის. ეს მაშინ, როცა რომი და კართაგენი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ერთნაირი მტაცებლები იყვნენ. საერთოდ, მომზენის ზემოქმედების ძალა მკითხველზე ძალიან დიდია.

დრო გადის, მომზენის წიგნები კი კვლავ მთელ მსოფლიოში გამოდის. ერთი რამ მაინც უნდა ვთქვათ. საბჭოთა ისტორიოგრაფია მას მაინცდამაინც არ სწყალობდა. მასზე პირდაპირ გასაოცარი მედიდურობით წერდნენ, რის მქონენი და რის პატრონები! „გლახა ამპარტავანი" გაგონდება პირდაპირ, მომზენზე დაწერილ რომელიმე კრიტიკულ გამოხმაურებას რომ ეცნობი. მარქსისტულ „პროკრუსტეს სარეცელზე" მიკრულმა პროფესორმა სერგეი კოვალიოვმა განა არ იცოდა, რომ „იგნორირება არგუმენტი როდია". (ძველი რომაელების ჩინებული გამოთქმა). აი, რას წერდა კოვალიოვი მომზენისადმი მიძღვნილ ნარკვევში: „ისტორიკოსის უდიდესი ხელოვნება გახლავთ წარსული ისე გიყვარდეს და გძულდეს, როგორიც იგი სინამდვილეში იყო. მაგრამ ამისათვის ძალზე ბევრი რამ არის საჭირო, უწინარეს ყოვლისა კი ფართო თვალთახედვა, საკუთარი და საკუთარი კლასის საქმის სიმართლის აბსოლუტური რწმენა. ეს კი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმით, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებით შეიარაღებულ ისტორიკოსებს". უცნაურია, ღმერთმანი! მომზენს „ურჩევდნენ" რომის ისტორია იმ ადამიანებისაგან „ესწავლა", რომელთაც თვით ასწავლიდა რომის ისტორიას!

თუ ახალგაზრდა მომზენი კილის უნივერსიტეტმა ფრიად გულუხვად დააჯილდოვა და 4 წლით საფრანგეთში და იტალიაში სასწავლებლად გაგზავნა, მოხდა ისე, რომ ავადსახსენებელ 30-იან წლებში ძველი ისტორიის ჩვენი ცნობილი სპეციალისტი, პროფ. ალექსანდრე წერეთელი სულ სხვა მხარეს გაამგზავრეს და თანაც მთელი 20 წლით („მივლინებაც" ამას ჰქვია)! და როცა საქართველოს, თავის მშობლიურ გარემოს მონატრებული ბატონი ალექსანდრე უნივერსიტეტს დაუბრუნდა, იმ სტუდენტების ახლოს გაცნობა მოინდომა, რომლებიც ძველ ისტორიას სწავლობდნენ. პროფ. წერეთლის ერთ-ერთი კითხვა ხშირად ასეთი იყო: „წაგიკითხავთ მომზენი?" ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ ურჩევდნენ თვით ბატონ ალექსანდრეს მისი სტუდენტობის წლებში პროფესორები ბუზესკული და ნეტუშილი მომზენის გამოკვლევების შესწავლას, რაც სრულიად აუცილებელია ყოველი ისტორიკოსისათვის.

მინდა დავამთავრო ჩვენი ცნობილი სწავლულის, ფართო პროფილის მეცნიერის, პროფ. გიორგი გოზალიშვილის სიტყვებით: „ისტორიკოსის გენიოსად მოხსენიება მაინცდამაინც მიღებული არ არის. არ ვიცი, გეთაყვა, რატომ. მაშ ვინღა იყვნენ თუკიდიდე, მომზენი, ივანე ჯავახიშვილი!"

# თანამედროვეების პრესიდან

## რომის პაპი და თეატრი

კაროლ ვოიტილა — კათოლიკური ეკლესიის მეთაური, პაპი იოანე პავლე II მარტო იმით კი არაა საყურადღებო პიროვნება, რომ იგი ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე პირველი არაიტალიელი ხელმძღვანელია ვატიკანისა, არამედ იმითაც, რომ სერიოზულ სამწერლო საქმესაც მისდევს. იგი გატაცებულია თეატრით, დაწერილი აქვს რამდენიმე საინტერესო პიესა ბიბლიურ თემებზე: „დავითი", „იობი", „იოსები", აგრეთვე „ძმა ღვთისა", „მამობის ბრწყინვალება".

ახლახანს კი ჟურნალმა „ტეატრ" გამოაქვეყნა მისი 1960 წელს დაწერილი პიესა „ოქრომჭედლის ფარდულთან". კაროლ ვოიტილა „შინაგანი თეატრის" ესთეტიკური პრინციპების დამცველია.

პიესა „ოქრომჭედლის ფარდულთან" არის, როგორც თვითონ ავტორი წერს, „ფიქრები ქორწინების საიდუმლოებაზე, ქორწინებაზე, რომელიც ზოგჯერ დრამაში გადაიზრდება ხოლმე".

პიესის სამ ნაწილში ერთმანეთსაა შედარებული ცოლქმართა სამი წყვილის ცხოვრება. ისინი სხვადასხვა დროში ცხოვრობენ და ერთმანეთს იშვიათად ხვდებიან.

პიესის პირველ ნაწილში ქორწინდებიან ტერესა და ანჟეი, მეორეში კი მოთხრობილია სტეფანისა და ანას არამყარ ცოლქმრობაზე. სტეფანის უყურადღებობით შეურაცხყოფილი ანა გადაწყვეტს უღალატოს ქმარს და გაყიდოს საქორწინო ბეჭედიც, რაზეც ოქრომჭედელი უარს ეუბნება. მესამე მოქმედებაში ამ ორი წყვილის შვილები ქორწინდებიან, თუმცა არც მათი ურთიერთობაა ადვილი. მონიკას (ანას და სტეფანის შვილი) მძიმე ხასიათი აქვს, ადვილად ღიზიანდება. კშიშტოფს (ტერეზასა და ანჟეის შვილს), რომელიც მამის ომში დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე დაიბადება, ზრდის ადამი, მამის მეგობარი. სწორედ ეს ადამი აღმოჩნდება ის უცნობი, რომელიც ანას იხსნის ღალატისაგან. ადამი მიმართავს პიესის ყველა პერსონაჟს, დაფიქრდნენ თავიანთი ცხოვრების აზრსა და ურთიერთობებზე.

მოწმე, მრჩეველი, „ორატორი და მსაჯული" აი, თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს მოძღვარს, სულიერ მამას.

ვოიტილა-დრამატურგს არავისთვის მიუბაძავს, ისე, დამოუკიდებლად გამოიმუშავა თავისი შეხედულება ადამიანური ყოფის დრამაზე, ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ადამიანის ადგილზე.

## მეგობარი მეგრე

ჟორჟ სიმენონმა, დეტექტური რომანების სახელმოხვეჭილმა ავტორმა თავის საყვარელ გმირს კომისარ მეგრეს 76 რომანი და 26 მოთხრობა მიუძღვნა. იგი საოცრად ნაყოფიერი მწერალი იყო. მისი ნაწერები 300 ტომამდე აღწევს. მუშაობის უცნაური წესი ჰქონია სიმენონს: მუშაობის წინ გულმოდგინედ გათლიდა ოცამდე ფანქარს (ის მხოლოდ ფანქრით მუშაობდა), ასევე წინასწარ იმარაგებდა თავისი კოლექციიდან აღებულ რამდენიმე ჩიბუხს (200 ჩიბუხი ჰქონია). ჩატენიდა სპეციალურად მისთვის მომზადებულ „დანჰილის" სურნელოვან თამბაქოს და იწყებდა შეუსვენებელ წერასა და წევას.

ამბობენ, იგი გაცილებით დიდ დროს ანდომებდა დაწერილი თავების გადაბეჭდვას, ვიდრე დაწერასო. დღეში 40 ფურცელს წერდა. სამი, მაქსიმუმ — თერთმეტი დღის განმავლობაში ასრულებდა რომანს.

კოლექციონერი იყო ბუნებით: ფანქრები, ჩიბუხები, ბინები (30 ბინა ჰქონია გამოცვლილი), სურათები, ქალები.

ჭეშმარიტად დაუშრეტელი ენერგიის მწერალი გატეხა უსაყვარლესი შვილის დი მარი-ჯოს ტრაგიკულმა სიკვდილმა (25 წლისამ თავი მოიკლა პისტოლეტით). 1978 წლის ამ დღიდან იგი განმარტოვდა და მწუხარებას გადაყვა. ჩვენ კი დაგვიტოვა კეთილი ხსოვნა და კარგი მეგობარი მეგრე, რომელიც ცოტათი ჰგავს თავად მის შემქმნელ ავტორს.

## აკრძალული „ფორთოხალი"

როგორც წესი, ბესტსელერი დიდხანს ვერ უძლებს დროის გამოცდას, მაგრამ არსებობენ გამონაკლისებიც და ისინი დიდხანს რჩებიან კულტურული ცხოვრების რუკაზე. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისთაგანი აღმოჩნდა ენტონი ბერჯესის რომანი „მექანიკური ფორთოხალი".

ავტორმა ახლახანს შექმნა ლიბრეტო მუსიკალური სპექტაკლისათვის „მექანიკური ფორთოხალი 2004 წელს", რომელიც შექსპირის სამეფო თეატრმა წარმოადგინა სცენაზე. სპექტაკლში მონაწილეობენ როკ-მუსიკის ცნობილი ოსტატები.

მართალია, ე. ბერჯესმა რომანის ზოგიერთი პასაჟი გაათანამედროვა, მაგრამ ძირითადი სიუჟეტური ხაზი მაინც უცვლელი დარჩა: ვანდალისტი ალექსი და მისი მეგობრები თავს ესხმიან ხალხს, აფუჭებენ ყველაფერს ირგვლივ, ბოლოს კი ჩაიდენენ მკვლელობას, მათ საქციელში ყველაზე მეტად ისაა უცნაური, რომ ნამოქმედარი არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. ისინი ყველაფერს აკეთებენ გართობისათვის. ე. ბერჯესს მიაჩნია, რომ აგრესიული იმპულსი თანდაყოლილი თვისებაა, მას ვერსად გაექცევი და იგი არაა სოციალური მოვლენა, ან დამახინჯებული აღზრდის შედეგი.

რომანის ავტორის გადაწყვეტილება, სცენაზე წარმოედგინა თავისი ნაწარმოები, იმითაც იყო გაპირობებული, რომ „მექანიკური ფორთოხლის" ეკრანული ვარიანტი მაყურებელმა ძალადობის აპოლოგიად მიიჩნია. არადა ალექსი, რომანის მიხედვით, აგრესიულობის ვირუსისაგან განიკურნება, აღნიშნული ფილმი ინგლისში დღესაც აკრძალულია.

ე. ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი" ქართულად ახლახანს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა" (მთარგმნელი გია ჭუმბურიძე).

# ნოდარ ნარსია

ეს-ეს არის ექვსი ათეული წლის ზღურბლზე გადმოაბიჯა. ბოლომდე ვერც შევძელით მისთვის ამ საიუბილეო თარიღის მილოცვა.

სარეცელს მიკრული თვეების მანძილზე ებრძოდა სიკვდილს. და აი, ჩამოჰკრა უკანასკნელი სადგურის ზარმა — გარდაიცვალა ნიჭიერი პოეტი, გულნათელი მოქალაქე და პატრიოტი ნოდარ ნარსია.

ნოდარ შალვას ძე ნარსია აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში დაიბადა. ამ სოფელშივე დაამთავრა საშუალო სკოლა და, უკვე რამდენიმე ლექსის ავტორმა, თბილისს მოაშურა სწავლის გასაგრძელებლად.

ნოდარ ნარსიას ლექსები პირველად 1952 წელს დაიბეჭდა პერიოდულ პრესაში. 1960 წელს გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოცემული ოთხი ახალგაზრდა პოეტის კრებულის „სიმღერის დაბადების" ერთ-ერთი ავტორი ნოდარ ნარსია იყო, ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი უკვე დამოუკიდებელი კრებულით წარსდგა მკითხველის წინაშე.

ახალგაზრდა პოეტმა პირველ ნაწარმოებებშივე გამოავლინა სწრაფვა პოეტური ფორმის სრულყოფისაკენ. მისი შემოქმედება იმთავითვე ხასიათდებოდა აზრის სიცხადით, ორიგინალური ჰვრეტით, განცდის უშუალობითა და გულწრფელობით.

„მზეს გამოჰყევი" — ასეთი იყო ნოდარ ნარსიას პირველი დამოუკიდებელი წიგნის სათაური. მზისა და მზით გალივლებული მშობლიური მთა-ბარის ფერები სჭარბობს ნოდარ ნარსიას პოეზიაში, რომლის ყოველი სტრიქონიც მშობლიური ქვეყნისა და ერის სიყვარულით სუნთქავს. და რაზეც არ უნდა დაეწერა, ის ყველგან რჩებოდა ფაქიზ ლირიკოსად. ამიტომაც არის, რომ ეს ნაწარმოებები გულით მიიღო მკითხველმა. ნოდარ ნარსია ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობით დარგშიც.

ნოდარ ნარსიას ლექსები თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, თურქმენულ, ლიტვურ და სხვა ენებზე.

ნოდარ ნარსია შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ხაზრქგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკასთან არსებულ ლიტერატურულ წრეს, მუშაობდა გაზეთ „სამგორის" ლიტერატურულ მუშაკად. იგი ოცდახუთ წელიწადს მსახურობდა გამომცემლობა „განათლების" რედაქტორად, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ერთგულად ემსახურებოდა ქართული წიგნის გამოცემის ეროვნულ საქმეს.

ნოდარ ნარსია თავის ერთ-ერთ ლექსში საქართველოს მიმართავდა: „ჩამჭიდე ხელი, გამამხნევე, გამახალისე, რომ ოცნება და იმედები შემრჩეს ხვალისა". და რა დასანანია, რომ მამულის სიყვარულით შთაგონებული პოეტი სწორედ მაშინ წავიდა ამ ქვეყნიდან, როცა განთავისუფლების გზაზე დამდგარმა საქართველომ ყველას ჩაგვჭიდა ხელი და ხვალის იმედებით აგვივსო გული...

წავიდა ამ ქვეყნიდან... წავიდა ნათელკვალდატოვებული...

მისი მოკრძალებული პოეტური სიტყვა მუდამ იხმაურებს დიდ ქართულ პოეზიაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო



# ტკივილიანი გაცილება

წავიდა ჩვენგან ერთი ალალმართალი მესიტყვე ქართული პოეზიისა ნოდარ ნარსია. ორი წელი საწოლს მიჯაჭვული ებრძოდა ულმობელ სენს, ამ დღეებში მეგობრებმა მცირე მილოცვა მოვამზადეთ, გვინდოდა 60 წლისთავი მიგველოცა, მაგრამ სიკვდილმა არ გაიმეტა ეს მცირე სიხარული მისთვის.

დიახ, სამოც წლისთავზე მოუსწრო მას ავბედითმა სიკვდილმა, ვერ იტყვით, რომ ეს სამოცი წელი უეკლოდ და სიხარულით ჰქონდა გავლილი, ეს წლები იყო ჩვენი ყოფის მრავალ გარდასახვათა წლები, რომლებიც თავისთავად, პოეტის შემოქმედებაზეც, ხასიათ-განწყობილებაზეც თავისებურ დაღს ტოვებდა.

ნოდარ ნარსია თავისი პოეზიით, პირველივე შთაბეჭდილებებიდან გამოიკვეთა, როგორც ქართულ სიტყვასა და ფრაზას დაუფლებული შემოქმედი. ბუნების მომადლებული ნიჭით მან იოლად გაიკვლია გზა მკითხველის გულისაკენ. ნაღდი, პირნათელი, ყოველგვარ ყალბ სახიობობას განრიდებული, პოეზიის ჭეშმარიტი მსახურის ერთგულებით ილვწოდა იგი. მის სტრიქონებში ვერ ნახავთ ყალბ ტონს, რაც არის, ყველაფერი ნაღდია, იგი რწმენით მიუყვებოდა ერთხელ არსებულ კლასიკურ ხაზს პოეზიისას.

ნოდარ ნარსიას შემოქმედება ალსავსეა სინათლით, სიმართლით, მაინც, ძირითადი ფონი მისი ლექსებისა მშობლიური სანახებისაგან აღძრული შთაბეჭდილებებით იკვეთებოდა.

„სიჭაბუკევ, ამოზავდი,
მომაშორე ყრმობის შიში,
მომაგონე ერთი ზამთრის
წყალდიდობა, ვაი-ვიში!
გამახსენდა, გამაყრუოლა,
შევაჭერე მთა და ბარი,
ზანას რამაც გამაშორა,
ვაი იმა წლების ბრალი.
ზანას მხრიდან მონაქროლი,
ზანას ხიო იგრძნო ქორმა,
მიჰქრის სიყმაწვილის ქორი,
ნეტამც ისევ გამაქროლა?!

ნოდარ ნარსიას პოეზიის ღირსებაა, რომ მის ლექსებს მშობლიური კუთხის მშვენიერება და მადლი დაჰყვება. ისინი ქართულის თავისებურ მაღლობს ჰქმნიან. დროდადრო ცოცხლდებიან სურათები, განცდები, გარდასული დღეები, სტრიქონებში იკვეთება დედის სახე, ომში დაჩეხილი, დახეიბრებული მამა, პოეტის დები, მისი სოფლის სიამაყე, ქართული მწერლობის დიდი ქურუმი კონსტანტინე გამსახურდია, აი, მოკლე ნუსხა იმ საწყისებისა, საიდანაც იწყებდნენ დინებას მისი პოეტური სტრიქონები.

ნოდარ ნარსიამ გაიარა ცხოვრების მძიმე გზა, მას მუდამ აკლდა დიდი პიროვნული სიხარული, მაგრამ ამით იგი არ განაწყენებულა. არ დაუკარგავს სიყვარული სამყაროსი და ადამიანებისა, ორმოცი წელი ილვწოდა, როგორც პოეზიის ჯარისკაცი, მას მძიმე დღეებშიც ბოლომდე შერჩა სულიერი სიმტკიცე, პოეტის სიამაყე და პოეზიის ჯარისკაცის მაღალი თვისება.

მისი ყველაზე დიდი საფიცარი სამშობლო იყო; საქართველოს მთა-ბარი, მისი სოფელი, ქალაქი, მისი ადამიანები.

საქართველოს ცას და ამ
მიწის ცვარს,
ცაზე მზის მეფურ
გამობრძანებას,
საქართველოს ზვარს,
საქართველოს გზას,
— ჩემი თაყვანი
და მოკრძალება.

60 წლის გადასახედიდან წუთისოფლის არენაზე გამოკვეთილად მოჩანს იგი, რომელიც ყოველთვის შეუპოვრად, მებრძოლურად, ომახიანად იმაღლებდა ხმას იმათთან ერთად, რომელნიც თავდაუზოგავად ილვწიან ახალი საქართველოს ასაშენებლად.

ნოდარ ნარსიამ ბევრი იშრომა პოეტური თარგმანების სფეროშიც. გვჯეროდა, რომ კვლავაც შესწირავდა შესაწირავს თავისუფლებაზე სანეტარო მეოცნებეს — თავის ხალხს, თავის მკითხველებს, თავის სამშობლოს. მაგრამ...

მშვიდობით, ჩვენო მეგობარო, ჩვენო კეთილო ძმაო და მეოცნებე კაცო, ძვირფასო ნოდარ!

ანზორ აბულაშვილი, გივი ალხაზიშვილი, ნოდარ ადეიშვილი, გივი ბოჯგუა, ზაურ ბოლქვაძე, ტაბუ მეზურიშვილი, სილოვან ნარიმანიძე, ენვერ ნიჟარაძე, იორამ ქემერტელიძე, გიორგი პაპუაშვილი, ტარიელ ხავთასი, ლუკა ხუნდაძე, სულხან ქეთელაური, გივი ძნელაძე, მამუკა წიკლაური, სიმონ შამფრიანი, მიხეილ ჩაჩუა, აპოლონ შორდანია, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, შოთა ხოდაშნელი.

## ნოდარ ნარსია

### ო, სევდა, სევდა...

ტკივილებისგან ვარ აკუწული,
მწარედ ავტირდი დღესაც...
ვერსად ვიპოვე ჩემი კუნძული,
ო, ვერსად,
ვერსად, ვერსად!
დაბადებიდან,
გაჩენის დღიდან,
მუდამ ნაღველი მსდევდა...
განა სიცოცხლე ამისთვის ღირდა?
— სევდა, სევდა და სევდა!
ვიღაცას ცხოვლად უნათებს მნათი,
მე კი ოცნებაც დავწვი...
მიკვირს, ამ ქვეყნის ცოდვა და მადლი,
მუდამ მათოვს და მაწვიმს.
თითქოს გაფატრეს სული ეშვებმა,
სულში ყორნები სხედან...
დავდივარ, მაგრამ აღარ მეშვება —
სევდა, ო, სევდა, წევდა!
რაღა ვქნა,
ვიღას მივართვა არზა,
დღეები მექცა გესლად...
ვერსად ვიპოვე ამ ქვეყნად, სხვა გზა,
ო, ვერსად,
ვერსად, ვერსად!
რაც მე ტკივილმა დაღი დამატყო,
ალბათ დაშლიდა კლდესაც...
და მაინც,
ჩემო სულო ამაყო,
ვერსად ვერ წახვალ, ვერსად!

### მერაბ კოსტავას

არვის ეგონოს ტკივილებს ვბერავ,
აგრეც რომ იყოს —
ღმერთი დამსჯიდა...
მამულიშვილო, ძვირფასო მერაბ,
ამოწვერილხარ ჩვენი ტანჯვიდან.
უშენოდ,
ვფიქრობ დაკოჰლდა რწმენა
და სატანჯველად იქეც რამდენ ძმის...
ერისკაცობა ყოფილა წყევლა,
— მამული იყო შენი ანდერძი.
სამშობლოს ტანჯვა გტკიოდა, ბიჭო,
ისიც კი...
ცოცხლად რომ იქცნენ მძორად,
ძაღლურ სიცოცხლეს
სიკვდილიც კი სჯობს,
მაგრამ სამშობლოს სჭირდება ბრძოლა.
მამულის დარდი ჰრაქივით ხრჩოლავს,
სხვაგან და სხვაგან ანთია ჭაღი...
ისევ გრძელდება რქენა და რჩოლა
და მაინც წალმა იბრუნებს ჩარხი.
მამული — თეთრი იასამანი,
მოითხოვს თავის გაწირვას, კდემას...
იმ მოყმის
ხსოვნა მაინც სხვა არის —
სამშობლოსათვის რომელიც კვდება.

# ...მეტი არაფერი

გასაგებია, რატომ მოხვდა გულზე ქ-ნ ციცინო ლუდუშაურს ჩემი რეპლიკა: „გამკითხავი ჯერჯერობით არ ჩანს“ („ლიტერატურული საქართველო“, 16.XI). ის ხომ უშუალოდ მას, კულტურის რაიონული განყოფილების გამგეს ეხებოდა უპირველეს ყოვლისა...

ნათქვამია: „დათვს ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო“. ასეა ამ შემთხვევაშიც. ფოტოსურათი, რომელიც ჩემს რეპლიკას ახლდა, ვფიქრობ, დამატებით ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებს. უბრალოდ, ჩვენი სასიქადულო წინაპრისა და სულიერი ფასეულობისადმი ცოტაოდენი გულისხმიერების გამოჩენა იყო საჭირო და მეტი არაფერი. სხვას ვის, თუ არა ქ-ნ ციცინოს, უნდა მოეგვარებინა ის სათაკილო საქმე, რის გამოც მე მქონდა საუბარი.

იმის ნაცვლად, რომ მკითხველისთვის ეუწყებინა, მიუჩინეს თუ არა სათანადო ადგილი სანაგვეზე წლობით უპატრონოდ მიტოვებულ სულმნათი შემოქმედის ფიგურული კომპოზიციის დეტალის ყალიბს (როგორც ც. ლუდუშაური ამბობს) ანდა შეკეთდა თუ არა ბედის ანაბარა მიგდებული სოფლის კლუბ-ბიბლიოთეკის სახურავი (რის თაობაზე კრინტსაც არა ძრავს!), ადგა და თავის მართლებას მოჰყვა!

მე ვამბობდი, რომ ვაჟა-ფშაველას (არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, თაბაშირის ფიგურას დავარქმევთ მას, ძეგლსა თუ ბიუსტს) ხატება მისთვის ყოვლად შეუფერებელ ადგილას განუმწესებიათ-მეთქი, ქ-ნი ციცინო კი მიხსნის, რომ ეს ბიუსტი კი არა, ბრინჯაოს კომპოზიციის შესაქმნელად გამოყენებული თაბაშირის ფიგურაა! მე ალთას ვარ, ჩემი მოპაექრე — ბალთას. აბა, ამის მერე როგორ უნდა. გავაგებინოთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი წუხილი და გულისტკივილი.

პირდაპირი პასუხისგან თავის არიდების და პირადი ბრალეულობისგან თვითდაზღვევის მცდელობით არაფერი გამოვა; არც დიდსა და პატარა ჭირსა თუ სატკივარს ეშველება არაფერი...

ხევის ერთი მშვენიერი სოფლის პირით გამხელილი ტკივილის საჯაროდ გაცხადება და ვაჟას უილბლო ბიუსტის (გნებავთ, თაბაშირის ფიგურის) ბედით დაინტერესება მე თუ უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს, რაღა ეთქმის კულტურის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელს, ვისაც უხმაუროდ და უმტკივნეულოდ შეეძლო ამ არცთუ ისე დიდი და უსაშველო პრობლემის დროულად მოგვარება?!

პატივისცემით

**ამირან არაბული**

---

# უ უ რ ა დ ღ ე ბ ა ! უ რ ა დ ღ ე ბ ა !

საწარმოებს, დაწესებულებებს, კოოპერატივებს, მწერლებს, საკუთარი ხარჯით გამოცემული წიგნების ავტორებს!—ყველას, ვისაც სურს ჩვენი გაზეთის საშუალებით გაუწიოს რეკლამა მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას, წიგნებს, უნდა გადაიხადონ გარკვეული თანხა წინასწარ დაწესებული ნიხრის მიხედვით.

„ლიტერატურულ საქართველოს“ მკითხველთა ფართო აუდიტორია ჰყავს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ეს კი თქვენი რეკლამის წარმატების უტყუარი გარანტიაა.

---

# ჩვენი დიდი მეგობარი



ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი ერის დიდი მეგობარი, ცნობილი მეცნიერი-ქართველოლოგი, მწერალი-მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს დეპუტატი დილარა ალიევა.

ქალბატონი დილარა თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი. ხოლო, როცა მისი ოჯახი ბაქოში გადასახლდა, ისიც ბაქოს მკვიდრი გახდა და იქაურ უნივერსიტეტში ეზიარა სპარსულ ენას. მაგრამ, თბილისზე თავდავიწყებით შეყვარებულს გულმა კვლავ აქეთ გამოუწია და ასპირანტურის კურსი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიარა მკვლევარ ლევან ასათიანის ხელმძღვანელობით. დილარას ძველი ქართული ლიტერატურის საკითხების შესწავლაში დიდ დახმარებას უწევდნენ აკადემიკოსები კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე. ქართველი მეგობრების ხელშეწყობით მან ნელ-ნელა აიდგა ენა ქართულად და სულ მალე გამართულად ალაპარაკდა. კოლეგებთან ერთად ფეხით შემოიარა თითქმის მთელი საქართველო და ქართული ტრადიციებიც შეითვისა და გაითავისა.

ასპირანტურის ოთხი წელიწადი დილარასათვის იყო განუმეორებელი სკოლა, რომელიც ისე მძაფრად დააჩნდა მის სულს, რომ ვერც დრომ, ვერც საოჯახო ფერხულში ჩაბმამ და ვერც შემოქმედებითმა და საზოგადოებრივმა საქმიანობამ ვერ დაჩრდილა. თბილისი მუდამ სიზმრად ჰქონდა გადაქცეული და დროს იხელთებდა თუ არა, აქეთ მოეშურებოდა.

ამიტომ იყო, რომ მისი სადოქტორო დისერტაციის თემა ისევ და ისევ აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა გახლდათ, კერძოდ, უდიდესი კორიფეების — ნიზამისა და რუსთაველის ლიტერატურულ-მხატვრული და ფილოსოფიური მსოფლგაგების ურთიერთმიმართების საკითხები. სწორედ შოთა რუსთაველის პოემის დიდმა სიყვარულმა შთაუნერგა ძალა აზერბაიჯანელ ქართველოლოგს დაეძებნა და მიეკვლია იმ ავბედით წლებში რეპრესირებული პოეტის —აჰმედ ჯავადის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბრწყინვალე აზერბაიჯანული თარგმანისათვის.

დილარამ ეს თარგმანი წლების მანძილზე დიდი შრომის შედეგად აღადგინა და ვრცელი წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოსცა.

ქართული ლიტერატურის სიყვარული ქალბატონმა დილარამ მარტო სამეცნიერო საქმიანობით როდი გამოხატა. ქართული ენის ღრმა ცოდნა და ამ დარგში განსწავლულობა მას საშუალებას აძლევდა აზერბაიჯანელი მკითხველისათვის თავის მშობლიურ ენაზე გაეცნო ჩვენი სასიქადულო მწერლების — ილიას, აკაკის, ვაჟას, გამსახურდიას, ჯავახიშვილის, ლეონიძისა და სხვათა მხატვრული ქმნილებები.

დილარა ალიევა ქართულის გარდა შესანიშნავად ფლობდა თურქულ, სპარსულ, არაბულ, რუსულ, სომხურ, ინგლისურ ენებს, მაგრამ, წიგნებს მხოლოდ ქართულიდან თარგმნიდა, რადგან როგორც თვითონ ამბობდა, — ქართული ლიტერატურა მშობლიურის შემდეგ ყველაზე ახლობელი იყო მის სულთან, მის მისწრაფებებთან.

დილარა ალიევა იყო აზერბაიჯანული ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი და მაცოცხლებელი, შეუდრეკელი და თავდადებული.

დილარა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას დიდად თანაუგრძნობდა და მიღწეული წარმატებები მუდამ აღაფრთოვანებდა. იგი ჩვენთან იყო 9 აპრილის ტრაგედიის დღეებშიც და შემდგომაც. სულ ახლახანს ქართველ ერს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა მიულოცა. და შეგვნატროდა თუ როდის დადგებოდა ასეთივე ბედნიერი დღე მისი ერისთვისაც. მებრძოლი ქალის, დაფიქრებული, ბრძნული და გაბედული სიტყვა პირდაპირ გულში ლახვარს სცემდა ეროვნულობის ჩამხშობთ. საქართველოსა თუ აზერბაიჯანში ყოველ მიტინგზე ისმოდა მისი გულში ჩამწვდომი ხმა და ყველა პატრიოტს საბრძოლველად აღაფრთოვანებდა. დილარას ავტორიტეტულობა ყოველთვის სახიკეთოდ წასდგომია ჩვენი ერების მეგობრული ურთიერთობის წარმართვას.

ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენი უანგარო მეგობარი, სიცოცხლით სავსე დილარა ჩვენთან აღარ იქნება, დრო და დრო აღარ ჩამოგვიქროლებს და ჩვენს ჭირსა და სიხარულს აღარ გაიზიარებს, თავისას არ გაგვიმხელს, სამეგობრო ხელს არ გამოგვიწვდის.

სულ ახლახან „ქორ-ოღლის“ რთული ხელნაწერის ტექსტზე მუშაობა დაამთავრა და კიდევ ვინ იცის, რამდენ შემოქმედებით სიხარულს გვპირდებოდა. ახლა სამუდამოდ ვეთხოვებით ჩვენს ჭეშმარიტ მეგობარს და ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ მის სათაყვანებელ საქართველოში დილარას სახელი დავიწყებას არ მიეცემა.

**ალექსანდრე ბარამიძე, რევაზ ბარამიძე, ალექსანდრე გვახარია, ლეილა ერაძე, მაგალი თოდუა, გიორგი ციციშვილი, სარგის ცაიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ვენერა ჯანგიძე, სერგი ჯიქია.**

---

# პ ი რ ი ს პ ი რ...

ჩვენ გვახსოვს, როგორ გაუსხლტა მიშა მესხი სწორუპოვარ სანტოსს!

ჩვენ ვიცით, როგორ გაუსხლტა მიშა მესხი სახელგანთქმულ სიმეონეს!

ჩვენ ახლა ვნახავთ, როგორ გაუსხლტება მიშა მესხი ულმობელ სიკვდილს...

მისი სახელი, ვინმე მესხის მსგავსად, მარად იკაფებს უკვდავთა თანავარსკვლავედში!

მისი ექვსი შვილი — ეს არა მარტო მისი პირადი უკვდავებაა მის დიდ საქმეებთან ერთად, არამედ რაინდული ჟესტიც — დემოგრაფიულად გაპარტახებული სამშობლოს დასაიმედებლად და გასახარებლად გაკეთებული ჟესტი...

იგი იყო ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა შეუცვლელი კერპი დუბლებში მისი გამოჩენის დღიდან (ძველებს გვახსოვს დუბლიორი მიშა მესხის ორი პენალტი, ერთ თამაშში გატანილი: ერთი — მარცხენა ფეხით, მეორე — მარჯვენით...).

ყველამ იცის, რომ იგი იყო მსოფლიო სახელი, რომ იგი იყო მსოფლიო ნაკრების წევრი, მაგრამ ცოტა ვინმე თუ იტყვის, რომ იგი იყო უდიდესი ესთეტი, გაჩენილი განგების მიერ — მისი მომნუსხველი თამაშის მაცქერალი თაყვანისმცემლებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ანგარიშს — მოგებაც და წაგებაც, ორივე იყო აუწონელი სიხარული, და ჩვენაც — მესხის ხალხი — ერთ ტაიმს რომ ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ვატარებდით, მეორის დაწყებისთანავე სამხრეთისაკენ გავრბოდით — გვინდოდა, რაც შეიძლება ახლოდან გვენახა განუმეორებელი სილამაზე...

ჩემი შვილი, მიშა მესხი, სამს ჯობს ჩემისთანასო, დაიქადა მამამ „ციხკრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ათი წლის პატარ მიშაზე. ეს მართალი იყო — მიშა მესხი განმეორდა... ახლა მნიშვნელობა არა აქვს იმის კვლევას, რატომ ვერ გადაფარა პატარა მიშამ მამის სახელი. მთავარია — მესხი განმეორდა! მთავარია — მესხი კიდევ ბევრჯერ განმეორდება...

...პაიჭაძე. მესხი. დარასელია. ლოლობერიძე. იამანიძე. მარღანია... — სამწუხაროდ, იქაც იკვრება დიდი გუნდი...

მიშა მესხი, აწ უკვე იმ დიდი გუნდის სიამაყე, იყო უდიდესი პროფესიონალი, და ეს გახლდათ მისი უპირველესი გაკვეთილი — მთლად ბავშვი, იგი ხნულში დასდევდა მამალს, რომ მისი ზიგზაგიანი და ცბიერი სვლები ესწავლა...

იგი იყო ნამდვილი ფანატიკოსი, და ესეც იყო მისი გაკვეთილი. ეს ფანატიზმი მას არასოდეს განელებია. როცა მისი კოლეგები, მასავით ღატაკები და უქონელნი, წავიდნენ ზნეობრივ კომპრომისზე, მხოლოდ მას, რამდენიმე კაცთან ერთად, ეყო ძალა, უარი ეთქვა დიდვაჭრის შემოთავაზებულ სახელოზე, და თავის ავაზებთან დარჩენილიყო...

მან, ბატონ ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად, პირველმა მოითხოვა, რომ თბილისის „დინამოს“ „ივერია“ დარქმეოდა.... და ამით თქვა ბევრი რამ, რის თქმაც იმ დროს ნაციონალისტობა და მკრეხელობა იყო...

მისი გაცილების დღეს მე და გივი გეგეჭკორი ერთად ვისხედით. პირდაპირ გული მოგვიკვდა, ისე მოთქვამდა ნაყინის გამყიდველი



რუსის ქალი, როცა ურუგვაელ ფეხბურთელებს ხელში ატაცებული მიშა მესხი უკანასკნელი თამაშიდან გამოჰყავდათ. გაოცებულები იყვნენ ურუგვაელი ვირტუოზები, რატომ ტოვებდა სარბიელს ჯადოქარი ასე ნაადრევად.

მიშა მესხი, ამჯერად უკვე სამარადისოდ, კვლავ ნაადრევად გადის თამაშიდან, და ახლაც მიაცილებს მთელი მსოფლიოს თაყვანისმცემელთა ტაში და ცრემლი...

ახლა იგიც, როგორც ყოველი ადამის შვილი, პირისპირ დგას სიკვდილთან! ოღონდ ესაა — სხვებისაგან განსხვავებით, მესხმა იცის, როგორ გაუსხლტეს მას და, როგორ ჩააწოდოს მომავალ საუკუნეებს ბურთი.

ჩვენთვის, მისი თაყვანისმცემლებისთვის, ერთნაირად საინტერესოა მისი ყოველი ორთაბრძოლა...

„მეს-ხი! მეს-ხი! მეს-ხი! მეს-ხი!“ — გუგუნებენ ტრიბუნები.

„ი-ბე-რი-ა! ი-ბე-რი-ა! ი-ბე-რი-ა! ი-ბე-რი-ა!“ — გრიალებენ უიარაღო არმიები!

ეს ხმა არასოდეს მიწყდება თავისუფალ საქართველოში, რომელიც, ურჩხულის პირისპირ მდგარი, მალე თავისი უკვდავი დრიბლიორის სიმარჯვით გაუსხლტება ცერბერ დარაჯებს!

**ტარიელ ჭანტურია**

ვარლამ ბენდიურის ფოტო.

---

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-81-80
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-88; 99-02-65. 95-86-88.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით